

ექვთიმე თაყაიშვილი

არქეოლოგიური მოგზაურობა
რაჭაში

1919 და 1920 წწ.

K 22133
2

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს აკად. ექვთიმე თაყაიშვილის 1919 და 1920 წლებში რაჭაში არქეოლოგიური მოგზაურობის ანგარიშს. აღნიშნული ანგარიში არ მოიცავს რაჭას მთლიანად. სახელოვანი მეცნიერის დაკვირვებანი გვაძლევენ დიდად საყურადღებო მონაცემებს არქიტექტურულ ძეგლებზე, მონასტულობებზე, ოქრომკედლობის ნაწარმოებებზე და ხელოვნების სხვა ნივთებზე, წარწერებზე და მათში მოხსენებულ ისტორიულ პირებზე. ექვთიმე თაყაიშვილის ნაშრომს ძვირფასი წვლილი შეაქვს რაჭის ისტორიული წარსულის კვლევის საქმეში.

ცნობად:

1. სკოლიოში ჩამოტანილი ზენიშენები, ყველა შემთხვევაში, როდესაც ისინი არ ეკუთვნიან ექ. თაყაიშვილს, მოქცეულია კუთხოვან ფრჩხილებში.
2. ექ. თაყაიშვილს ექსპედიციაში ახლდა საქ. საისტ. საეთნოგრ. საზოგადოების ფოტოგრაფი მხატვარი თედოქაძე, რომელმაც გადაიღო თითქმის ყველა აღწერილი საგნები. ნეგატივები ინახება საქ. სსრ ხელოვნების საბ. მუზეუმის ფოტოტექაში, სსსს ფონდში.
3. ტექსტში მოყვანილი მონახაზები შესრულებულია ფოტოების მიხედვით ვ. გ. ცინცაძის მიერ.
4. ექ. თაყაიშვილის ნაშრომი დასაბუქდად გაამზადა თ. ბარნაველმა.

პირობითი შემოკლებანი

1. გ. ბოჭორიძე, V, გვ...—გ. ბოჭორიძე, რაქის ისტორიული ძეგლები, „საქართველოს მუზეუმის წიგნები“, ტ. V, თბ., 1929 წ.
2. გ. ბოჭორიძე, VII, გვ...—გ. ბოჭორიძე, რაქის ისტორიული ძეგლები „საქართველოს მუზეუმის წიგნები“, ტ. VII, თბ., 1933 წ.
3. გ. ბოჭორიძე, VIII, გვ...—გ. ბოჭორიძე, რაქის ისტორიული ძეგლები, „საქართველოს მუზეუმის წიგნები“, ტ. VIII, თბ., 1935 წ.
4. ს. კაკაბაძე, საისტ. კრებ., IV, გვ...—ს. კაკაბაძე, წინასწარი ცნობა დას. საქართველოს ზოგიერთ ეპიგრაფიულ მასალის შესახებ, „საისტორიო კრებულები“, წ. IV, თბილისი, 1929 წ.
5. ა. ქუთათელაძე, მოამბე, VII, გვ...—ა. ქუთათელაძე, სოფელი ლიკორწმინდა, „მოამბე“, VII, თბილისი, 1894 წ.
6. M. Brosset, Voyage e... XII, გვ...—M. Brosset, Rapports sur un voyage archéologique dans la Géorgie et dans l'Arménie. SPb., 1851. XII^e par.
7. Н. Кондаков и Д. Бакрадзе, Опись., გვ...—Н. Кондаков и Д. Бакрадзе, Опись памятников древности в некоторых храмах и монастырях Грузии, СПб., 1890 г.
8. Н. Минделш. СМГО МПК. XIX, გვ...—Н. Миндели, Селение Сори (Рачинского уезда, Кутаисской губернии). „Сборник материалов по описанию местностей и племен Кавказа“, в. XIX, Тифлис, 1894 г.
9. П. С. Уварова. МАК. IV, გვ...—П. С. Уварова. Христианские памятники, „Материалы по археологии Кавказа“, вып. IV, Москва, 1894 г.
10. Г. Н. Чубинашвили, კვლევა, ფორტ... გვ...—Г. Н. Чубинашвили. Грузинское чеканное искусство. исследование по истории грузинского средневекового искусства. текст и иллюстрации. Тбилиси, 1959 г.
11. გიორგი ჩუბინაშვილი, აღბონი. ტაბ...—გიორგი ჩუბინაშვილი, ჩართული ორთაქედლობა VIII—XVIII საუკუნეებისა, აღბონი. ისტორიული მიზანითა და ანოტაციები, თბილისი, 1937 წ.

ერთი ნაწილი რაკისა, ნიკორ-წმინდა, ქელიში, აგარა, ხოტე-
ვი, ამბროლაური, ბარაკონი (და სორი მე მოვიარე ზაფხულში.
1919 წ., ხოლო ამა 1920 წ. ზაფხულში მოგზაურობის მიზნად
დავისახე ნახვა დანარჩენი ადგილებისა, სადაც მოიპოება ძველი
ეკლესიები და საეკლესიო ნივთები. ტფილისიდან გავემგზავრე 25
იგლის და პირველად ვინახულე გელათი. გელათიდან გავემგზავ-
რეთ ლეჩხუმის გზით რაჭაში და გაჩერდით ქრებალოში. აქედან
წავედი ბუგეულში. ამ სოფლის ძველი ეკლესია განუახლებიათ
1838 წელს ოსტომ წულუკიძეს და ეასილ სანიკიძეს, ნაგრამ შიგნით
ეკლესიის კედლებზე საკმაოდ და კარგად არის წენახული ფრესკები,
მთელი რიგი ისტორიული პირობის პორტრეტებით ლაზხიშვილე-
ბისა, საყუარდლებო ქართლის ტანისამოსებით და წარწერებით.
აქედან წავედი მიქარწმინდას. ამ სოფლის ეკლესიაც გადაკეთე-
ბულია ბოლო დროს, მაგრამ წიგ ინახება რაწოდენიმე ძველი ხატა
და ჯვარი წარწერებით, რომელნიც ლიტერატურაში ცნობილნი
არ არიან. შემდეგი სოფელი, რომელიც მე ვინახულე იყო ქედის-
უბანი. აქაც ძველი ეკლესია განახლებულია და მხოლოდ რამოდე-
ნიმე ძველი საყუარდლებო ჩუქურთმა მოჩანს მის კედელზედ კირით
შეუთეთრებელი. შიგნით კედელზედ დაცულია ერთი ფრესკა მამე-
ნებელისა თუ განმაახლებელისა. წარწერა უჩვენებს, რომ ეკლესია
განუახლებიათ 1797 წელს. ამავე სოფელში არის მაღალ მთაზედ
სოფლიდან მოშორებით, გეორგე ძველი ეკლესია წმიდის გიორგისა
მარტო ერთის წმიდის გიორგის ხატით. ქედისუბნიდან გავემგ-
ზავრეთ ხონჭორის. ამ სოფელში ორი ახალი ეკლესია არის. ერთს
მათგანში დაცულია ძველი ხატები, ზოგი ძალზე დაზიანებული,
ზოგი მოძარცული. შესანიშნავი ყოფილა თავის მინანქრიანი
მედალიონებით ჯვარცმის ხატი, რომელზედაც წინეთ, ყოფილა 24
მინანქრიანი მედალიონი. ესა შენახულია მხოლოდ ოთხი, დანარ-
ჩენი მოძარცულია. კიდევ ერთი მინანქრის მედალიონი წმიდის
გიორგისა, დაცულია სხვა ხატზედ, ეს მინანქრები ბიზანტიური
ხელობის არის და ლიტერატურაში უცნობია.

ხონჭორიდან გავემგზავრეთ ნამანგეშიძე სადაც საყუარდლებო
არაფერი არ აღმოჩნდა და იქიდან პატარა ონში. ამ სოფელში ორთ-

ძველი ეკლესია არის, ერთი გადაკეთებული და მეორე დანგრეული. ორივეს გაფუჭებული წარწერები აქვს და ორივე ჩუქურთმებით არის შემკობილი. ამ მხრივ უფრო საყურადღებოა მეორე ეკლესია, რომელშიც ჯერ კიდევ სულ არ დანგრეულა შესანიშნავი ალმბასტრით ნაშენი კანკელი დამაზის რიგისა, იმგვარივე, როგორიც არის სავანეში შორაპნის მახრავი. პატარა ონიდან დავბრუნდით კრებალოში და იქიდან გავემგზავრეთ წესში და წესიდან ონში. ონის ახალ ეკლესიაში ორი ძველი ხატი ინახება, რომლის წარწერები შუქს ფენენ ღების ეკლესიის ხატების წარწერებს უფრო დაზიანებულად შენახულებს. აქვე არის სახარება ოთხთავი XIV—XV საუკუნისა ისტორიულის მინაწერებით. ონიდან გავემგზავრეთ უწერაში და უწერიდან გლოლაში, სადაც გავსინჯეთ ნანგრევები ციხისა, ორი პატარა ეკლესიისა, ერთი მათგანი საყურადღებოა, ძველი ფრესკებით არის შემკობილი, და აგრეთვე შტატის ეკლესია და მასში დაცული ნივთები. გლოლიდან წავედით ღებში. ეს უკანასკნელი სოფელია რიონზე ზემო რაჭაში. ღების ეკლესიაში მრავალი ხატი და ჯვარი იყო წინეთ. ეხლა ზოგი დაქარგული, ზოგი გაფუჭებულია. სულ მოუპარავთ დიდი პლატინის ჯვარი და ზოგი სხვა ოქროს ნივთები. მრავალ ხელთნაწერებიდან, რომელიც აქ ბროსეს დროს იყო, მარტო ორი დავგვხდა და იგიც სულ დამალია. აღწესსხეთ და გადმოვიღეთ ფოტოგრაფიის საშუალებით ყველა ნივთები და აღვადგინეთ ზოგიერთი გაურჩეველი წარწერები. ღებიდან გამოვიარეთ კიორაში, აქ ეკლესია შედარებით ახალია და შიგშმარტო ერთი იოანე ნათლისმცემლის ხატია საყურადღებო, კიორიდან დავბრუნდით ონში და ონიდან გავემგზავრეთ ს. ბარში, მაგრამ აქ არ დავგვხდა არც მღვდელი, არც მნათე და არც დიაკვანი და ამიტომ ეკლესია და მისი ნივთები ვერ ვნახეთ. მოვაქითხეთ კიდევ მეორე დღეს, მაგრამ არც მაშინ დავგვხდენ, ბარიდან ავედით მრავალძალში. ეს ყველაზე უმაღლესი სოფელია მდებარეობით რაჭაში, ძველი ეკლესია აქ ახალზედ შეუცვლიათ, მაგრამ აღმოსავლეთის კედელი ხელუხლებლად არის დატოვებული შუაში. ახალს ეკლესიაში ჩაუშენებიათ კიდევ ერთი ჩუქურთმიანი საჩემელი თავის წარწერით. ხატები მრავალძალში ხვედრია XII—XVIII საუკუნისა. ყველა გადმოვიღეთ გარდა ერთის წმიდის გიორგის ხატისა, რომლის ჩარჩოდან ამოღება არ მოხერხდა, და გავარჩიეთ წარწერები. აღმოსავლეთის კედელზედ ეკლესიისა შერჩენილია ძველი ქანდაკებანი და წარწერები.

მრავალძალიდან ჩამოვედით სხვაეაში, სადაც დაცულია დიდი ჯვარი ძველ რაჭის ერისთავების წარწერით. სხვაეადან მოვე-

დით ამბროლაურში და იქიდან ლეჩხუმის გზით დაებრუნდით ქუთაისში და შემდეგ ტფილისში, მოგზაურობაში დაყვავით სულ 23 დღე. ყველა ნახული არქეოლოგიური ნივთები ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი გადმოვიღეთ ფოტოგრაფიის საშუალებით. აქ უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენდა სამწუხაროდ ჩვენი გელესიის განძეულობა დღითი დღე იკარგება, ბევრი რამ, რომელზედაც ცნობა გვქონდა ლიტერატურული თუ კერძო წყაროებიდან, თავის ადგილზედ არ აღმოჩნდა. ხელნაწერები სულ დაკარგულა ან გაფუჭებულა. ჭყონდილის მიტროპოლიტის ამბროსისაგან მქონდა ცნობა ზოგიერთ ხელნაწერების შესახებ. ეს ხელნაწერები მას ენახა და ზოგი რამ კიდევაც ამოეწერა, მაგრამ ეხლა იქ აღარ მოიპოვებიან და უარსაც ამბობენ, რომ ოდესმე ყოფილა. განსაკუთრებით გვანტერესებდა პეტრე ქართველის ცხოვრების ძველი ვარიანტი, რომელიც წინეთ მიქარწმინდაში ყოფილა და დღეს აღარ არის.

დაბოლოს მადლობას ვუცხადებ ყველა იმ პირთ, რომელთაც ხელი შეგვიწყვეს მოგზაურობის დროს: სიმონ ჭელიძეს, მათე გორდენიანს, ვლადიმირ ფოფხაძეს, სხირტლადეს და უმეტესად მადლობას ვუცხადებ მიხეილ ლომთაძეს, რომელიც შეგვეგება პატარა ოწში, მიიღო ყოველგვარი თავდარიგი, რომ გაეადვილებია ჩვენი მოგზაურობა, თვით გვეახლა ყოველგან და არ მოგვკიცლებია, მანამ არ გამოგვისტუმრა. ასეთივე სამსახური გაგვიწია მან წინა წელში რაჭაში მოგზაურობის დროსაც. ეგვევ არის კორესპონდენტი საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა. გვაწვდის ცნობებს ახალაღმოჩენილ ნივთების შესახებ, ლებულობს ზომებს მათი დაცვისათვის. მან ჩამოგვიტანა ამ რამოდენიმე წლის წინეთ რაჭიდან ძველი წარწერიანი ქვა და სხვა არქეოლოგიური ნივთები.

პ. ო. შ. 24 თაბაჩიშვილი

I ლეგი¹

ლები დიდი სოფელია რიონის სათავეში, მთა-რაქაში. აქედან ფასის მთამდე 25 კილომეტრამდეა. ღებს ზემოთ რიონზე სხვა სოფელი არ არის, მაგრამ, ეტყობა. წინათ ყოფილა, ვინაიდან მოიპოვება ნასოფლარები და ეკლესიის ნანგრევები. ღებში ახლა არის ახალი ეკლესია, სადაც გადმოუტანიათ ნივთები ორი გაუქმებული ეკლესიიდან: ღებისა, რომელიც რიონის მარჯვენა ნაპირზედ ყოფილა და შოდისა, რომელიც თოვლიან ყინულიანის შთის ძირში ყოფილა. ღების მახლობლად მის სამხრეთ-აღმოსავლეთით. საუკეთესო ხატები შოდის ეკლესიას ჰქუთნებია. ამბობენ, ამ ხატებს ბერები თვით შოდაში აკეთებდნენო. ღების ახალი ეკლესია გუჟღერდავით და რაც საუკეთესო და უძვირფასესი იყო, წაუღიათ. მაგალითად: თეთრი ოქროს (პლატინის) დიდი ჯვარი, სიმაღლით 0,35 მეტრი ეს იშვიათი ნიმუში თეთრი ოქროს ჯვარისა საქართველოში. წაუღიათ აგრეთვე მეორე ოქროს ჯვარი და სხვა ნეტები. რაც დარჩენილია, გაფუჭებულია, მოძარცული, ნაგლეჯებად შემონახული. მხატვრობა შებღალული და ზოგან სულაც გადასული.

საუკეთესო ხატები, ერთის გარდა, შოდიდანაა გადმოტანილი. ყველა „კლასიკური დროისა“ უნდა იყოს, არა უგვიანეს XII—XIII საუკუნეებისა. ამას გვაძენობს უკეთესად დაცული აწიების მოჭედებლობა და შემკულობა.

ასეთია:

1. გაბრიელ მთაყარანგელოზის ხატი. 11,3×76 სმ. ხეზე დახატული, მოოქროვილი ვერცხლით შეჭედილი. ნაქედისაგან დარჩენილია ფენგები და ეზოს ქვემო ნაწილი. აგრეთვე გაბრიელის შარავანდი. მხატვრობა საკმაოდ დაცულია. ფენგებზე ზემოთ შუაში გამოხატულია საყდარი, ხოლო კუთხეებში თითო ანგელოზი; ქვემოთ—წა ნინ მკელ, წა ეკტონ, წა ძრინ; მარცხენა აწიაზე—წა პტარ, წა ბსლ; მარჯვენა აწიაზე—წა პლ. ქვემოთ არის ასომთავრული წარწერა:

ქ. ზეცისქა: ძალთა: უტრცთა: შრის: თავო: გბლ:
მეოხ: ექმნ. წე: ღთსა: მქლს: დ ფურთჳს: და
ინეს: კარაუნ[იმეთ]ა: დ შვი[ღთა ძათ]თა: დღესა:
მას განკითხვისას.

¹ ლიტერატურა ღების სიძველეთა შესახებ: M. Brosset. Voyage ..., XII, 72—74; П. С. Уварова. МАК, IV, 3, 109—117.

უქარაგმოდ:

„[ქ. ზეცის] ა ძალთა უტორცოთა შორის თავო გაბრიელ, მეოხ ექმენ წინაშე ღმრთისა მიქელს და ფურთუტს და იოანეს გარაჟა ნიძეთა და შვი [ლთა მათ] თა ღლეა მას განკითხვისას“².

2. მიქელ მთავარანგელოზის ხატი, იმავე ზომისა, (113×76 სმ) დახატული ხეზე, მხატვრობა წაბლალულია. ფენგები მოოქვრილი ვერცხლისა, მოჩუქურთმებული. ასევე შარავანდელი ზედა ფენგზე. მედალიონებში წარმოდგენილია ვედრობა: ქვემოთ— წ'ა ღმტ. წ'ა გ'ი, წ'ა თ'ე (უკვე მოშლილია); მარცხენა ფენგზე— წ'ა ბასილი, წ'ა მათე. მარჯვენაზე: წ'ა მარკოზ, წ'ა ლუკა.

ქვემოთ არის წარწერა:

[ქ. წ'ო მთავარანგელოზო მიქელ] მეოხ: ექმნ:

წ'ე: მ'ნ: ქრეს ნ... გარე'ნის მესა: ქაქლ'ს:

ღ ფურთხს: ღ აგნს: ღა ძთა მო'თ: ღღესა: მას:

განკეთსძსახს: რიმ...

უქარაგმოდ:

„[ქ. წმიდაო მთავარანგელოზო მიქელ], მეოხ ექმენ წინაშე ჯენ ქრისტეს ნ [ახარეველისა:] გარაჟანისძესა მიქელს და ფურთუტს და იოვანეს და ძეთა მათთა ღლეა მას განკითხვისას, რომელთა შეაჟკობინეს ხატი ესე]“³.

სადაც „წინაშე“-ს შემდეგ მოყვანილია „ხენ: ხოსნ- ასო შ დე- დანში გადმობრუნებულია და ამიტომ მიუხინვია იგი ბროსეს ხ—ად. შემდეგი სიტყვის პირველი ასო ქ-ია და არა ხ.

მომდევნო ასო ნ-ს შემდეგ აკლია, მაგრამ ზვენ გვეონია, რომ აქ „ნაზარეველი“ უნდა იკითაებოდეს. უკანასკნელ სამ სიტყვას ბროსე კითხულობს: „რომელი ხამ ხანა“. აქაც იგივე შეცდომა უნდა იყოს, როგორც ზემოთ. ესე იგი გადმობრუნებული შ ბროსეს ჰგონებია ხ—და ტ ჰგონებია ნ. უკანასკნელი სამი სიტყვა დედანს აშკადად აკლია. ზემო წარწერებში მოხსენებულნი პირები ამავე რიგით იხსენიებიან.

3. მიქელ და გაბრიელ მთავარანგელოზთა ხატი, ფერწერილი, ჩარჩო: ვერცხლისა. ძლიერ დაზიანებული. 120×81 სმ.

² [M. Brosset, Voyage... XII, გვ. 73; П. С. Уварова, МАК, IV, გვ. 116, ტაბ. XLI; ხატი ინახება ქუთაისის მუზეუმში].

³ [M. Brosset, Voyage... XII, გვ. 72-73; П. С. Уварова, МАК, VI, გვ. 114, ტაბ. XLI; ხატი ინახება ქუთაისის მუზეუმში].

მთავარანგელოზთა ბიზანტიური ტანისამოსი წითელია. მათ ხელთ უჭირავთ მრგვალი, წელსზევითი სურათი ქრისტე ემმანუელისა. ფენგები შემკულია წყვილ-წყვილი ბროწეულის ყვავილებით. სურათებისთვის დატოვებული ადგილები ცარიელია, ზედ წმინდანები წარმოდგენილი არ არიან.

ქვემოთ ყოფილა ოთხსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა, რომლისგანაც ეხლა დარჩენილია მხოლოდ:

..... მცხოვნებლო ანგელ.....
..... მეიხა: მექმენ..... რჯ დღ

ბ რ ო ს ე ს დ რ ო ს ე ს წ ა რ წ ე რ ა უ კ ე თ ყ ო ფ ი ლ ა შ ე მ ო რ ჩ ე ნ ი ლ ი .
ი გ ი ა ს ე კ ი თ ხ უ ლ ო ბ ს :

„წმიდაო მაცხოვარო მაცხოვნებელო, წმიდანო მთავარანგელო...“

...სოფელსაო მეოხ მექმენ... რვი და გაბრიელ გვედრებე
ცოდელი...

...ჯოედიანს ძესა, დღესა მას განკითხვას... სად სულისა ჩემისა, გესმნ...

... ვის ჩემსას ქრისტეს ღმერთ ...დელთ...

... მე არჯვენს რო .. ქედვა ჩემითა ოქროთა. არვის რ...“⁴

ამ წარწერაშიაც ის ჯოედიანი უნდა იყოს მოხსენებული, რომელიც ონის მთავარანგელოზის ხატის წარწერაში იხსენიება.

4. მ თ ა ვ ა რ ა ნ გ ე ლ ო ზ თ ა ხ ა ტ ი მ ო ო ქ რ ო ვ ი ლ ი ვ ე რ ც ლ ი ს ა
78×61 სმ⁵. ორთავე მთავარანგელოზს ბიზანტიური ტანისამოსი აცვია და ბურთები და ლაბარუმები უჭირავთ. წარწერები:


„მქლ: მთარი“, „გზლ მთარი“. აშია სხვა დროისაა, ვერცხლისა, უფრო მდარე ხელობისა. ზედა და ქვედა ფენგები მოცილებული აქვს. მარჯვენა და მარცხენა ფენგი მოჩუქურთმებულია ბროწეულის წყვილ-წყვილი ყვავილებით. შუაში გამოხატული ყოფილა თითო მხედარი, მაგრამ მარჯვენა ეხლა გაფუჭებულია, მარცხენაზე იკითხება: „წი გ“.

5. მ თ ა ვ ა რ ა ნ გ ე ლ ო ზ ი ს ხ ა ტ ი , კ ლ ა ს ი კ უ რ ი დ რ ო ი ს ა , მ ო -
ო ქ რ ი ლ ი ვ ე რ ც ლ ი ს ა , 66×47 სმ. (სურ. 1), წმიდანს ბურთი და ლაბარუმი უჭირავს. გამოსახულება ძლიერ გაფუჭებულია. წარწერისაგან შემორჩენილია ორი ასო: წი. აშია მერმინდელი ხელობისაა. უფრო მდარე, ლურსმული ქანდაკებით.

⁴ [M. Brosset, Voyage..., XII, გვ. 73; ხატი ინახება ქუთაისის მუზეუმში].

⁵ [П. С. Уварова, МАК, IV, გვ. 112 და 114, სურ. 89. Г. Н. Чубинашвили, კვლევა, ფოტო 383 და გვ. 274].

მთავარანგელოზთა ეს ხუთივე ხატი ეკუთვნის ქართულ კლასიკურ დროს, XII—XIII საუკუნეებს.



სურ. 1

6. მიქელ მთავარანგელოზის ხატი ვერცხლისა, 56×43 სმ, აქვს წარწერა: „წი მიქლ“. მთავარანგელოზს უჭირავს ბურთი და ლაბარუმი. აშია ლურსმული ჩუქურთმით არის შემკული. აშიებზე მთავარანგელოზის რვა მედალიონია. ხელობა სუსტია⁶.

⁶ [П. С. Уварова. МАК. IV, გვ. 112 და 113, სურ. 90].

7. გაბრიელ მთავარანგელოზის ხატი, 32,5×28 სმ, ვერცხლისა. ტლანქი ხელობისა (სურ. 2). აქვს წარწერა: „წიგლი“. ქვემოთ, მარცხნივ უწერია:



სურ 2

წიგლი
 ოქო
 ქვედე
 ღი

ე. ი. „წმიდაა გაბრიელ, შეიწყალე ოქო-ქვედეღი“. აწია ლურსბულია, აქვს ოთხი მედალიონი მთავარანგელოზების სურათებით.

8. წმ. გიორგის ხატი, ვერცხლისა. 40,5×27 სმ. აქვს წარწერა: „წიგლი ღიშადის“ (სურ. 3). წმიდანი გმირავს უშნოდ გამოხატულ კაცს, რომელსაც ხმალი მოცილებული აქვს და გვერდზე უდევს, აწიებზე ხუთი მედალიონია ჩვილადი დედის ღვთისა¹. საერთოდ ტლანქი ნახელავია.

¹ [მედალიონი შვიდია, ქვემო. მერვე აწოტებულა],



სურ. 3

9. წმიდის გიორგის ხატი, მოიქოცილი ვეოცლისა. იხ. 43 სმ., წმიდანი წარმოდგენილია მხედრის სახით. ხატი ლანახი ხელობისაა. ვითა დროს ფოიად განწვევბული ყოფილა, მაგომ ეხლა სანახეყოოდ შაშლილა. წმიდა გიორგი წარმოდგენილია სარულია ტანით. ფეხებდ მდგომარე. შეუბიო ცალ ხელში, მეორე ფაოზე უღვეს. ნაწყოთ: წაგაგაიშდნი. ამხაქს დენგენი მერმინდელი აცვა, ღელასღლიც მოწუტუბთმეზული. სანი ამობერელი ოგაღათ დეიოუესა ევებია ბუღის მსგავსად.

ქუთაისი. პუბლიკაციაში (П. С. Уварова, МАК IV, № 119—120). ტაბ. XLIII. მოუვაპრობის სობის ფელსისნივებში. აკებთ შეკლებთ რადან 19.3 წელს. აკუბეს დროს ა. ა. ბიჭობაძეს დი. აღნიშნული აქვს უკან ევლით. ნათ. ნათ. N. H. Чухнина-Швица, კლდე. ფატი. 9. აკ. 25:1.

10. წმიდა გიორგის ხატი, ვერცხლისა ოქროთ დაფერილი, 42×29 სმ. კარგი ხელობისა, არა უგვიანეს XIV საუკუნისა. წარმოდგენილია ცხენით. გმირაგს დეოკლეტიანე მეფეს, მაგრამ მეფის ფიგურის უმეტესი ნაწილი მოშლილია. ზემოთ მედალიონებში სწერია: „წ ა გ ი შ დ ს“. ე. ი. „წმიდაი გიორგი შოდისა“. არშია ლურსმულად არის მოჩუქურთმებული, მოუყვითლავი და მერმენდელი უნდა იყოს⁹. ქვემოთ წარწერა აქვს¹⁰:

წ ა გ ი შ ე „წმიდაი გიორგი, შეიწყალე
შ დ ლ ი კ ვ შოდელი კავა (?)—
ბერი წე ქ ე ს ბერი წინაშე ქრისტესა“

მეფეს მახვილის ქვეშ დარჩენილია ასოები: მფე, მაგრამ ამ სიტყვის მ და ე გადლობრუნებულად არის წარმოდგენილი. ბროსეს დროს აქ უფრო გრძელი წარწერა ყოფილა, მას მოყავს „...ოვოხნ მეფე.“

11. წმ. გიორგის ხატი, ვერცხლისა, შუატანისა, სულ გაფუჭებული, მოჩანს მხოლოდ წმინდის გიორგის თავი, შუბის წვერი და წარწერა მხედრულად: მთ ვ რ მოწა...; გვიანი ხელობისა. უნდა იყოს XVII საუკუნისა.

12. მაცხოვრის ხატი, ვერცხლისა¹¹, 60×50 სმ. ეს თავხატად ითვლება ამ ეკლესიისა, წარწერით: ი ვ ქ ე, შემკობილია ყურძნის მტეფნებით, რომელიც სანახევროდ დაცულია. ზემოთ ფენგზე მედალიონებში ვედრება, მარცხენა ფენგზე „მიქელ“. არშია ლურსმულია. ქრისტე ტახტზე მჯდომარეა, მარჯვენა ხელი კურთხევის ნიშნად, მარცხენით სახარება უპყრია. ქელობა ტლანქია XVII—XVIII საუკუნე¹².

13. ჯვარცმის ხატი, ვერცხლისა¹³ 40×29 სმ. შუაში გამობერვით წარმოდგენილია ჯვარცმა და წინამძღოთმარენი, იოანე და მარიამი. ზევით ორი მთავარანგელოზია ფეხზე მდგომარენი. ზემოთ კუთხეებში თითო თავია წარმოდგენილი, შუაში ფენგებზე ოთხკუთხედში მარჯვნივ და მარცხნივ თითო წმინდანი. ქვემოთ კიდევ

⁹ [П. С. Уварова, МАК. IV, гв. 112, 113, სურ. 88; Г. Н. Чхен-нашвили. Кვლევა. ფოტო 254; გიორგი ჩუბინაშვილი, აღბოძი, ტბ. 95].

¹⁰ [M. Brosset, Voyage..., XII, გვ. 72].

¹¹ П. С. Уварова, МАК, გვ. 112 და 115, სურ. 91.

¹² [ვ. თაყაიშვილს აღნიშნული აქვს: „ბურთით და სახარებით ხელთა“; კორექტივი შეტანილია გ. ჩუბინაშვილის შენიშვნის მიხედვით].

¹³ [П. С. Уварова, МАК. IV, გვ. 112 და 115, სურ. 93].

მედალიონებში თითო წმიდანი. შემკობილება და თვით მთელი ხელობა ხატისა ლამაზია, მაგრამ რამოდენიმე მხედრული წარწერა ერთობ ვულგარული და ძნელი ამოსაკითხავია. ამიტომაც ბროსეს¹⁴ ვერ განურჩევია. ჩვენ ვკითხულობთ:

მცხოვარო. გუმარჯვე. ღებისა. „მაცხოვარო გაუმარჯვე“ ღებისა
ჰვესა: ამინ უფლო. ჰვესა ამინ. უფალო
ღო დ. მცხოვარო. გუმარჯ: ღმერთო და მაცხოვარო, გაუ-
ვე: გიორგისა: დ. ღვითსა: დ შია მარჯვე გიორგისა და დავითსა
ომსა: ამინ: უფალო ღმერთო. და შიაოშსა ამინ, უფალო
ღმერთო“.

ჯვარცმულის ზემოთ:

ქ. მიქელს: შიოს: კიდევ: გიურგისა: და
ნიკოლი: სემუნოს: ცხოზა: საქსა: დღეგრძელობით
ვნებითითა: ამინ: უფალო:

ზემო აშიაზედ:

ქ. მო: გვიჭედინე	„ქრისტე მოგვიჭედინე-
ბია: ჩუენ გრ	ბია ჩვენ გიორგო-
ი ბიანსა: დ გრ (?)	ბიანსა და გრ (?)
კი ილსა ურეგვ	კიილსა ურეგვ-
ლსა: ქე ბიმესა (?)	ელსა ქებიმესა“ (?)

ქვემო აშიაზედ ნაკლულოვანათ:

ქ. ტები ღმერთო უ
ლო შევლე: ამისა
ბელლანსა...

14. ხატი ხეთისმშობლისა, ჩვილდი, 58×40 სმ, ვერცხლისა, გამობერვით ჰედილი¹⁵, ტლანქი ხელობისა. ტანსაცმელი ერთობ ნაოჭიანია, ძის ფიგურა მეტად დიდია, მაგრამ ძეგლი საერთოდ მინც საინტერესოა; აშია შემკობილია ყურძნის მტევნის

¹⁴ M. Brosset, Voyage..., XII, გვ. 74.


¹⁵ П. С. Уварова, МАК, IV, გვ. 112 და 115, სურ. 92. [შეად. Г. Н. Чубиннашвили, კლუვა, გვ. 421].

სახის ჩუქურთმებით. წარწერა: წი

ლთი

მში

15. ჯვარი დიდი, ხისა, შეჭედელი ვერცხლის ფირფიტებით, (სურ. 4), ნახევარზე მეტი ფირფიტებისა მოძარცულია, ხელობა



სურ. 4


ტლანქია. ზემოთ წარმოდგენილია მაცხოვარი და ანგელოზი, ქვემოთ ორი მთავრანგელოზი, მარჯვენა ფრთაზე ჯვარისა წმ. გიორგი. შუაში ამობერვილი ბურთი (უმზო).

16. მეორე დიდი ხის ჯვარი¹⁶, ასეთივე ხელობისა. შუაში აქვს ამობერვილი უმზო დიდი აყიყით. ზემოთ ფირფიტაზე წარმოდგენილია მაცხოვარი: ქვემოთ და ორივე ფრთაზე ოთხი წმ. გიორგი.

17. ჯვარი ხისა, 30 28 სმ. დაბალი ვერცხლის ფირფიტებით შეჭედელი, ქვემოთ წარმოდგენილია წმიდა გიორგი. ლიერ უხეში ნაშუშეგარია ზემოთ კიდევ უფრო უხეში გამოსახულება მაცხოვრისა.

18. ჯვარი მობრდილი, ვერცხლისა, 47×28 სმ. (სურ. 5), ჰუანდ წარმოდგენილია ჯვარცმა წარწერით I C X C. მარცხნივ და მარჯვნივ მედალიონებში სარიანი და იოანე. ზემოთ ანგელოზი. ქვემოთ წმიდა გიორგი. ხელობა ტლანქია.

¹⁶ П. С. Уварова. МАК, IV, გვ. 111 და 112, სურ. 85.



სურ. 5

19. ჯვარი მონადილი. სატარებელი, ნოოქროვილი ვერცხლით მოჭედილი. 72×36 სმ., უფრო კარგი ხელობისა ვიდრე ზემოთ აღწერილი ჯვრები. XIV—XV საუკუნისა. შუაში გამოხატულია ჯვარცმა მარიაჲთ და იოანეთი. ზემოთ და ქვემოთ ფრთებზე წარმოდგენილია თითო მთავარანგელოზი. შემკობილია ცხრა პატიოსანი თვალით. ჯვარცმას აწერია: „იესო მეუფე ჰრიათა“¹⁷.

¹⁷ П. С. Уварова. МАК. გვ. 112 და 110, სურ. 83.

ჯვარცმულის ქვემოთ:


ქრისტე ღთო მეოხ და მფრველ ექმენ სულსა გოგასა დ მ
სისა დედისა ცხორბას¹⁸.

ქვემოთ:

ქრისტე ღთო მეოხ
და მფარ
ვლ ექმენ ჰ
ელოს მის
მვილ
სა მიქ
აელს.

-ქრისტე ღმერთო, მეოხ
და მფარ-
ველ ექმენ პ-
ელოს ძის
წვილ-
სა მიქ-
აელს¹⁹

20. ჯვარი ხისა, ზედ დაჭედილი მოოქვრილი ფირფიტე-
ბით, 45X20 სმ (სურ.6), გვარიანი ნახელავი, შუაში მოჩანს



სურ. 6

¹⁸ [M. Brosset, Voyage., XII, 83. 74].

¹⁹ [M. Brosset, Voyage., XII, 83. 74].

მოშლილი სახე ჯვარცმულისა, ზემოთ წარწერა: I^o X^o „მეუფრა-ათაჲ“, მარცხნივ და მარჯვნივ მედალიონების სურათები მოშლი-ლია²⁰. ჯვრის ზურგიც შევერცხლილია და შემკობილია ზოლებით.

21. ბარძიმი ვერცხლისა, მხედრულის წარწერით:

ქ. მაცხოვარო. მხსნელო: დების. ეკლესიასა.
ძინა. განსწებლო. შეიწირე. მონისა. წერეთლის
გრიგოლისაგან. ბარძიმი ფემსუმი კოეზი და
კამარა ესე ვეცხლისა და მაგე საუენო. ოსა
ცოდეილსა: წელთა: ჩეიგ. (1813).

22. სახარება განთვისული, ეტრატზედ ნაწერი, დამ-ლილი, დანოტივებული და გაფუჭებული მოუვლელით. დაწერილი ყოფილა კარგი ნუსხახუცურით. XIV—XV საუკუნისა.

23. დავითნი ეტრატზედ ნუსხა ხუცურით, თავი და ბოლო აკლია, დანოტივილი და გაფუჭებული მოუვლელით. XV—XVI საუკუნისა.

24. სადღესასწაულო, უშნო ხუცურით ნაწერი, ქალა-დზე, ყდაში. XVIII საუკუნისა. დანოტივებული და მოუვლელი-ბით გაფუჭებული.

25. ოქროს ჯვარზედ, რომელიც ეხლა აღარ არის, ყოფილა შემდეგი წარწერა ბროსეს მიერ გადმოღებული²¹:

ლტოერაეძესა ივანეს შეუნდვნეს ღმერთმან.

და ქვემოთ:

ქრისტე ღმერთო მეოხ და მფარველ ექმენ
სულსა შერთელამისა დილაჲს.

ი ზ ი ო რ ა

სოფელი ქიორა მდებარეობს ლებს ქვემოთ, მისგან სამიოდე კილომეტრზე რიონის მარცხენა ნაპირას. სოფელი დიდია, შიგ მრავალი ძველი და ახალი შენობები დგას. ძველი კოშკებიდან შემორჩენილია მარტო მძალი, ოთხკუთხედი კოშკი. სოფლის

²⁰ [ა. ჩუბინაშვილის შენიშვნით:—ფოტოსურათის თანახმად ისინი არც შეიძლება ყოფილიყო].

²¹ M. Brosset, Voyage .., XII.გვ. 73, 74; [შეად. П. С. Уварова, МАК, IV, გვ. 112 და 110 სურ. 85 ?].

თავში მდგარი ეკლესია ამჟამად განახლებულია. მეორე ეკლესია შიგ სოფელში აშენებულია XIX საუკ. 70-იან წლებში. იგი წარმოადგენს სამნავიან ბაზილიკას, რომელსაც აქვს ოთხი სვეტი და შიგნითა და გარეთ მომრგვალებული საკურთხევლები.

ამ ეკლესიაში არის მხოლოდ ერთი პატარა ხატი იოანე ნათლისმცემლისა, ოქროცურვებული ვერცხლით შეჭედილი, ლამაზი ხელობისა, იოანე ნათლისმცემლის თავი გარემოცულია სმალტისაგან გაკეთებული, მიხაკის ფერი მინანქრით. ხატს აქვს წარწერა: „წ ი ი ო ე“. როგორც გადმოგვცეს, ეს ხატი უბოვნიათ შოდის კლდეში, ყინულებს ქვეშ და აქ გადმოუტანიათ. სხვა ეგვილი ნაშთი ეკლესიაში ვერა ვნახეთ რა.

III გ ლ ო ლ ა²²

სოფელი გლოლა გაშენებულია ქანჭახის წყლის მარჯვენა ნაპირას, ხოლო ამ სოფლის ახალი უბანი მარცხენაზე. ქანჭახის მთა, საიდანაც ეს წყალი გამოდის არის მამისონის უღელტეხილთან. იქაურები, რიონს ეძახიან, მაგრამ ნამდვილად იგი არის რიონის შენაკადი, რომელსაც იმ ადგილას სიდიდით არ ჩამოუყვარდება რიონს. ქანჭახის წყალი მარცხნიდან ერთვის რიონს გლოლას ქვემოთ მისგან 4 კილომეტრზე, შესართავს ცოტა ქვემოთ, რიონზე გადებულია კარგი რკინის ხიდი. ამ ხიდს ზემოთ, ოსეთის სამხედრო გზა ორად იყოფა. ერთი მიდის მამისონის უღელტეხილისაკენ და გაივლის გლოლაზე; მეორე, ხიდს მარცხნივ, რიონის მარჯვენა ნაპირს მიჰყვება და ქიორასა და ლებში მიდის.

ქანჭახის წყალს გლოლასთან მარჯვნიდან ერთვის ბოყოს წყალი. ამ წყალს გაღმა, მწვერვალზე ყოფილა ციხე და მიტოვებული სოფლის სახლები. ეხლა ყველაფერი დანგრეულია. ციხესთან შემორჩენილია ძველი. ქვით ნაშენი ეკლესიის ნანგრევები. უკეთესადაა დაცული აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის კედლები. შემდეგი ნაწილები განახლებული ყოფილა და ეხლა ისინი ედნგრეულია. ეკლესიის აშენებეს მიაწერენ თამარ მეფეს. ეკლესია მობატული ყოფილა. ნაცხოვრის ღრესკის ნაწილი ეხლაც მოჩანს საკურთხეველში. ციხისაგან შემორჩენილია მხოლოდ ნანგრევები ორი კოშკისა. ერთი ეკლესიის მახლობლადაა, მეორე ქვემოთ. ამ ციხის ჩრდილოეთით, მთის კალთაზე, დვას უბრალო დიდი ქვით

²² ლიტერატურა გლოლის სიძველეთა შესახებ: M. Brosset. Voyages., XII, 83-76-77; П. С. Уварова, МАК. IV, გვ. 108-109.

ნაშენი. სულ პატარა ეკლესია, რომელსაც აქვს კარი სამხრეთიდან, და ორი სარკმელი, თითო აღმოსავლეთისა და დასავლეთის კედლებში. ამ ეკლესიის აშენებას მიაწერენ დავით აღმაშენებელს და მას „საბეროს“ უწოდებენ, ვინაიდან აქ მწირს უცხოვრია. შიგნით ეკლესია მოხატული ყოფილა მშვენიერი ფრესკებით, საკუროთხევლის კონქში გამოხატულია ვედრება. შუაში — ტახტზე მჯდომარე მაცხოვარი გაშლილი სახარებით, რომელსაც აწერია:

-მე ვარ ნათელი სოფლისა“ და სხვა.

მარცხნივ ღვთისმშობელია, მარჯვნივ — იოანე ნათლისმცემელი, წარწერით: „ი ე ნ ლ ის მ ც ე მ ე ლ ა“, ამის ქვემოთ წარმოდგენილი არიან მღვდელმოწესენი, სულ ოთხი — ორ-ორი სარკმელს მარჯვნივ და მარცხნივ. წარწერა შერჩენია იოანე ოქროპირს. მარცხნივ — მღვდელმოწესეს უკან დახატულია „წ ა რ ო მ ა ნ ო ზ“. მღვდელმოწესეებს გრაგნილები უჭირავთ. ერთ მათგანს აწერია:

გშუენის:

შენდა: ყო

ველივე

დიდებაა:

პატივი:

ნეორეს:

მოწყალე

ბათათს

მხოლოდ

შობილისა

ძისა: შენი

საითა

მარჯვენა მღვდელმოწესის გამოხატულების ქვემოთ, მერმინდელი ასომთავრულით აწერია²¹:

ქ ე დ ე თ ო შ ე მ ე

წ ე ლ ე მ ე მ ა ს ა რ ე

ბ ე ლ ა ც ო დ ე ი ლ ა ჯ რ

მ გ მ ე ლ თ ს უ მ ვ ა რ ს ა

უ ქ ა რ ა გ მ ო დ :

„ქ რ ის ტ ე ლ მ ე რ თ ო შ ე მ ა

წყალე მე მახარე-

ბელა ცოდვილა ჯუარ-

მცმელთ სუმვარისაა²²

²¹ [M. Brusset, Voyage..., გვ. 76—77].

²² ეს ორი სტრიქონი ჩვენთვის გაურკვეველი დარჩა, სიჩქარისა და სიბნელის გამო: საღამოს მოგვიხდა ეკლესიაში ასვლა, წვიმას აპირებდა, ჩამობნულა და და დაბრუნებას ვეშურებოდით.

დეთას ძეგ
ვინც წარაკითხო
ბრძანოთ შენობ მნცა
მნც შიგ

დავითას ძეგ
ვინცა წარაკითხო,
ბრძანოთ შენდობა, შენცა
შენი ცოდვანი შეგენდოს“

მარჯვნივ:

ღმერთო გ
მარჯვე შე
დავათეთ

„ღმერთო გაუ-
მარჯვე, შეიწყალე
დავათეთ (?)“

შიგ ეკლესიის თაღებზე შემორჩენილია ძველ ფრესკათა ნაწილებიც: ფერისცვალება, ხარება, შობა. სხვა ფრესკები დასავლეთის მხრით სულ მოშლილია.

შიგნით კედელზედ მიყუდებულია დიდი ხის ჯვარი რომელსაც ვერცხლის ფირფიტები აღარ შერჩენია.

ამ ეკლესიაში ინახება ბევრი დროშები, წითელ-ყვითელი ქსოვილებისაგან შეკერილი. გრძელ ტარიანი, მრავალი ზანზალაკებით. აქვე ყოფილა ბრინჯაოს ჭურჭელი, რომლის სურათი გამოქვეყნებულია უფაროვას გამოცემაში²⁵ და რომელიც მას ბოქაულის შემწეობით წაუღია, ხოლო სამაგიეროდ უბრალო რუსული ხატი გამოუგზავნია ეკლესიისათვის.

სოფლის განაპირას ქანჭახის წყლის პირზე დაცულია დიდი ოთხკუთხედი კოშკი. ამბობენ. რომ ეს კოშკი და ციხე შეერთებული ყოფილა გვირავით, მაგრამ მდებარეობა ისეთია, რომ ეს გარემოება საეჭვო ხდება.

თვით სოფელში დგას იოანე ნათლისმცემლის ეკლესია. განახლებული, გარედან შეღესილი და შიგნით კირით შეთეთრებული. კარები აქვს დასავლეთითა და სამხრეთით, სარკმელები თითო აღმოსავლეთით, დასავლეთით და სამხრეთით. ქვის თალი აღარ შენახულა და ხისა გაუკეთებიათ. კანკელი ხისაა. ახალი, ტილოზე ნახატი სურათებით, ტლანქი ხელობისა. ეკლესიის აღმოსავლეთით, ახლოს დგას ქვის ოთხკუთხედი შენობა, რომელსაც ქვემოთ გაშლილი კამარა აქვს. ამ კამარაზე ხის ოთხ ბოძზე აღმართულია ყავრის ფანჩატური, რომელშიც ორი პატარა ზარი ჰკიდია.

²⁵ П. С. Уварова, МАК, 88. 108, სურ. 82.

ეკლესიაში სამი ხატი:

1. მაცხოვრის ხატი, ვერცხლისა. 55×38, 5 სმ. ქვემოდან აქვს ტარი, რომლის ზომაა 12,5 სმ. შინაარსობრივ ხატი სამ ნაწილად იყოფა. ზემოთ წარმოდგენილია სრული ტანით, ფეხზე მდგომარე მაცხოვარი, სამღვდლო შესამოსით, ხელში სახარებით, წარწერით: I C X C. მარცხნივ არის გაბრიელ მთავარანგელოზი, წარწერით: „გ ბ რ ე ლ მ თ ვ რ გ ე ლ ზ ი“. მარჯვნივ—მიქელ მთავარანგელოზი, წარწერით: „მ ქ ე ლ მ თ ვ რ ნ გ ზ“. ხატის შუა ნაწილში წარმოდგენილია ცხენოსანი გამოსახულებები წმ. დემეტრესი და წმ. გიორგისა წარწერებით: „წ ა დ ე“ „წ ა გ ი“. ჩანს სანახევროდ, ქვემო ნაწილი დაფარულია გვიანი ფირფიტებით, შუათანა ფირფიტებზე ნათლისღებაა წარმოდგენილი; მარცხნივ ანგელოზი მოჩანს, მარჯვნივ—რომელიღაც წმიდანის სახე მოშლილი. ქვემო აშიაზე დარჩენილია მარცხენა ნახევარი უწინდელი ასომთავრული წარწერისა; წარწერა ეხლა ორ სტრიქონიანია, მაგრამ ბროსეს დროს სამსტრიქონიანი ყოფილა²⁶.

„წო: გი: გლონისაო...

გლონისა: მოიჭედა...

შკლისა: გიგსა: პტრო...“²⁷, ²⁸.

ხატის არშია მცენარეული ხლართულებით არის მოჩუქურთმებული. აშიებზე წარმოდგენილი არიან: მარცხნივ—თეოდორე („თე“), მარჯვნივ—ესტატე (წ ა ეს ტ ე), ქვემოთ—„წ ა ნ კ (ოლოზ?)“.

2. ვერცხლის ხატი, 41×33,5 სმ. ზემოთ წარმოდგენილია გამობერვით მაცხოვარი წარწერით: „იო ს ქ ე“. მარცხნივ—გაბრიელ მთავარანგელოზი: „გ ბ ლ“ მარჯვნივ—მიქელ „მ ქ ლ“. ქვემოთ მარცხნივ და მარჯვნივ თითო წმ. გიორგი. დიოკლეტიანე მეფის მგმირავი შუბით (წ ი გ ი“). ხელობა ტლანქია.

3. პატარა ხატი ღვთისმშობლისა, ჩვილელი, წელსზევითი, 12,5×9 სმ. ძლიერ უხეში ნახელავი.

²⁶ M. Brosset, Voyage... XII, გვ. 77; [П. С. С в а р о в а. МАК, IV, გვ. 109].

²⁷ ბოლო სტრიქონი ბროსესგან გვაქვს გადმოწერილი.

²⁸ [ფოტოზე ცხადად იკითხება: „შკლისა... გიგსა: პტრე“ (გ. ჩუბინ - შვილის შენიშვნა)].

4. სპილენძის თასი, რომელსაც მხედრულად აწერია:

შემოწირვს (sic): შიოს: ცხიღენელს:

წმინდა: გიორგი. ქალქისა: ეს: თსი

თასი შეუწირავთ იმ ეკლესიისათვის, რომელიც ციხესთანაა ზემოთ, მწვერვალზე. იმ ადგილს დღესაც „ზეთ ქალაქს“ ანუ „ზემო ქალაქს“ უწოდებენ.

გლოლას ზემოთ ყოფილა პატარა ნიშის მსგავსი ეკლესია, მამაწმინდა. ეხლა დანგრეულია. შიგ ყოფილა „მტრედის მსგავსი“ ქანდაკება, რომელიც ოსებს წაუღიათ.

ზემოთ, მის მახლობლად არის რაჭის მაზრაში შემომავალი ოსების სოფელი ღურშევი.

გლოლის დასავლეთით, ტყეში ყოფილა მეორე, წმ. გიორგის ეკლესია, რომელსაც უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონია მცხოვრებთათვის. მას უწოდებენ „შხელის ეკლესიას“. მისთვის დაწესებულია მთელი კვირა მარხვა, ორი კვირით ადრე ყველიერამდე. აღდგომა დღეს ამ ეკლესიაში ზემო რაჭის სხვა სოფლებიდანაც კი მოდიან და იქ სადილობენ ხოლმე, შემოდგომაზე, გიორგობის თვეში აქ იცის დღესასწაული ათენაგენობა. ეს პატარა ეკლესიები ჩვენ არ გვინახავს.

IV ს ო რ ი²⁹

სორში სამი ჩვეულებრივი ერთნავეიანი ეკლესია ყოფილა. ერთი წა გიორგისა, ხეობაში ააენებული, მეორე მთავარანგელოზისა მახლობელ გორაკზე. ისინი ეხლა გაუქმებულია; მათი ნივთები გადმოტანილია ჯვარცმის ეკლესიაში, რომელიც ჩვეულებრივი რიგის ერთნავეიანი ნაგებობაა, ქვითკირით ნაშენი, 13,8 × 8,5 მ, ორი სართავი კამარით და გოდრული თაღით, საკურთხეველი ერთია, მაგრამ მას ახლავს სარკმლის აქეთ-იქით თითო ვიწრო და წალალი ნიში, მათ შორის მარცხენა სამკვეთლოს შეიცავს, სარკმლის ქვემოთ ეპისკოპოსის საჯღოშია, მას ახლავს კიდევ ორივე მხრით საჯღოშები—სხვა მღვდელმსახურთათვის. სარკმელი რვაა, სამ-სამი დასავლეთით და სამხრეთით, თითო აღმოსავლეთითა და

²⁹ M. Bross et, Voyage..., XII, გვ. 65—66; П. С. Уварова. МАК. IV, გვ. 117—120; [ა. კაკაბაძე, საისტორიო კრებული, IV, გვ. 107—108; Н. Минделш, СМОМПК. XIX, გვ. 116—120; გ. ბოჭორიძე, VIII, გვ. 314—322 (№ 49) და ტაბ. XIV და XVI].

ჩრდილოეთით. კარი სამია, თითო ყოველ მხრით გარდა აღმოსავლეთისა. ეკლესია განუახლებიათ 70 წლებში გასული საუკუნისა და მაშინ მიუშლიათ სამხრეთისა და ჩრდილოეთის ეკედრები და გაუფართოებიათ დასავლეთი ნაწილი ტაძრისა.

გადმოცემით ეკლესია აშენებული და მოხატულია საპყარ ერისთვის ქარელინის ქველის მიერ, რომლის სურათი წარმოდგენილია ჩრდილოეთის კედელზე. ეს უნდა მოხდარიყოს XV—XVI საუკუნეში, ხოლო XVIII საუკუნეში ეკლესია განუახლებია შოშიტა III რაჭის ერისთავს, რომლის სურათი დაცულია სამხრეთის კედელზე.

კედლები ეკლესიისა შიგნით სულ მოხატულია ფრესკებით, ასომთავრული წარწერებით, რომელნიც უმეტეს შემთხვევაში წაბლალულია. საკურთხეველში ზემოთ ნაცხოვარია ანგელოზებით და ქერაბიმებით აქეთ-იქით. მის ქვემოთ ვედრება წარწერებით იწე, დღაჲ ქსი, ივანე ნათლისმცემელი. ამის ქვემოთ მხედრული წარწერა:

ქ: ზი: მაცხოვარო: ზირმღთისა: მე: ერისთავი. შოშიტა: შქმიწუაღე³⁰.

ამის ქვემოთ დეკორატიული ანია, მის ქვემოთ მსოფლიო ეკლესიის მამები, ხუთ-ხუთი თითო მხრით სარკმელისა. მათ ქარტები აქეთ ხელთ ასომთავრული წარწერებით. სხვათაშორის აქ წარმოდგენილნი არიან გრიგოლ ღვთისმეტყველი და წაოქრობი. კუთხეებში ანგელოზები.

ერის კაცთა ფრესკები საკმაოდ ყოფილა, ზოგი მათგანი დაზიანებულია და მხედრული წარწერა გადასული. კარგად მოჩანს ჩრდილოეთ კედელზე ქვემოთ, მუხლმოდრეკილი ნავედრებელი ტრეღიძე ქველი წარწერით³¹:

1. შმიდაო: გ: მრავალმალისაო: მეუხ და მფარველ:
2. ექმენ: წე დუთისა: ზრელისმესა³²: ქველსა:

უქანასკნელი სიტყვა უვაროვის გამოცემაში არ არის. ეტყობა ის ა. ხახანაშვილის ვერ ამოუკითხავს³³. ამას გარდა ყოვლად მიუღებელია ხახანაშვილის აზრი, ვითომც წარწერა XI საუკუნის

³⁰ [გ. ბოტორიძე, VIII, გვ. 316: ს. კაკაბაძე, საისტორიო კრებული, IV, გვ. 108].

³¹ [გ. ბოტორიძე, VIII, გვ. 316. № 2; ს. კაკაბაძე, საისტორიო კრებული, IV, გვ. 108: Н. Минделн, СМОМПК, XIX, გვ. 117: П. С. Уварова, МАК, IV, გვ. 117]. პირველი ორი ათა გადაბმულია და შეიძლება ქარელიძესა ნიშნავდეს.

³² [ნ. მინდელის წაკითხვით: „ქარელის ძესა“ (იქვე)].

³³ [ნ. მინდელის პუბლიკაციაში, უქანასკნელი სიტყვა ამოკითხულია (იქვე)].

ეკუთვნოდეს. ამას ვერ იტყვის ვერც ერთი მკვლევარი, რომელსაც თუნდ ერთი მხედრული დამწერლობის ნიმუში ენახოს XI საუკუნისა; სინამდვილეში კი ამ ფრესკის წარწერის პალეოგრაფიული ხასიათი XV—XVI საუკუნეებზე აღრინდელი არ არის.

სამხრეთის კედელზე შერჩენილია სამი სურათი, ერთი წინა მდგომი, როგორც ეტყობა, ეკლესიის მაშენებელია, ვინაიდან ეკლესიის მოდელი უტყობია ხელში.

მესამე სურათის მარტო პირის სახე და მარჯვენა ხელი მოჩანს. წარწერები ამას ასომთავრულით ჰქონია, მაგრამ სულ გაფუჭებულია. რა თქმა უნდა, ესენი რაჭის ერისთავები უნდა იყვნენ. ისინი წითელი მოკლე ტანისამოსით არიან წარმოდგენილნი, დაბალი თავსახურავით, რომელთაც თეთრი ქუბა უფლის ქვემოთ. საზოგადოთ მათი ტანსაცმელი, როგორც უვაროვის ქალიც შენიშნავს, ათაბეგების სურათებს მოგვაგონებენ ზარზმასი.

მესამე ფრესკა წარმოადგენს ცოლ-ქმარს. მამაკაცი ისეთი ტანისამოსით არის, როგორც პირველ სამ ფრესკაზე, ცოლის პირისაზე სრულიად მოშლილია, სამაგიეროდ მშვენივრად მოჩანს მისი მდიდრულად შეკერილი ყვავილებიანი კაბა. ამ სურათს უვაროვისა არ იხსენიებს.

ნივთები სორის ეკლესიისა

საეკლესიო ნივთებით სორის ეკლესია მდიდარი ყოფილა. მაგრამ ბევრი დაკარგულა არა თუ წინათ, არამედ მას შემდეგაც, როცა ეკლესია ინახულა მ. ბროსემ და პ. უვაროვისამ. გადარჩენილი ნივთები ძალიან დაზარალებულია. ჩვენ ვნახეთ:

1. კანკელის წინ დასადგმელი დიდი ჯვარი (296×131 სმ). მარჯვენა და მარცხენა მკლავები ჯვარისა შეიქმნილი ყოფილა ვერცხლის ფირფიტებით, წმიდანების ნაჭედი სახეებით, მაგრამ უმეტესი ნაწილი მოძარცულია; გადარჩენილებზე მოჩანს სურათები: ზემოთ ტახტზე მჯდომარის მაცხოვრისა და მის ქვემოთ ზეზე მდგომი მთავარანგელოზისა ამოღებულის ხმლით მარჯვენა ხელში, წარწერით: შქელ. შუა ნაწილში ჯვარისა მოჩანს შარავანდელი, რომელიცა წმინდანისა და ქვემოთ პერმინდელი მხედრული წარწერა:

ჯაფარიძის ქ[ალი]

მარგს. ამის მეტი ვერ

შეესპელი. ეგელა
 შეეწიეთ. ამისი მაღლი
 ემწიათ.

მეორე ადგილას ჯვარისა გამოსახულია მთავარანგელოზი გაბრიელ ზეზე მდგომი, ლაბარუმით. მის ქვემოთ წა გიორგი ზეზე მდგომი, შუბით და ფარით. უკანასკნელი სურათი ჩვენ კიდევ კალკე გადმოვიღეთ უფრო დიდად. ამას ლამაზი ასომთავრული წარწერა აქვს სახელისა: წა გი. ქვემოთ აქეთ-იქით ახლავს უნაო შესრულებული ასომთავრული წარწერა.

- | | |
|---------------|------------|
| 1. [ქმ]ოიჭედა | მრკზის დეკ |
| 2. ნოზობსა | სულანსა |
| 3. ჰელესნო | ბა (სა) |
| | 4. კოზა... |
| | 5. ისძი... |

უქარაგმოდ:

„ქ. მოიჭედა მარკოზის ლეკანოზობასა, სულასსა პელოსნობასა კობა(ხ)ის ძისა“³⁴.

2. წმიდის გიორგის ხატი, 27X20,5 სმ (სურ. 7). წმ. გიორგი ზეზე მდგომარეა, შუბით და ფარით. წარწერით: წი გვი. ხელობა ტლანქია. ფენგები ბალახოვანი შემკობილებით. მარცხნივ იწყება და ქვემოთ გაგრძელებულია ასომთავრული დაზიანებული და გაუგებარი წარწერა:



სურ. 7

³⁴ ქ. უეაროვეას გამოკვამში წარწერა მოყვანილი არ არის (იხ. П. С. Уварова, МАК, IV, გვ. 118, ტაბ. XI.1); [გ. ბოჭორიძე, VIII, გვ. 318, № 1 (ქუთ. მუხ. № 1937)].

მე

ბ

ქრა ე ბმ

ი...²⁵

3. ხატი ღვთისმშობლისა, 27,5×21 სმ. ყოფილა ფერადებით ნახატი, მხატვრობა ეხლა მოშლილია. ოქროთ დაფერილი ვერცხლის ფენგები დაკულია. ზემოთ ასომთავრულით განირჩევა ასოები.

ღ ღ რ თ

ღ მ ს ი²⁶

4. მთავარ ანგელოზის გაბრიელის ხატი, 60×41 სმ. ოქროთ დაფერილი ვერცხლით ნაჭედი, ბურთით და ლაბა-რუმით ხელში, ლამაზი ხელობისა. წარწერა ასომთავრულით:

ვ ბ ლ მ თ რ ი

ა ზ ი²⁷

5. მაცხოვრის დიდი კარედი ხატი. წამლით შესრულებული, მხატვრობა სულ მოშლილია, ფენგები მოყვითლული ვერცხლით შეჭედილი გამოსახულებებით და ბალახისებრი შემკულობით: ზემო ორ ფირფიტაზე გამოსახულია მთავარანგელოზები, ორზე კი ჯვარცმა; ეხლა სულ გაფუჭებულია და უმეტეს შემთხვევაში მოძარცული.

წინაპირზე, ქვემოთ, მარცხენა კუთხესთან ბ. უვაროვას დროს ყოფილა წარწერა შერეული, უშნო ხუცურ მხედრული ასოებით, რომელიც ჩვენ დროს აღარ იყო (ფოტო № 95)²⁸. წარწერას პირველი ნახევარი კარგად იკითხება, დანარჩენი სავარაუდოა. წარწერას ჩვენ ასე ვკითხულობთ:

ჯვარცმისა: ხატი

მეოხ და მფარველ ექმენ: მირიანს (?)

(მეოხ) ექმენ იაკუბ ოსტატსა მისა მეუ

ღლეს (?)²⁹

²⁵ [გ. ბოჭორიძე, VIII, გვ. 320, № 6 (ქუთ. მუხ. № 1915)].

²⁶ [გ. ბოჭორიძე, VIII, გვ. 320, № 5 (ქუთ. მუხ. № 1917)].

²⁷ [გ. ბოჭორიძე, VIII, გვ. 322, № 1 (?)].

²⁸ П. С. Шаповал, МАК. IV, гв. 119, სურ. 95.

²⁹ [გ. ბოჭორიძე, VIII, გვ. 318—319].

6. მაცხოვრის ხატი ქარედი, მომცრო, კარებებზე წარმოდგენილია წამლით შესრულებული მთავარანგელოზები, მარცხნივ „მქლ“ (მიქელ), მარჯვნივ „გბლ“ (გაბრიელ). შიგნით ზემოთ გამოსახულია ქრისტე წელამდე, წამლით შესრულებული, წარწერით I C —, გარშემო მოჭედილობით.

ხატის ზურგზე, მოოქროვილი ფირფიტა შემკობილია ჯვრის სახით და ასომთავრული წარწერით:

ქ მ ს დ რ ი
 კ ე ნ ც ა ნ ი ვ თ რ : კ ა მ რ
 ნ ი ჩ დ ა
 გ ა რ დ მ შ ე დ (sic) მ ე ბ დ მ ც თ მ ი
 ლ თ ჩ ე ნ ც ა მ ე მ ე ნ ც ხ ე რ ნ ი წ
 მ დ ლ ნ ი მ რ ნ დ ა ნ თ ლ
 ი თ რ თ ჩ ნ თ : ა რ თ ა
 ა რ ს მ ქ ნ ლ ო ჯ
 რ ც ს ხ ტ ო

უ ქ ა რ ა გ მ ო ლ :

„ქრისტე (რომელმან) მოსდრიოქენ ცანი ვითარ კაპოანი, ჩვენ-და გარდმოვტედ ძიებად შეცდომილთა, ჩვენცა შეგვცინე ცხოვარნი წ (მიდან) მადლნი, მირიანს და ნათელითურთ ჩვენით, არსთა არს მქნელო ჯვარცმისა ხატო“⁴⁰.

7. ჯვარცმის ხატი⁴¹, ზომით 24×19 სმ: ესეც წამლით დახატული. წარმოადგენს ჯვარცმას, მაგრამ ძალიან დაზიანებულია.

თვით ჯვარცმას მარგალიტის მძივი უვლის, ზემოთ ლალის ქვა ამშვენებს. ხატის ზურგზე ჯვარია გამოსახული და აქეთ-იქით ასომთავრულით უწერია:

+	რ
მელი	ჩნთვ
ის ჯვრ ს:	ეცვი: ქ
ე ლთო: ჩნო:	მეოს მე

⁴⁰ [M. Grosset, Voyage..., XII, გვ. 66; Н. Минделл. СМОНПК. XIX, გვ. 29; გ. ბოჭორიძე, VIII, გვ. 319–320. № 4].

⁴¹ [M. Grosset, Voyage..., XII, გვ. 66; Н. Минделл. СМОНПК. XIX, გვ. 119; გ. ბოჭორიძე, VIII, გვ. 320].

ევ ჰრელ ის მესა
 მირიან ს: და ცო
 ლს ა ჩ
 მ სს

უქარაგ მოღ:


„ქრისტე, რომელი ჩვენთვის ჯუარს ეცვი. ქრისტე ღმერთო ჩვენო შეობ შეყავ ჰრელის ძესა მირიანს და ცოლსა ჩემსა“.

8. მაცხოვრის ხატი, 27×18,5 სმ, ყოფილა ფერადით დახატული, ეხლა გაფუჭებულია. შეჭედილი ყოფილა ოქროფერილი ვერცხლით. გვიანი დროისა. მაცხოვარს აწერია: იწ: ქე. ზურგზე მხედრული-წარწერაა:

ქ: ჰ ი: რომელი: მოხვედ: ზირვე
 ლ: ცთომისა: და ხსნად: იესო: ჰეო: ღ
 თნისა: ცხოველისაო შემწეაღე: მე: ერ
 ისთვის: შეილი: სო სია: რომელმან: გელვ
 უავ: მკობად: ხატისა: ამის: შენისა: რათ
 ა: ღირს შეოთ: მე: მარჯვენით: შენსა:
 დადგრომაღ: დღესა: მას: დიდსა:
 განკითხვისასა: ამინ: მაცხო-
 ვარო: მშვიდობით:

დაიწვევ: ერისთვის: შეილი: ქაიხოსრო: ამინ:
 წარწერა ეკუთვნის XVI—XVII საუკ. ⁴².

9. მაცხოვრის ხატი, 21×16,5 სმ. (სურ. 8), ყოფილა



სურ. 8

⁴² [ს. ბოკორიძე, VIII, გვ. 318, № 2 (ქუთ. მუხ. № 1913);
 П. С. Уварова, МАК, IV, გვ. 118 და 119, სურ. 94; Н. Миндели,
 СМОМПК. XIX, გვ. 120].

წამლით დაბატული, მხატვრობა მოშლილია. მოყვითლული ვერცხლის აშიები შემკობილია ლურსმულის მსგავსად. წარწერა მაცხოვრისა: 1°C X°C.

ქვემოთ ასომთავრული წარწერა:

ქე ღთო მფარველ მექმნ მოსჴ [სა]

მნსა მექმნსა; აქ და მასა უკნ [ესა]

უქარაგმოდ:
„ქრისტი ღმერთო მფარველ მექმნ მოსაესა შენსა მემნასა, აქა და მას საუკუნესა“⁴³.

10. მთავარანგელოზ გაბრიელის ხატი მოოქროვილი ვერცხლისა, 31,5×23,5 სმ წარწერით: წა გ ლ, (სურ. 9). გაბრიელი ზეზე დგას ბურთით ხელში და ლაბარუმით. აშიები შემკობილია ფოთლების მსგავსად, დაზიანებულია. ქვემოთ შეჩენილია ხვეული ასომთავრული ლამაზი წარწერა:

წ გ ლ: მეოხ: ექ

ვ: ნნსა: თვ დდმ [ლსა?]



სურ. 9

⁴³ [გ. ბოკორიძე, VIII, გვ. 319, № 3 (ქუთ. მუხ. № 1916)].

უქარაგმოდ:

„წმიდაო გაბრიელ, მეოხ ეყავ ნენიასა თავდიდის შვილსა (ანუ თავდიდაის-შვილსა)“⁴⁴.

11. ხატი ღვთის მშობლის ხარებისა, ლამაზი ნახელავი მოყვითლულის ვერცხლის აშიებით და წარწერით-ხარება; დახატულია ფერადებით, იყოფა ორ ნაწილად. ზემოთ მარჯვნივ ღვთის მშობელი სკამზე მჯდომარე, შემკობილი შარავანდდით, რომელსაც ზემოთ უხის მოყვითლულ ფენგებზე ორი ცვირფასი ქვა, ხელში დადებული აქვს წიგნის მსგავსად ვაშლილი რვეული(?). მარცხნივ მთავარანგელოზი სრულის ტანით. ქვემო ნაწილზე ორი მხედარი სრულის ტანით შუბით და ფარით, მარცხნივ [წა] მწაშე დიმიტრი (?), მარჯვნივ წა მოწაშე კოსტანტინე წარწერებით სახელისა. ზემოთ პატარა მედალიონში წელს ზვეითი მაცხოვარია, რომელიც აკურთხებს ორივე ხელით.

12. ბარძიმი ვერცხლისა, მხედრული წარწერით⁴⁵.

ქ. მოიხსენე უფალო: დედოფალი მარიაჲ.

13. თეფში ვერცხლისა, წარწერით⁴⁶:

ქ. მოიხსენე: უფალო: ბატონიშვილი:
დარეჯან.

ქ: მეფის ქალის: დარეჯანის: არის:.

14. ტეფხუში ვერცხლისა, წარწერით⁴⁷:

ქ. მოიხსენე: უფალო: ბატონიშვილი:
დარეჯან:

15. ვარსკვლავი და კოვზი, ვერცხლისა.

16. ოლარი მოქარგული, წმინდანების სახეებით და შემკობილი ცვირფასი ქვებით. ზემოთ მაცხოვრის გამოსახულება და ხარება. ქვემოთ ხუთი წყვილი სურათი სხვადასხვა წმინდანებისა, სულ ათი⁴⁸.

17. საეცხლური ვერცხლისა.

18. ორი პატარა ვერცხლის დოქი⁴⁹.

⁴⁴ [გ. ბოქორიძე, VIII, გვ. 320, № 7 (ქუთ. მუხ. № 192)].

П. С. Уварова. МАК, IV, გვ. 119, სურ. 96: წარწერის ტექსტი არ არის მოკვანილი. ცხლად ნათქვამია, რომ წარწერაში ვინმე იფანჯა იონხენებელი. ოლარიქ ჩანს ა. ააანაშვილს სააელი „მნსა“ გაუხსნია რომ ორც „იფანჯა“

⁴⁵ [გ. ბოქორიძე, VIII, გვ. 321, № 9 (ქუთ. მუხ. № 1908)].

⁴⁶ [გ. ბოქორიძე, VIII, გვ. 321, № 11 (ქუთ. მუხ. № 1910)].

⁴⁷ [გ. ბოქორიძე, VIII, გვ. 321, № 10 (ქუთ. მუხ. № 1909)].

⁴⁸ [გ. ბოქორიძე, VIII, გვ. 321, № 14 (ქუთ. მუხ. № 1924)].

⁴⁹ [შვაჟგ. გ. ბოქორიძე, VIII, გვ. 321, № 12 (ქუთ. მუხ. № 1911)]

19. ჩაფხუტი რკინისა

20. ენქერი ნაკერი

20. სახარება, სორის ეკლესიიდან ჩამოტანილი,⁵⁰ ეტრატზედ 28×17,5 სმ. ნაწერია ორ სვეტად, ნუსხახუცური ხელით, სულ დაწლილია, ფურცლებ-არეული და დასვრილი. ამოვიღე ნავიდან, სორის ეკლესიაში, რომელიც ებარა სრულიად უვიც მნათეს და უყურადღებოდ იყო დატოვებული. ყდა დამპალია. შენახულა მხოლოდ მისი საწი ნატეხი და თითბრის საბმული. სახარება შემკული ყოფილა საუცხოვო, ფერადოვანი კამარებით (დაცულია მხოლოდ ერთი, გასვრილი კამარა) და ოთხი მახარობელის სურათით. ანათგან დაცულია ორი: ლუკასი და იოანესი. ლუკაზის საწიგნეს წინ, გაწლილი სახარებით, რომელზედაც ორ სვეტად სინგურით უკვე დაწერილია დასაწყისი მისი სახარებისა (ნუსხახუცურით). იოანე უკარნახებს პროზორეს, რომელსაც უკვე დაუწერია პირველი სიტყვა მისი სახარებისა. ზემოთ, კუთხეში ჩანს მაკურთხეველი ხელი უფლისა. ყოველი სახარების დასაწყისში არის პატარა სამკაული თავსართი—ოთხკუთხედი, ფერადი შენახატი, რომელზედაც სინგურით სწერია, თუ რომელი მახარობელის თავია.

თითოეული სახარების პირველი მეთაური ასო შემკულია მიწიანტურულ კაცის სახეებით, ღამაზი ხელობისა. მათეს სახარების დასაწყისი და მისი სამკაული ყველაზე უფრო გასვრილია.

ჩვეულებრივი მეთაური ასოები ზოგი შავი მელნით არის ნაწერი, ზოგი სინგურით. სახარებას ბოლოში ჰქონია სარჩევი. სულ დაცულია 206 კაბადონი. ამათში ორი სხვა ხელთნაწერი. სახარებისა არის, ისიც გაფუჭებული.

იოანეს სახარების ბოლოს, ტექსტის ხელით სწერია:

ჟ. ედ წო სმზო დთო ჩწო

მეოზბითა ედ წიღისა ღ

მრთის მმობლისათა:

ღა ძალითა ცხელს მე

ოფლისა პტსნისა ჯათა

მზბითა წთა მთვრნგზ

თათა. ღა წღისა იწე

⁵⁰ [საქართველოს მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა—კოლექცია H, ტომი IV, თბილისი, 1950, გვ. 136—137, № 1707].

ნთლის მცემლისაჲთა
 და მსზბითა წთა მასა
 რებლთა და ღთის მეტ
 უუტლთა. მათე. მა
 რკოს. ლუკა და ინეს
 ითა. და ულთა წთა
 შნთა ვედრბითა ა
 დიდუ და დაატეკ ულთა
 გნ ვნებათა სლრთა
 და ჯორცლთა ვარდ
 ან, ავლეველი. მ
 ადიდებლდ ღთბისა შნი
 სა. რნ სიუუარული
 თა შნითა აღმაწერი
 ა წა ესე ოთხთავი
 მლოცველსა მთსა. უ
 ნდოსა არსენის:—
 და მე ვარდან შემნ კო
 სტანტისმან სალოცვე
 ელად სლრისა ჩიოსათს
 და მოსაჯესებლდ სლსა
 მშობლთა ჩმთა და შვი
 ღთა და მომავალ
 თა ჩნთა ულთათს: და
 ვდეკ მონასკერსა
 ჩნსა სამარხვოსა და
 სამლოცველოსა ჩნ
 სა, სედარსა წდრისა
 თევდორესსა: გვე
 დრბი ულთაჲ მლდე
 ღთა და დენთა და ეთა
 მოწესეთა რა ლცვით

მოგესენებოდის ულ
თაგონ სლდი ჩი უა სას
არებისა წარკითხ
ვისსა და უთა ლცვა
თაცა ზა: ვინ რაათა
ცა მიზნითა იკადროს
და გლეგოს ტნეუშბდ
ამისსა წიდრით ვეკლსთ ჩნით
კრლმცა არს პირითა
ღათა და უთა წთა მა
დღითა და ამით ოთის
თვრითა ან:—

იოანეს სახარების სარჩევის დასასრულს სწერია:

ორ ივ ქე მეო და სტეო
ღთისო შეიწეღე ს
უღით და ჯორცით
ვარდან ავლეგ
ელა:.

მეორე სახარების სარჩევის ბოლოს:

ორ ივ ქე მეო და სტეუა
ო ღთისა ცხოვლისო
ადიდე სლდითა ჯორც
თა თანა: პტრნი ჩი
ვარდან, ავლეგლი:—

მარკოზის სახარების სარჩევის ბოლოს XIV საუკუნის მომსახო
შხედრული ასოებით სწერია:

ქ: არის: მკელთაგან: მონასტრისა: საქონებელი: გადაწმი
მისითა: შესავლითა: და მიქონებია: წყს მალექმანიძე
და გოგინაძე: მისითა: ერთი: ზვარი: მერცხალა: მონასტერს:
ალექსის: სეული. მისითა: დებურელელი: მისითა:
ერთი: უანა: ბალაურისა: ნახევარი: ესე: პირველად

მონასტრისა: ეოფილა: და აწ: ახლად: მე: ერისთავსა:
ბედანს: დამიმტკიცებია: და ვინცა: გამოახვას: იგი
მცა: რისხავს: აწ: წინამძღვარი: დამიუენებია და მისით პირი
თა: მონასტერსა: ამსახუროს: თუ: მან: რამე: დაგაკლოს
ჰკითხე: ჩუენ: არას: გვემართლები: წურომასა:

ამას ზემოთ სხვა, ჟფრო წვრილი მხედრულით:

ქ: ესე: წიგნი: ჰკადრეთ: და მოგახსენეთ: ჩუენ
ერისთავმან: ლომინამან და ჩემა მამა
ქახოსრო: მას: ეამსა. როდეს: მოკითხულ
ვექნით: რაცა: ბედანის: აღაპი: იუთ: გარადა
კარადანილ იუთ: სამაღალებო: ერთი
ზროხა: კუდარული: და: ერთი: ცხვარი: ეწერა.
აწ: მისად: სანუქმოდ: შემოგვიწირავს:
ერთი: ზროხა: და ზროხა: ცხოვარი:
და ორი: გვერდი: ჰური ეოველათა: [ამად]
ლაუებათა: დაღეთა: ერთი: ცხოვარი: [და ცვი]
ლი: მახრობლის: შვილისა: შინალავერეულ
ის: ვენახისა: ორი: წილი: ეოველთა ამა
ლალაებსა: დღესა: ისარევე: აღაპსა: იქმოდეთ
ვინცა: ესე: შესცვალოს: რაცა: ბედანსა
საფიცარი: დაუწერია: ისიმც: რისხავს:

მეორე გვერდზე—სხვა, XVI საუკუნის (?) მხედრული ხელით:

ქ. სახელითა: ღთისა: შენ: მხსნელო: და მეოსო: და მფარველო
სულისა: ჩუნისაო: იესო: ქრისტეო: და მაცხოვარო: და ჯვარ-
ცმაო: ქრისტესო: რომელმან: ჩუნისა: მხსნათვის: ჯვარცმა და
ითჰინე: მე: სასოებით: მონღობილმან: თქუენმან: ერისთავმან:
ბედან
დავღვე: და შემოგწირე: სალაპოდ: და სალო [ცველა] დ: ხულისა
ჩუენი
სათვის: ერთი: ვენახი: მუხლუხუელი: ერთი: ჰური: მახა-
რობლის:

შვილის: სეული: ერთი: ზროხა: კუდროს: ბეგრისაგან:
 ერთი: ცხ
 ვარი: და ერთის: საკლავისა: ცვილი: მახარობლის: შვი-
 ლისა: და ორი
 სახაბაზო: ჰური: ეოველთა: ამაღლობათა: დღეთა: კარ: გან-
 ღებთ:
 აღაზი: გარდისდებოდეს: სუთითა: მღრღლისა: წირვითა:
 და ერთი: ვეცხ
 ლისა: მაშრახა: დამიდგამს: ჩემთა შვილთა: სასიმრთელოდ:
 ღვირო
 სა: რაგვარაც: ვის: უნდოდეს: იმითი: სმიდენ: ჩემად: შესა
 ნდობლად: ვინც: ესე: მომამალოს: დასაბამამდის:
 ჩემან: შვილმან:
 ანუ: ჩემან: გვარის: კაცმან: გინდ: შემდგომად: ჩუნსა:
 სხვათა:
 პატრონთა: და ერისთავთა: რისხაესმცა: მამა: მე: და სული:
 წმიდა: კრ
 ულ: წვეულ: და შეჩვენებულმცა: არის: სული: და გორცი
 მისი: ქრისტის: უარის: შეოფელთა: თანამცა: დაისჯების:
 ნაწილი...

შემდეგ აკლია.

სახარების სოლოს მეომინდელი ხუცუროთ მიწერილია:

ასაღცისეს კარელელსა აპრონს და მისთა დედა მშთა
 შ-ეს დ-ნ.

იქვე, ქვემოთ: მეომინდელი მხედრულით:

რანიცა: წმიდანნი: ამა შიგან: სწერისხართ
 იოსტინეს: ცოდვილსა: სული: შეიწყალეა
 ვინცა ბრძანოთ: თქვენცა: შეგინდოს. ღმერთმან.
 ამი უფალთ: შემოგხვეწივარ: წმიდანო.

ქვემოთ სხვა ხელით, მხედრულით:

ქ: ღმერთო: შეიწყალე: პაპ
 უნა: ერის: თვიშვილი: ცო

დვილი და: საწუალო

ბელი: ამინ: და კირელი:

ამ სახარებასთან ახლავს ერთი ფურცელი ქალაღდისა, რომელზე-
დაც სახარების სარჩევი წერებულა, XVIII საუკუნის ნუსხახუცუ-
რით. ბოლოს უწერია:

...[ა]კმარე სუხრბ^ა ესე ამის პ^ატრონს ეფთვიძე

ს: მღ^აღლ მონაზ

ონს

ქქ^ას: ჩღ: ლბ:

(ეს თარიღი ასომთავრულით სწერია)

იოანე მახარობლის სურათის ქვემოთ ტექსტის ხელით:

[ოთხნო თავ] ნო მს^არებლ^ანო მთ^აე მრ^აკზ ლუკა და ი^ანე
შემიწუ^ალე

ც^ადვილი [ამდეველი ვარდან...?].

სარჩევის დასაწყის ფურცელზე მხედრული ხელით სწერია:

ქ: ღმრთისა: დედისა: მისისა: თავს

ღებობითა: და: ჯვარცმის ხატისა:

თავსღებობითა:

ცხორი (?) ზევისა: თა

ეს ღებობითა: დავ

დევით: ესე: წი

გნი: ჩვენ: მმ

ათა: გრიგოლ:

...ბ: და: ბუ

თამან: და: ჩ

ნთა: შვილთა:

მმობისა: და ერცხ

ლობისა: აჰა: ჰი

რსა: ზედა: დღე

სითგან: წაღმა: ჩვენი: ევალაი: ერ

იი: იუოს: და სწორი: ბართ: შემოდებელი

და: შინა: მონაგროვები ეველაი: სწორი:

იუოს: რასაც: წავა...

სოფელი აგარა ნიკორწმინდის ახლოსაა. აქ არის ჩვეულებრივი პატარა ეკლესია, ქვეით ნაშენი. კარი მას დასავლეთითა და სამხრეთით აქვს, სარკმელი თითო ოთხივე მხარეს. კანკელი ხისა აქვს.

ეკლესია მოხატულია. ფრესკებზე არის ასომთავრული ხუცუური წარწერები. საკურთხევლის ცაში არის ჯერ ვედრების კომპოზიცია ანგელოზებითურთ, მის ქვემოთ მაცხოვარი, რომელიც ჯვარს სწერს მწირველ ანგელოზებს. გამოხატულია დიდი გამოსვლა, ხოლო მის ქვემოთ—ეკლესიის მაშენებლები. დასავლეთის კედელზე გამოხატულია წა გიორგი და წა თეოდორე.

ისტორიული ფრესკები მხედრული წარწერებით

ჩრდილო კედელზე, აღმოსავლეთით:

წულუკი⁵² მერაბ⁵³, თანამეცხედრე მისი ჩიჯავაძის ქალი ანა.

მოჩანს მხოლოდ ანას თავი, დანარჩენი გაფუჭებულია.

ამავე კედელზე, დასავლეთის მხარეზე:

ლოლაძის ქალი (ელენე)⁵⁴

კარგად არ მოჩანს. არც მისი კმრის ფრესკაა დაცული.

სამხრეთის კედელზე, დასავლეთის მხარეზე:

დათუა წულუკი⁵⁵.

ფრესკაც სულ გაფუჭებულია, მხოლოდ თავის ნაწილი მოჩანს. დასავლეთის კედელზე:

...ერისთვის ქალი მარეხ⁵⁶.

სახეცა და ტანიც ცუდად არის დაცული.

შემდეგ ამავე კედელზე შემორჩენილია წარწერა:

... მერაბის: თანამეცხედრე: მისი [მე] გიორგი:

[თანამეცხედრე მისი] ჩიქოვანის ქალი ნესტან ღარეჯან.

⁵¹ [გ. თაყაიშვილს არა აქვს განყოფილი ხოტევი (შეად. M. Brosset. Voyage..., XII, გვ. 59-61; გ. ბოჭორიძე, VII, გვ. 220-223); შეიძლება, ბნელით (იხ. განაკვეთი VII) ცალკე ეპიგრაფიკულ ხოტევის ეპიგრაფიკის ხატივს].

⁵²⁻⁵³ [M. Brosset, Voyage..., XII, გვ. 61].

გიორგის სახე მოშლილია. ნესტან დარეჯანის სახე სანახეც-
როდ არის დაცული.

საკურობეების ჩრდილო ნახევარსფეროზე დაცულია:

ნიკოლაოზ დონაძე

ამ ისტორიულ ფრესკებს გარს უვლის წარწერა. გამოყვანი-
ლი წაფი მხედრული ასოებით:

მაცხოვაროა. სოტევისაო. ალვაშენე. მე წულუკიძემან. მე-
რამბა. და. თანა. მეცხედრემან. ჩვენმან. ჩიჯავაძის. ქალმან.
ანამ. ეკლესია. ესე. და. შევაძვე. ხათია. და. ჯვართა.
და. წიგნითა. სადიდებულადა თქვენდ. საოხად. და. სახსრად.
სულისა. ჩემისა. მეთა. ჩვენთა. გიორგი. და. ქაიხოსროს.
წასამართებულად. ავაშენე. და. დავახატენე. ქონსა შქ. ოვ.
ვინც. შენდობა. ბრძანათ. ღწნ შენდოს.⁵⁶

ქორონიკონში შეცდომაა. ჩვენი აზრით ასოები „შ; ქ“ უნდა
ნიშნავდეს „შემდგომად ქრისტესა“, ხოლო „ოვ“ არის ქორონი-
კონის ასოები, რომელთაც თავში უნდა აკლდეს, „ტ“, „ტოვ“ კი
უღრის 376 რიცხვს. ე. ი. 1688 წ. ის რომ წარწერა ეკუთვნის
XVII საუკუნის მეორე ნახევარს ამაში ეჭვი არაა, რადგან ავტო-
რი შემდეგ წარწერაში ამბობს, რომ ის ლევან დადიანის ვაზრდი-
ლია. მაშასადამე, ყველაფერი, რაც მას მოუმოქმედნია იმერეთში,
სამეგრელოში და გურიაში, უნდა მომხდარიყო ლევან დადიანის
სიკვდილის, ე. ი. 1657 წლის შემდეგ. ამ დროს ჰქონია მას ოპი
როგორც იმერეთის მეფესთან, ისე დადიან-გურიელთან.

ამრიგად, ეკლესია აშენებული და მოხატულია 1688 წელს.
ამ დროს მისი მეუღლე ყოფილა ანა ჩიჯავაძის ასული, რომლისა-
განაც ჰყოლია შვილები გიორგი და ქაიხოსრო. მეორე მისი მეუ-
ღლე, როგორც ჩანს ბიჭვინთის მე-XVII საუკუნის დასასრუ-
ლის ერთ გუჯრიდან, ყოფილა აბაშიძის ასული დარეჯან (იხ.
ს. კავაბაძის დასავლეთ საქართველოს ისტორიული საბუთები. წი-
გნი I, გვ. 85, თბილისი, 1921 წ.).

ისტორიული წარწერები თავდება დასავლეთის კარს აქეთ-
იქით მხედრულად დაწერილი ლექსით:

⁵⁶ [შეად. გ. ბოკორიძე. VII, გვ. 224; M. Brosset, Voyage...
XII გვ. 60].

მ ა რ ჯ ე ნ ი ე ;

ქ: ჰე: მაცხოვარო: გვედრივარ: მე შერაბ: შენის: დიდებით
ჩვენთ: გვართა: ქონდათ: ეს: რაჭა: მრავალი: კიდის: კიდებით
მეცა: შევმატე: მრული: არც: მტერთა: გრდაკიდებით
და: აწ: ნახეთ: რა ვქენ: ემრწვილმან. სოფლისა: ან(ა)ზი-
ლებით.

ქ: აირველ ოდიშსა: დავიმეარ: მამული: მეტლ: ბევრია
მერმე: აქ: ჩემი: სამკვიდრო: ეოკლებან: მოვშალე: მტერი
იწროთას: აქათ: სონამდის: და: სონიც: შიგან: ერია
და აწ: ნახეთ: ესე: სოფელი: თუ: როგორ ბინდის:.
ფერია

ქ: მე: დადიანმა: გამზარდა: ლევან: მღთივ: დოვლათიანმ
სრულ: მას: მონებდა: ქვეყანა: დაიპერო: მრავლ ემიანმან
სწორ: უპოველმან: სმკლეთსე: მან: ჭკვიანმან
და: სრმლიანმან
და: ნახეთ: რა: უყო: სოფელმან: ამ: მუხანათმან: ზიანმან.

მ ა რ ც ხ ნ ი ე ;

ქ: შვილურადა: მზრდიდა: მასწავლა: ზნეობა: ეოვლი: წე-
სები ნახეთ: სოფლისა: სიცრუე: სიზმარ: ეოფილი: ესები
არ: შიანია: წუეულსა: უარეს: უკეთესები
და: არ ვის: გაუთავდების: წვლთ გლს დანკნესები⁵⁷.

წარწერები ნივთებზე

1. ეერცხლის ფეშხუმს მხედრულად აწერია⁵⁸:

ქ: წმიდაო გიორგი მსნეო და მხედარო აგარისაო შემოშიწი-
რავს⁵⁹ მე წულუკიძეს მერაბს ჩემთვინს ვერ სადღეგრძელოთა
მერმე სულის საოსათ ორი ფეშხუმი ერთი კამარა ერთი ვერც-
ხლის კობზი (sic) ორი ვერცხლის ნიტრა (sic) ერთი სამდულრავი
და ერთი საზედამე მე დამიჭირავს წულუკიძეს მერაბს ჯინჭროლ-
სა და იწროთას შუა გაღმა ჭრებალო და ზოგიმი მათს გარდღმა
ოკრიბა და ტეილებური და მშა ნიკორწმინდლათ დამისვაშს და

⁵⁷ [გ. ბოკორიძე, VII, გვ. 222—223; M. Brosset, Voyage..., XII, გვ. 60—61].

⁵⁸ [ა. ქუთათელიძე, მოამბე, VII, გვ. 59—60; იქვე, გვ. 59, იხ. ქვე-
მოთ მოყვანილი ნივთების (2—5) წარწერებიან შესახებ].

⁵⁹— დედანში: შემომიწვას.

მეორე მხა კიდე სოფს სოფლათ დამისვამს ნასუკუნევს სორგას
სასახლე მისი შემაველის კაცინათა და სონი კიდე სულათა:.

ამას გარეთ სხვა რაც მიქნია ამაზე რომ დამეწერა
სანგრძლათ მოვიდოდა და ნიკორწმიდის ეს სასაფლაო ამიძენე-
ბია და ჩემს ამბავს ვინც წაიკითხუთ იმაზე დამიწერია და იქ
შეიტეობს⁹. სხვა სამს წელიწადს ვიყავი ოდიშს, გურიას და
იმერეთს (sic).

სამი ბატონი ხელმწიფე გარდმეკიდა ღვთით ვერა მაწინა-
რა თან სვანზე რა გვარად გავიძარჯვე ვინ იცის, ან სხვა მტერ-
ზე რა ვქენი. აწ უკურე მესთაღს სოფელს თუ მისი ბეგარა არ
მოძალოს ვინ შენდობა ბრძანო [თქვენცა შეგინდოს ღმერთმა].

2. მეორე ვერცხლის ფეშხუმზე:

მე მერაბს წულუკიძეს შემომიწირავს წმიდის გიორგისათ-
ვის აგარისათვინ.

3. კალის პატარა ჯვარზე:

ქ. ცხოველ მუოფელო: ჯვარო წულუკიძე მერაბ: აცოცხლე
და აცხონე.

4. ვერცხლის კოვზზე:

ეს კოვზი შემომიწირავს მე წულუკიძე მერაბს წმინდის
გიორგისათვინა.

5. ვერცხლის კამარაზე:

წმიდო გიორგი აგარისო შემომიწირავს ეს კამარა მე წუ-
ლუკიძეს მერაბს ჩემთვის ვერ სადღეგრძელოთ მერე ხულის
საოხათ ამინ.

ხ ა ტ ე ბ ი:


1. ხატი ღვთისმშობლისა, ჩვილედი, 24×17 სმ.
ვერცხლის ნიშბი მოცილებული აქვს. აშიებზე გამონახტულია ხატის
თემკვეთი ცოლ-ქმარი.

სულ ზემოთ მაცხოვარია, მის ქვემოთ ღთავარანგელოზები,
ხოლო აქეთ-იქით წელზევითი ფიგურები. ქვემოთ არის მხედრ
ლი წარწერა:

⁹ ნიკორწმინდაში ეს საფლავი აღარა ჩანს.

ქ. სასელითა: მადითსათა (sic): მოვაჭედინე: ჰატი: ესე: ეოლაწმედისა: მე: წერეთელმა: ღომკაცმა და მისთანა: მეცხედრემა ელენემ: ჩენათ (sic) სადღეგრძელოთ: და სულისა ჩვენისა სახსრად: ამინ უფალო.

2. აგარის ეკლესიის მთავარი ხატი წმ. გიორგისა, დიდი, 126X72 სმ., ოქროთი დაფერილი ვერცხლისა⁸⁰. წა



სურ. 10

⁸⁰ [გ. ბოკობიძე, VII, გვ. 223—224 (ქუთ. მუზ. № 1926); ა. ქეთათელაძე, მთაბბე, VII, გვ. 59].

გიორგის გამოსახულება გამობერვითაა ნაჭედი. იგი ზეზე დგას, ტანზე ჯავშანი აცვია. მარჯვენა მხარზე გადებული აქვს ბრტყელი ხმალი, რომლის ტარი მას მარჯვენა ხელით უჭირავს. მარცხენა ხელი ხმლის ქარქაშზე უდევს, იქვე, უკან არის ფარიც. შარავანდები და აშიები მოთვალული ყოფილა, მაგრამ 55 თვლიდან ცხრაღა დარჩენილა. გარდა ამისა, აშიები შემკული ყოფილა გამობერვით ნაჭედი, ოჭროცურვებული ვერცხლისაგან გაკეთებული წმიდანთა ფიგურებით. თოთხმეტი ფიგურიდან ახლა მხოლოდ რვა დარჩენილა. მათ შორის: ღვთისმშობელი, იოანე, წმ. ნიკოლოზი, იოანე ნათლისმცემელი და მარკოზი. ძველი წარწერისაგან შემორჩენილია მხოლოდ სახელი „წა გი“ კლასიკური ასომთავრულით დაწერილი. დანარჩენი მოგლეჯილია. სამაგიეროდ, ხატის განმარტებელს ქვედა აშიის ზემოთ, წმ. გიორგის ფეხებთან, გაუკეთებია ხუთ სტრიქონიანი ასომთავრული წარწერა:

წო. გი: შეიწყალე ეგნ
 უქიბე: მოძღვრი სბა
 მისი ძეილი. ზოსიმე. გა
 ეშელ. წო. გი უშველე. მ
 აშუს. დავითსა.

უ ქ ა რ ა გ მ ო დ :

„წმიდაო გიორგი, შეიწყალე ეგნუქიბე მოძღვარი საბა, მისი შვილი ზოსიმე, გავაშელი. წმიდაო გიორგი, უშველე მამუკასა, დავითსა“.

როგორც ამბობენ, ეს ხატი ჩამოუტანიათ წის გის მთიდან, სადაც ყოფილა ჩუქურთმებით შემკული ეკლესია, დანგრეული.

ახლა ხატი მკვიდრად და უძრავად არის განთავსებული ეკლესიის შუა ნაწილში, ისე რომ ქანდაკების შთაბეჭდილებასა ჰქმნის. მიუხედავად დაზიანებისა, იგი ერთობ ლამაზია. თავდაპირველად იგი XI საუკუნეში უნდა იყოს გაჭედილი.

VI. ს ხ ვ ა ვ ა⁶¹

სოფელი სხვაეა ორია, ზემო და ქვემო. ზემო სხვაეაში, გო-რაქზე არის პატარა ძველი ეკლესია, ჩვეულებრივი რიგისა, ახლა

⁶¹ სხვაის შესახებ იხ. П. С. Уварова. МАК. IV, გვ. 125—127; [გ. ბოკორიძე, VIII, გვ. 289—292].

დანგრეული. მეორე ახალია, გუმბათიანი. იმაშია გადმოტანილი ხის კანკელი სხვაგვარი ყოფილ მონასტრიდან (საჩხერის გზაზე, მთაში). მაგრამ კანკელი არც ძველია და არც არქეოლოგიური თვალსაზრისით საყურადღებო. ნაქედი ხატი აქ მარტო ერთია, წმინდანებისა. ერთობ ტლანქი ხელობისა.

ქვემო სხვაგვარი ახალ, ჯვრისებრ, გუმბათიან ეკლესიაში ინახება:

ხის დიდი, 2,45 მეტრის სიმაღლის ჯვარი²², რომელიც თავისი სიდიდე-სიმძიმით მოგვაგონებს ჩხარის ეკლესიის ჯვარს. განსხვავება ისაა, რომ აქაური ჯვარის უმეტესი ნაწილი შემოდარტულია და ჟოცხლის ფირფიტები დაკარგული. ჯვრის ქვემო ფრთის ნაწილი, მთელი მარცხენა ფრთა და ზემო ფრთის ნაწილი გაშიშვლებულია. დარჩენილი ფირფიტები და მათზე განოხატული სურათები სხვადასვა დროისაა. უწველესი ჩვენის აზრით, XI საუკუნისაა. არის ჯვრის თავი, რომელზედაც კარგადაა გამოხატული ხარება, წარწერით: „ხ რ ბ ა“, შემდეგ ფერისცვალება, ნაწილობრივ დაცული შუაში (იესო ქრისტე და ილია) და მარჯვენა ფრთისაკენ (მოსე). სხვა ფირფიტებზე წარმოდგენილია: ქვემოთ მხედარი (ვგონებ წმ. გიორგი), წინასწარმეტყველი საული (წ რ ს უ ლ ა), დ დ ი ლ თ ს, წ ი პ ე ლ ე, იოანე ნათლისმცემელი, წ ი პ ე ტ რ ე და მთავარანგელოზი: მ თ რ ზ ი გ ბ რ ე ლ. ორი უძველესი წარწერიანი ფირფიტა ნაკლულადაა შემონახული. ერთი ამათგანის ქვემო ფრთაზე ყოფილა:

უპრცოთა: მთვრო: გბრიელ: მ
ეოხ: დ მფარველ: ეევ: ორთავე
შნა: ცსორებთა: მმკობს: შენს
ა: რატის: რჭის: ერსთვს: დ შესა:

მეორე, ამგვარივე ასოებით გამოყვანილი წარწერა მილურსმულია ქვემო ფრთის შუა წელზე, განზე. წარწერას თავი მოკრიბილი აქვს და დარჩენილი ნაწილი ზემო პწკარის ასოებისა დაფარულია ზედ დაკრებული ფირფიტით, რომელზედაც მთავარანგელოზია გამოხატული:

²² [П. С. Уварова. МАК, IV, гл. 125—126 და ტაბ. XLIII; გ. ბოქორიძე, VIII, გვ. 291—292 (ქუთ. მეზ. № 2736); Г. Н. Чубинна-швили, კულვა., გვ. 489—492, ფოტო 277—282].

... კხბრს: დ.
ლსას: შნს: შმვლნ: დ მჟვევნ: და ჯვ
:დ ეკლესისა: შვილნი:

მ თ ლ ი ა ნ ა დ წ ა რ წ ე რ ა შ ე მ დ ე გ ი შ ი ნ ა ა რ ს ი ს ა ყ ო ფ ი ლ ა :

უჯრცოთა: მთვრო: ცბრეელ: მ
ეოს: დ მფარველ: ევე: ორთავე
შნა: ცხორებთა: მშკობს: შენს
ა: რატის: რჭის: ერსთუს: დ ძესა: [ში]
სსა: კსბერს: და აშენენ: აზნორნი: [გვ]
ლსას: შნს: შმვლნ: დ მჟვევნ: დ ჯნი
:დ ეკლესისა: შვილნი⁶²:

უ ქ ა რ ა გ მ ო დ :

„უხორცოთა მთავარო გაბრიელ, მეოხ და მფარველ ეყავ ორ-
თავე შინა ცხორებათა მამკობსა შენსა რატის რაჭის ერისთავსა
და ძესა მისსა კახაბერს და ააშენენ აზნაურნი, ეკლესიასა შენსა
შემავალნი, და მოჰვეენი და ჰვენი და ეკლესიისა შვილნი“.

ქვემოთ ორსტრიქონიანი წარწერა, უფრო წვრილი ასოებით
გამოყვანილი⁶³:

წ ო გ ბ რ ი ე ლ მ თ ვ რ : ა ნ გ ლ ზ ო : შ ე წ ე ლ ე ვ ზ ტ ნ [გ ი]
ს მ ე : მ ო ი ჯ დ ა მ ს ნ : ნ ც ე ლ ო ბ ს ა : შ ი ნ დ . შ ო ს .

ე. ი. „წმიდაო გაბრიელ მთავარანგელოზო, შეიწყალე ვახ-
ტანგისძე, მოიქედა მისსა ნაცვლობასა შინა და შიოსა.(?)“.

აქ საეჭვოა ამოკითხვა ბოლო სიტყვისა, რომელიც შეიძლება
ნიშნავდეს „შეეუნდოს“ და არა „შიოსა“.

ჩვენის აზრით, ამ წარწერებში მოხსენებული — რაჭის
ერისთავნი რატი, კახაბერი იგივე პირნი არიან, რომელნიც
იხსენიებიან ნიკორწმინდის წარწერაში და ეკუთვნიან XI საუ-
კუნეს.

⁶² ალ. ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ა მ წ ა რ წ ე რ ი ს ბ ო ლ ო ს ი ტ ყ ე ვ ბ ა მ გ ვ ა რ ა დ კ ი თ -
ხ ე ლ ო ბ ს : „ შ ე მ კ ო ბ ს შ ე ნ ი ს ხ ა ტ ი ს ა რ ა ჭ ი ს ე რ ი ს თ ა ვ ს და ძ ე ს ა (და ვ ი თ ს) “ . (ი ბ .
П. С. Уварова, МАК, IV, გვ. 126).

[წარწერის გადმონაწერები შემოწმებულია ფოტოს მიხედვით].

⁶³ ქ. ბ ო ჭ ო რ ი ძ ე , VIII, გვ. 291-292].

სხვაეაში აღარ აღმოჩნდა ბრინჯაოს პატარა სარკე, რომლის სურათი გამოქვეყნებული აქვს პ. უეაროვას⁶⁵.

VII. ხოტევის ეკლესიის ზატიკი

ეს ხელნაწერი მე გაუქმებულ და გავერანებულ ხოტევის პატარა ეკლესიის ნაგავში ვიპოვნე⁶⁶.

ზატიკი, 23×19 სმ. დაწერილია სქელ ეტრატზედ ნუსხა ხუცურის ხელით. სათაური და მეთაური ასოები ნაწერია სინგურით, ყდა აქვს ხისა შავ ტყავ გადაკრული. თავში და ბოლოში აკლია. სულ 24 რვეული, უკანასკნელს ორი ფურცელი აკლია. XV საუკ. უნდა ეკუთვნოდეს. მე-20 რვეულის მესამე ფურცლის ბოლოს სხვა ნუსხა-ხუცურით არის მინაწერი.

წესე ჰასეკი მე კანდელაკმ გბრლ შემოწერე შდ ჩნსაჲ სასოებასა სჷსა ღთებისსა რა არა მომაგო მსგესად ნაცოდათა ჩმთა და აღმისუბუქო ტვრთ მპიმობა ჩმი: და ვინცა ესე ამ ჩმსა ბატონისა საუდრსა გმოსწიროს ჩის. ცდვსაჲ ჰასესი მრ მომცეს: დღესა მს დიდსა გნკითხესაჲ: —

მხედრული მინაწერები შემდეგის დროისა:

ქ. მადღელი ივანე: შეიწუალე: ღმერთო: და: ნუ:
უზამ: მტერის: გუნებისსა: ამინ

უფრო ძველი მხედრულით:

ქ. ნასხიდაი: ვიკადრებ: მამო: მესტუმრო:
ქ. ღმერთო: და ო.: თხნო: თაუნო: მოციქუ
ღნო: იხსენი: და: მოარჩინე.: ნასხიდაი: ამინ:

სხვა ხელით:

ქ. ღმერთო.: ამ.: ჰატოსანის.: საუდრის.: გელათის:
კენათელ.: ნიკოლოზ.: ცოცხალით.: ცხონებით.: დაიცვე:.

გვიანი ასომთავრულით ჩართულად:

ქე დო შე ცნი: გჲ ან კნ.

⁶⁵ [П. С. Уварова, МАК, IV, გვ. 126, სურ. 102 გ. ბოკორიძე, VIII, გვ. 292 № 2, ქუთ. მუხ. № 1837].

⁶⁶ [საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმი—ხელნაწერთა კოლექცია № 1718: საქ. მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, II კოლექცია, ტომი IV, გვ. 151, თბილისი, 1950].

კიდევ ერთი მინაწერი უჩვენებს, რომ ზატიკი ყოფილა ზატი-
ელ (ხოტეველ) მიქელ ჭიჭინაძის.

VIII. ხონჭიორი

ხონჭიორი დიდი სოფელია. იგი გაშენებულია მთაზე მიქარ-
წმინდას ზემოთ და ქელიშის მონასტერს ქვემოთ, ქელიშის წყლის
პირად. ქელიშის მონასტრიდან ხონჭიორამდის 11 კილომეტრია.
ხონჭიორში ძველი ეკლესია არ შენახულა. ორი ეკლესიაა—ორივე
ახალი, გუმბათიანი. ერთ მათგანში დარჩენილია ძველი ზატების
გაფუჭებული ნაწილები, რომელნიც, როგორც ამბობენ, ქელიშის
მონასტრიდან არის გადმოტანილი. გადარჩენილი ნაწილები შედ-
გება სხვადასხვა ხელობის და სხვადასხვა დროის ნაკეთებისაგან,
რომლებიც ძელებზეა მიღურსმული. ხონჭიორის ძეგლები სრულიად
უცნობია ჩვენს ლიტერატურაში.

1. ჯვარცმის ხატი. პირველ ყოვლისა დიდად საყურად-
ღებოა ნაშთი ჯვარცმის ხატისა¹⁷. დაცულია მეტად დაზარალებული
ზედა პირი ძეგლისა 28,5×23,5 სმ. ეხლა მიღურსმულია ქელზე
და შედგება ორი ნაწილისაგან: ჯვარცმის ხატისაგან, რომელიც
დიდ ოთხკუთხედის შუაშია მოქცეული და ფართო აწიებისაგან,
რომელნიც შემკობილი ყოფილა 20 დიდი მინანქრით დამუშავებუ-
ლი მედალიონებით. ფიგურა ჯვარცმულისა ოქროსია, გამო-
ბერვით ნაქედი, ძალზე დაზიანებული. ქრისტეს თავი აღარა ჩანს.
მთელი ეზო ჯვარცმულისა, ესე იგი მთელი შინაგანი დიდი ოთხკუ-
თხედი ხატისა, შემკობილი ყოფილა მინანქრის მედალიონებით,
სხვა ფიგურებით და პატიოსანი ქვებით. კუთხეებში ზემოთ და
ქვემოთ წარმოდგენილი ყოფილა ხუთკუთხოვან მედალიონებში
მთავარანგელოზები, მაგრამ კარგად დაცულია მარტო ერთი მედა-
ლიონი მარცხნივ ზემო კუთხეში, რომელზედაც მინანქრით წარმო-
დგენილია მიქელ მთავარანგელოზი, წელს ზევით და ბერძნულის
წარწერით სახელისა (HAXHM). სამი სხვა მედალიონის სურათება
მოშლილია. ამას გარდა კარგად დაცულია კიდევ სამი პატარა,
მაგრამ ერთობ საუცხოო ხელობის მინანქრიანი მედალიონი, ამთ-
ში ღვთის მშობლისა—M^ρΘ—მარცხნივ ჯვარცმულისა, იოანე ნა-
თლისმცემლისა—IHO—მარჯვნივ და წმინდა ნიკიტასი—OKHTA—
ქვემოთ ჯვარცმულისა. უკანასკნელ მედალიონს ზემოთ თან ახლავს
მინანქრით შემკობილი პატარა დეკორატიული ფირფიტა. ასეთი

¹⁷ [გ. ბოკორიძე, V, გვ. 182 (ქუთ. მუხ. № 1932)].

ფირფიტები წინ უძღვიან აგრეთვე ღვთისმშობლის და იოანეს მე-
დალიონებს. სახელები მედალიონებში წარმოდგენილი სურათებისა
ბერძნულის ასოებით არის შესრულებული.

სულ მაღლა ჯვარცმულისა წარმოდგენილია ნაქედი წელზე-
ვითი ფიგურა მთავარანგელოზისა ლაბარუმით ხელში, უმინანქროთ.
ამის ქვემოთ მედალიონის სურათი მოშლილია, ასეთივე სურათი
მოშლილია აგრეთვე წმინდა ნიკიტას ქვემოთ მოქცეულ მედა-
ლიონში. ხატის აშიები, როგორც მოვიხსენიეთ, თავდაპირველად
შემკობილი ყოფილა ოცი მინანქრიანი დეკორატიული მრგვალი
მედალიონით, ხუთ-ხუთი თითო აშიაზე, მაგრამ მარჯვენა აშიაზე
მხოლოდ ორი ასეთი მედალიონის ნაშიი ჩანს, სხვა სამი, უშნო,
მერმინდელია, ალბათ განახლების დროს მიმატებული. მერმინდე-
ლია აგრეთვე ქვემო აშისი უკანასკნელი მედალიონი მთავარანგე-
ლოზის ტლანქად ნაქედი გამოსახულებით. დეკორატიული მინანქ-
რიანი მხატვრობა დაცულია მხოლოდ ორ მედალიონში მარცხნივ
და მარჯვნივ ზემო აშისისა, სხვებისა მოშლილია. ხატი, როგორც
ნათქვამი იყო, შემკობილი ყოფილა 30 ძვირფასი ქვით ბუდეებში,
ეხლა ხუთი აკლია, მაგრამ მათი ბუდეები დაცულია.

ქვემოთ ხის ფიცარზე, რომელზედაც მიღურსმულია ნაშიი
ხატისა, ამოჭრილია უშნო ასომთავრულით წარწერა:

ჯვარო ქრისტესო, შეიწეაღე ცოდვილი გიორგი ბუაპე

ბუაძენი ეხლაც ცხოვრობენ ხონჭიორში. თქმა არ უნდა,
წარწერა გვიანი დროისაა და იხსენიებს იმ პირს, რომელმაც ხატი
მიაჭედა ხის ფიცარზე და მით გადაარჩინა სრული განადგურე-
ბისაგან.

ასეთია სამწუხარო მდგომარეობა ამ ერთდროს უაღრესად
შესანიშნავი ხელოვნების ხატისა, რომელიც უნდა ეკუთვნოდეს
XI—XII საუკუნეს. ხელობა ბიზანტიური უნდა იყოს, რასაც მოწ-
მობენ ბერძნული წარწერები.

2. ხ ა ტ ი. რომელიც შედგება ხეზე დაკრული სხვადასხვა
ფირფიტებისაგან⁶⁶. ერთ ფირფიტაზე ჯვარცმა ყოფილა გამოსატუ-
ლი, მაგრამ ჯვარცმულის ფიგურა მოშლილია. მარჯვნივ ჩანს ორი
მამაკაცი, ხოლო მარცხნივ დედაკაცებია. ქვემოთ არის ხუცური
წარწერა:

ო რ დ რ მ მიიქსენე წუალობით ნკზ>

[ს]ოხსატელი დნლის სმბძორსა გზდრ[ი]

⁶⁶ [გ. ბოკოროძე, V, გვ. 183, № 8 (ქუთ. ბუხ. № 1933); Г. Н. Ч у -
б и н а ш в и л и, კვლევა, ფოტო 386 და გვ. 317—319].

ვ. ი. „უფალო ღმერთო, მოიკსენე წყალობით ნიკოლოზ
[ს]იხასტრელი დანიელის ხამბაშურისა გაზრდილი“.

ამ ფიქარზე, ჯვარცმის აქეთ-იქით მიჭედელი სხვა ნაჭრები უმნიშვნელოა, მაგრამ შესანიშნავია ქვემოთ. განცალკევებით მი-
ლურსპული მედალიონი, რომელზედაც მშვენიერი ბიზანტიური
მინანქრით გამოხატულია წმ. გიორგი, წელს ზევით. მას ხელში
შუბი თუ ლაბარუმი უჭირავს. ფონი ოქროსფერია, შარავანდედი—
მწვანე, სამოსელი - მოყვითალო, ლურჯი და თეთრი ზოლებით;
თმა—შავი, პირი—თეთრი, მედალიონის დიამეტრი 3,5 სმ. უდ-
რის. წარწერა ბერძნულია:

O	Γ
Γ	H
C	O
P	C

3. ღვთისმშობლის ხატი ჩვილედი, ოქროსურვილი
ვერცხლისა, ზომით 55×42 სმ (სურ. 11). აქვს გამობერვით ნაჭედი
წარწერა: ΜΡ Θ^ς V^ς.

ღვთისმშობლისა და ძის შარავანდედები შემკულია 13 პატიო-
სანი თვალით. ერთი აკლია. კუთხეებში აგრეთვე აკლია თითო
დიდი თვალი, ზემოთ კუთხეებში კიდევ თითო დიდი თვალი უზის.
თვლები ყველა ჩასმულია წვრილი მარგალიტის მძივის ბუდეებში.
ზემო აშიაზე, შუაში არის საყდარი, ექვსი პატიოსანი თვლით შემ-
კული, აგრეთვე მარგალიტების ბუდეში ჩასმული. საყდრის აქეთ-იქით
ტლანქი ხელობით გამოხატული მთავარანგელოზებია. ქვემო აშიაზე,
გამობერვილ მედალიონში გამოხატულია ჯვარცმა. ამის მარცხნივ,
დედა ღვთისა ჩვილედი, მარჯვნივ იოანე უნდა იყოს. მარჯვენა
და მარცხენა ფენგებზე გამობერვილ მედალიონებზე წარმოდგენი-
ლი არიან ორი მთავარანგელოზი და ორი სხვა წმიდანი, ყველა
უწარწეროდ.

ხატის ეზოსა და ფენგებს შორის არის შიდა აშია, შემდგა-
რი სხვადასხვა ნაჭრებისაგან, რომლებზედაც დარჩენილია ულაზათო
ასომთავრული ასოები. ამ ნაწყვეტ-ნაწყვეტ წარწერის აზრის აღ-
დგენა შეუძლებელია:


• [მ. ბოკორიძე, V, გვ. 182—183, № 6.]

წო	მკ	რსი	ვ-ნ	ნმ
ღ-ს	მ	ს-ი		მ
უ	მე	ნ		მ
მფე	იჩ			



სურ. 11

4. ლეთისმშობლის ხატი ვერცხლისა, ზომით 39,5×28 სმ (სურ. 12). შემკულია ორი ფირუზით¹⁰. აქვს წარწერა:



სურ. 12

¹⁰ [გ. ბოქორიძე, V, გვ. 182, № 5; ორნამენტული ფრაგმენტები ზემა მარჯვენა და ქვემო კუთხეებში, იხ. Г. Н. Чубинашвили. И. Квелеса, ფოტო № 264, 265 და გვ. 554].

დ || ა || ლი || სა; ქვემოთ წარმოდგენილია ჯვარცმა, წარწერით:
ჯ რ ც მ ა: ქ ი

ზემოთ ფირფიტებზე ტლანქი სურათებია: შუაში ქრისტესი (ა-რ ქ ე), მარცხნივ სურათზე წარწერაა: ბ ა
ნ ა

გვერდებზე გამოხატულია ორი მთავარანგელოზი ბურთებითა და ლაბარუმებით, მარცხნივ წარწერით: შ ი ქ ა ე ლ .

ქვემოთ—გრიგოლი და იოანე: წ ა გ რ ი გ ო ლ , წ ა ი ო ა ნ ე .
ჯვარცმაზე წარწერაა:

ქ სულსა ჩ	ე . ი .	„სულისა ჩ-
ვნისა:		ვენისა
სალოცველ		სალოცველ-
ად. ვნაშ		ად ვინა შ-
ენდობით		ენდობით
მოგვექს		მოგვექსენოს
რაფაელა		რაფაელა
შეუნდს		შეუნდოს
ღთმა:		ღმერთმა
ენ უთ--		ვინ უთ[ხრათ შენდობა]
თქვენც		თქვენც-
ა შეგიდოს		ა შეგინდოს-

ქვემოთ მეორე კარგი ფირფიტაა, მოოქროვილი, ალბათ სხვა ხატიდან გადმოტანილი. მას აქვს ლამაზი წარწერა, რომელიც მხოლოდ მეორე ნახევარს უნდა წარმოადგენდეს:

... შ ძისა შენისა ბრა კუირილეს დ
... ლიკის რმ: ესე ხატი აქა დასუენ:>

ე . ი .: „... შ ძისა შენისა ბერისა (?) კუირილეს და
...ლიკის რომ ესე ხატი აქა დაასუენა“.

5. მ ა ც ხ ო ვ რ ი ს ხ ა ტ ი⁷¹, ვერცხლისა 31,5×26 სმ (სურ.
13). აქვს წარწერა: „მ ა ც ხ ვ რ ი ჩ ე ვ ე ნ ი“⁷².

⁷¹ [გ. ბოკორიძე, V, გვ. 181, № 3].

⁷² [წარმოდგენილია წმ. ნიკოლოზ მღვდელმთავარი (გ. ჩუბინაშვილის შენიშვნა)].



სურ. 13

აქვე სხვადასხვა ტლანქ ფირფიტებზე არის ასომთავრული წარწერები:

- | | | | | |
|---------|--------|-------|--------|------------|
| ა) ნთლი | ბ) მვრ | გ) გბ | დ) მ | ე) ჯვარცმა |
| სღებ | ანგ | ლ | ქელ | ქრისტესი |
| ა: უფ | ელო | | ვ) წდ | იენე |
| ლისა | ზი | | ზ) რას | ქ |
| | | | | ლი ე'რ |

თვით ხატის წარწერა:

ჩხელა ს: გარე
ანიძე ს: შეს
ლომე ცოდ
ვანი: და
შეუ ღლე
ს მისსა

წ. გულდაბ. უოფილ [მა]რინ
ეს: შეუნდვ ღო [ნ] ცო
ღვნი შესა მთსა ულე
მზიას შეს: ღომან [ამინ]

უკარაგ მოდ:

„ჩხელას გარაყანიძეს
შეუნდოს ღმერთმან
ცოდვანი და მეუღლესა მისსა.
წ. გულდაბ ყოფილ (მა)რინ-
ეს შეუნდევ ღმერთმან ცო-
ღვანი, ძესა მათსა ულუ-
მზიას შეუნდოს ღმერთმან (ამინ)“

6. ლაბარუმი. ვერცხლით შეჭედილი. შეჭედილი ნა-
წილის სიგრძე 34 სმ². წინა პირი ოქროცურვილია და ზედ
ჯვარცმაა გამოსახული. წარწერა სანახევროდ მოშლილია:

ჯ'ცო	გ'გსც	ე. ი.	„ჯვარცმაო გიორგის ც-
ქ'რს	ო'ღნი		ქრის- ოღვანი
ტ'ესო	[მისნი		ტესო, [მისნი
ტ'ჟნი	მნდს		გარაყანი- შეუნდენს
შეს	ღ'ნ]		ძეს ღმერთმან]“

მეორე ვერცხლით შეჭედილ გვერდზედ გამოსახულია ღვთისა
ღვთისა ჩვილედი, ტახტზე, წარწერით:

ფე	ღო	
ღ	ო	
ტ'ჟნსმ	ეს: მიქე	
ღ'ს	შ'ე	ე. ი.
ფო	უნ	„ღვთაო ღვთისაო, გარაყანიძეს
ღ	ღ	მიქელს ცოდვანი შეუნდვენ“
კ	კ	
ნი	ნ	

²² [ს. ბოკორიძე, V, გვ. 183, № 7; ა. ბარნაველი. ქართული
დროშები, თბილისი, 1953, გვ. 34—37, ტაბ. XII და XIII].

7. ბარძიმ-ფეშხუმი, ვერცხლისა. ბარძიშზე მხედრულად აწერია:

გარსმიბაძეს რუსეთიდმ ოთხთავი სახარბა კრის.

IX. მ რ ა ვ ა ლ ძ ა ლ ი⁷⁴

მრავალძალის ძველი ეკლესია ყოფილა პატარა, თლილი ქვით ნაშენი და ბარელიეფებითა და ჩუქურთმებით შემკული. ეხლა ეს ეკლესია გადაკეთებულია, ისე რომ ჯვარული გეგმა აქვს და გუმბათი ადგია. იგი თლილი ქვითაა მკვიდრად ნაშენი. ახალ ეკლესიაში უცვლელად დაუყოლებიათ ძველი ეკლესიის აღმოსავლეთი ნაწილი. ზოგიერთი ჩუქურთმიანი სარკმელები და ჯვრებიც ჩაუშენებიათ კედელში. ახალი ეკლესია დაუმთავრებიათ 1894 წელს. დასავლეთის მხრით მას სამრეკლო აქვს მიშენებული. ძველი კედლის აღმოსავლეთ ნაწილში შუაში გრძელი, მაგრამ ვიწრო და ზემოთ მომრგვალებული სარკმელია. ამ სარკმლის აქეთ-იქით კაცის თითო ქანდაკებაა. ორივეს ცალ ხელში ჯვრიანი კვერთხი უჭირავს, ხოლო მეორე აშვრილი აქვთ სავედრებლად. ერთს ფეხი დაუბიჯებია გველემაპისათვის, ხოლო მეორეს „იქედნესათვის“ ანუ კაცის მსგავს ცხოველისათვის (გაფუჭებულია და კარგად არ გაირჩევა). თავზედ ორივეს მომრგვალებული ჩაჩი ხუროავს. ტანზე ახალუხის მსგავსი სარტყელიანი სამოსელი აცვია. სარკმლის თავში არის ჯვრის ქანდაკება, რომელსაც ქვემოთ ფოთლები აქვს. სარკმლის კამარის ქვემოთ ლამაზი ძველი ასომთავრული წარწერა⁷⁵:

ქ. წ. ო. გ. ძ. ე. კეთლად მღწნა ამს ეკლესიასანა

ქარაგმის გახსნით:

„ქ. წმიდაო გიორგი, შეიწყალენ კეთილად მოღვაწენი ამის ეკლესიისანი“.

⁷⁴ ლიტერატურა მრავალძალის სიძველეთა შესახებ: M. Brosset, Voyage..., XII, გვ. 78—80; П. С. Уварова. МАК, IV, გვ. 122—125; [გ. ბოჭორიძე, VIII, გვ. 303—310].

⁷⁵ [გ. ბოჭორიძე, VIII, გვ. 303; M. Brosset, Voyage-..., XII, გვ. 78].

სარკმლის ზემოთ ქვაზედ ამოჭრილია ჯვარცმა მარიამითა და იოანეთურთ. ზემოთ ორი ა გელოზია გამოსახული, ხოლო ქვემოთ კაცის თავი (და არა თავის ქალა). ამას ზემოთ იმავე ასომთავრულით სწერია:

ქე შე ნკლოზი⁷⁶

ე. ი. „ქრისტე, შეიწყალე ნიკოლოზი“

ერთი ძველი ჩუქურთმიანი სარკმელი ჩაუტანებიათ სამრეკლოს სამხრეთ კედელში. ამ სარკმლის თავზე ჩუქურთმიანი ჯვარია ამოჭრილი. ჯვრის ორივე მხრით სწერია (ისეთისავე ასომთავრულით როგორც აღმოსავლეთის კედელზე):

წო	ტ	ე. ი. „წმიდაო გიორგი,
მხ	ქვ	მეოხ ყყავ კალატოზსა ჯოვანესა“
კლსა ⁷⁷	ჯოვა	
	ნე	
	სა	

მეორე ჩუქურთმიანი ძველი სარკმელი ჩატანებულია ამავე სამრეკლოს ჩრდილო კედელში, მაგრამ მას წარწერა არა აქვს.

ერთი ლამაზი ძველი ჩუქურთმიანი ჯვარი ჩატანებულია კიდევ ახალი ეკლესიის მარჯვენა ფრთის დასავლეთ კედელში.

საკურთხეველი შიგნით უცვლელად არის დაცული. მარჯვნივ და მარცხნივ მას ძლიერ დიდი, ფართო უბეები აქვს დატანებული კედლებში. წინათ ისინი ასრულებდნენ სამკვეთლოსა და საღიაკნოს მაგიერობას. ზემოთ კუთხეებში ჩანს თითო ქური ხმის გამაძლიერებელი. კონქი დახატულია ვედრება: ტახტზედ მჯდომარე მაცხოვარი გაშლილი სახარებით, რომელზედაც იკითხება: „მე ვარ ნათელი სოფლისა“ და სხ. მარიამი მარცხნივაა გამოხატული, იოანე ნათლისმცემელი—მარჯვნივ.

მარიამისა და იოანეს უკან თითო სხვა ფიგურაც მოჩანს. ამათ წინ კამარაზე გამოხატული ყოფილა შობა.

⁷⁶ ბროსეს გამოცემაში: ნკვთნი..., M. Brosset. XII, გვ. 78; [გ. ბოკოროძე, VIII, გვ. 303, I].

⁷⁷ ამ სიტყვის პირველი ასო წაბლაღულია, მაგრამ ასო კ მინც გაირჩევა. ბროსეს გამოცემაში: სულსა. იხ. M. Brosset, Voyage..., XII, გვ. 78; [გ. ბოკოროძე, VIII, გვ. 303, III].

პ. უვაროვას მოწმობით⁷⁸, ძველ ეკლესიას ჰქონია სამი სარკმელი (თითო აღმოსავლეთით, დასავლეთითა და სამხრეთით) და სამი თაღის სალტე. სოფლებში დაცულია გადმოცემა, თითქოს საკურთხევის კონქში თამარ მეფის თმა მოჩანს.

ეკლესიის სიძველენი

1. წმ. გიორგის ხატი, ოქროცურვილი ვერცხლისა, სულ დაშლილი და დამტვრეული⁷⁹ (სურ. 14). ბევრი ნაწილი სულ აღარ.



სურ. 14

⁷⁸ [П. С. Уварова, МАК, IV, гл. 125.]

⁷⁹ [გ. ბოკორიძე, VIII, გვ. 304—306, № 4; П. С. Уварова, МАК, IV, гл. 124; M. Brosset, Voyage..., XII, гл. 79].

შერჩენია. ზომა 81×59 სმ უღრის. წმ. გიორგი წარმოდგენილი ყოფილა ცხენოსანი—დიოკლეტიანე მეფის მგმირავი. ცხენის ტანი და დიოკლეტიანეს სახე სულ მოშლილია, დარჩენილია მხოლოდ თავი და ჯავშნის ნაწილი. აშია მერმინდელია, ვერცხლისა. მარცხენა აშიაზე წარმოდგენილია ქაშვეთის წმიდა გიორგი: „წა: გრ̄ გ კშოსო“; მარჯვენა აშიაზე—იოანე ნათლისმცემელი „წა ნთლსცმელ“; ზემო აშიაზე—ანგელოზი. ხატს ზემოთ აწერია: „წე (sic) გე (sic)“ ქვემოთ ყოფილა ორსტრიქონიანი წარწერა, რომელიც ახლა ნაკლულია:

1. წა: გრ[გი მრავ-ძაღ]ო: მმწუა[ვ]მე
უღრსა: წმ: ღმთ:
2. მე ცოდვილ[სა...]ე: ოქრომჭედლს
შენსა: გრ̄გს

ქ ა რ ა გ მ ე ბ ი ს გ ა ხ ს ნ ი თ :

1. „წმიდაჲ გიორგი მრავალძაღო, შემწე მეყავ მე უღრისსა წინაშე ღმრთისა,
2. მე ცოდვილსა ოქრომჭედელსა შენსა გიორგის.“

მეორე წარწერა ყოფილა მეორე აშიაზე, რომელიც ეხლა მოგლეჯილია ხატისაგან:

1. ქ. წო გ ო მრავ-ძაღო: მე მონ: მნ:
ბრი: ღა [მ]
2. [ფა]რველ ექმენ ღლს მა: საჯელისსა: მეოზე
ჩნ დიდებასა შნა წღა⁸⁰

ქ ა რ ა გ მ ე ბ ი ს გ ა ხ ს ნ ი თ :

„ქ წმიდაო გიორგი მრავალძაღო, შეიწყალე მონა შენი ბერი და [მფა]რველ ექმენ ღლესა მას სასჯელისასა, მიოზე ჩუნ ღიდებასა შენსა წმიდა[ო]“⁸¹“

⁸⁰ ეს სიტყვა ეხლა აღარ ჩანს და ბროსეს მიხედვით მოგვაქვ: იხ. M. Brosset, Voyage., XII, გვ. 79.

⁸¹ პ. უეაროვას გამოცემაში ეს ორი სხვადასხვა წარწერა არეული და, რასაკვირველია, შეცდომით წაკითხულიც არის; იხ. П. С. Уварова, МАК. IV, გვ. 124; [M. Brosset, Voyage..., XII, გვ. 79; გ. ბოქოროძე, VIII, გვ. 305—306].

2. წმ. გიორგის ხატი, ვერცხლისა, ოქროთცურვილი, ზომით 42×31 სმ⁸², სულ დაფლეთილია და ნაჭრები-ღა დაკერებული ფიცარზე. წმ. გიორგი გამოხატული ყოფილა ცხენოსანი, დეოკლეთიანე მეფის მგმირავე: გიორგის თავი, ცხენის თავი და დეოკლეთიანე მეფის ტანი დაცულია ფრაგმენტულად. მარჯვნივ და მარცხნივ დარჩენილია ფენგები, მშვენიერი სტილის ვახის ხლართულებით მოჩუქურთმებული. ზემოთ არის მერმინდელი ხელობის უფრო მდარე ხლართულები. აქვე კუთხეში გამოსახულია ჯვარცმა, იგი შემკულია ორი პატიოსანი თვლით. ხელობა XIII საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს. წარწერა მედალიონებში: გ'ი მრავლძლი, ე. ი. „გიორგი მრავალძალი“.

3. წმ. გიორგის ხატი, ვერცხლისა, ოქროთი დაფერილი, ზომით 48×43 სმ⁸³. გიორგი გამოხატულია გამობერვით. იგი ცხენზე ზის და გმირავს დეოკლეთიანე მეფეს. ფენგები უფრო ძველია, ვიდრე თვით ხატი და ლამაზად მოჩუქურთმებულია ბროწეულის ყვავილებით და მედალიონებით. XIII საუკუნისა. ისინი თვლებითაც არის შემკული, დარჩენილია ოთხი მოდილო თვალი, მებუთე მოძარტულია. წმ. გიორგის შარავანდზე მარგალიტის რვა მარცვლოვანი მძივია. ზემოთ აწერია: წ'ი გ'ი ქვემოთ:

წო ო	„წმინდაო გიორგი
მე	შეიწყალე
ესე	ესე
პვეი ფრესა	პვეი ფარახეთისა“ (?)

უკანასკნელ სიტყვაში ფ-ის მომდევნო ასო თვით დედანშივე გაურკვეველია.

4. წმ. გიორგის ხატი, ვერცხლისა ოქროთი დაფერილი. დიდი 80×55 სმ⁸⁴. გამოხატულება გამობერვითაა გაკეთებული. წმ. გიორგი წარმოდგენილია ზეზე მდგომარე. ცალ ხელში შუბი უჭირავს, ხოლო მეორე ფარზე უდევს. მისი შარავანდი შემკულია ხუთი დიდი პატიოსანი თვლით, სამიც ყელზე აქვს. ხატის ეზო

⁸² [გ. ბოტორიძე, VIII, გვ. 308, № 9; П. С. Уварова, МАК. IV, გვ. 125; Г. Н. Чубинашвили, კვლევა, ფოტო 186 და გვ. 343—344].

⁸³ [გ. ბოტორიძე, VIII, გვ. 307—308, № 8; П. С. Уварова, МАК. IV, გვ. 123, სურ. 99; Г. Н. Чубинашвили, კვლევა, ფოტო 43, და გვ. 342—343].

⁸⁴ [გ. ბოტორიძე, VIII, გვ. 306, № 5; П. С. Уварова, МАК, IV, გვ. 124].

მოჩუქურთმებულია ყვავილებით. თვით ხატი XIII საუკუნისა უნდა იყოს, ხოლო ლურსმულით შემკობილი ფენგები უფრო გვიანია. მათში დატანებულია მოოქროვილი მედალიონები, რომლებშიც წარმოდგენილი არიან: ზემოთ—ქრისტე და მთავარანგელოზები; ქვემოთ—წიგნი, წიღმტ, წიღმტ და წიღმტ მერკლ; მარცხენა ფენგზე: წიღმტ გრგლ. მარჯვენა აკლია. აკლია აგრეთვე წარწერიანი ქვემო ფენგი.

ეს ხატი ჩამაგრებული იყო კედელზე მიჭედელ განჯინაში, რის გამოც ჩვენ მოკლებული ვიყავით საშუალებას ფოტოგრაფიულად გადმოგველო იგი.

5. წმ. გიორგის ხატი, ოქროსი პატარა. 23×19 სმ⁸⁵. წმ. გიორგი წარმოდგენილია ზეზე მდგომარე, შუბითა და ფარით, ჩვეულებრივად. გამოსახულება დაზიანებულია და ნათლად ჩანს, რომ თვით ტანი ცვილისაგან გამოქნილი და ოქროთი შემოსილია. ფენგები შემკულია მშვენიერი ხლართულებით XII საუკუნისა. ორივე მხრით წმ. გიორგისა არის ასომთავრული წარწერა, რომელიც ბროსეს დამახინჯებულად აქვს გადმოცემული და რომელსაც ჩვენ ასე ვკითხულობთ:

წმ	მრვლ	ე. ი. -წმიდაო გიორგი
ღო	ძალო	მრავალ ძალო
[ტ]რ	ხთ ⁸⁶	ხეთისაო, მეოხ
სა	ო:მ	და [მ]თარველ ექ-
ოს	დფ	მენ ჰევსა [ხეთისა]ს,
რვ	ლე	წარუმართე“
ქმ	ნ:კ	
გსა [ხთ]ს	წრო	

⁸⁵ [გ. ბოტორიძე, VIII, გვ. 307, № 7; П. С. Уварова, МАК, IV, გვ. 123—124; წარწერა ა. ხახანაშვილის მიერ წაკითხულია არასწორად; პ. უვაროვას პუბლიკაციაში ეს ხატი აწერილია ორჯერ, ერთხელ მრავალძალის სიძველეებში (გვ. 123—124, არასწორედაა ნითითებული სურ. 100) და მეორედ (შეცდომით) ლების სიძველეებში (გვ. 112—113, სურ. 87); M. Brosset, Voyage., XII, გვ. 79; Г. Н. Чубинашвили, Кавказ, Фотос 237 და გვ. 252, 261].

⁸⁶ ასოები „ხთ“ ბროსეს დროს ჯერ კიდევ ყოფილა (იხ. M. Brosset, Voyage., XII, გვ. 79).

6. წმ. გიორგის ხატი, ვერცხლისა ოქროთი დაფერილი⁸⁷. გრძელია და ვიწრო 75×29 სმ. უფრო მდარე ნახელავია, ვიდრე სხვები. წმ. გიორგის გამოსახულება გამობერვითაა ნაქედი. იგი ზეზე დგას, ხელში შუბი და ფარი უჭირავს. შარავანდი ღილე-ბის მსგავსად არის მოჩუქურთმებული. წარწერა: „წი გი“. ხელობა XV—XVI სს. უნდა ეკუთვნოდეს.

7. წმ. თეოდორეს ხატი, ასეთივე ხელობისა და მოყვანილობისა⁸⁸. მოუყვითლავი ვერცხლისა. წმინდანს ხელში შუბი და ფარი უჭირავს. 76×25 სმ. წარწერა: წი თე

8. ღვთისმშობლის ხატი ჩვილელი, 21×18 სმ, ფიცარზე ფერადებით დაბატული⁸⁹. აწია ვერცხლისა აქვს, მდიდრულად 29 პატისანი თვლით შემკული. ხატი XVII საუკ. უნდა ეკუთვნოდეს. მეორე გვერდზე, ვერცხლის ფიცარზე არის მხედრული წარწერა:

ქ. მოვსჭედეთ: და შევამკვეთ: ხატი: ესე
ყოვლად წმიდის: ჩვენ: ჩქვილაძემ: პატ
ამ: თანა: მეცხედრემან: ჩემან: ჯაფარი
პის: ქალმან: თამარ. ცოდვათა: ჩვენ
თა მისატოვებლათ: და სულისა: ჩე
ენისა: საოხად: ვინცა: ამს: ამბორსა:
სცე: ჩვენთვისცა შენდობა: ბძანეთ:
ღთის: გულისათვის: ვინც: ეს: ჩვენს: სფლა
კს: მუაშოროს: ჩვენისამც: ცოდვის
ნუქბათ გეკითხვის საძინელსა: დღეს
ა: ამას

9. მთავარანგელოზთა ხატი, პატარა 14×11 სმ, ვერცხლისა⁹⁰. ტლანქი ხელობისაა. XVIII საუკ. უნდა ეკუთვნოდეს. აქვს წარწერა: „გბრლ, მიქლ“. მეორე გვერდზე არის უწნო ასო-

⁸⁷ [П. С. Уварова, МАК, IV, გვ. 124; გ. ბოქორიძე, VIII, გვ. 306, № 6; Г. Н. Чубинашвили, კვლევა, ფოტო 36 და გვ. 406—409].

⁸⁸ [П. С. Уварова, МАК, IV, გვ. 124; გ. ბოქორიძე, VIII, გვ. 308, № 10; Г. Н. Чубинашвили, კვლევა, ფოტო 37 და გვ. 406—409].

⁸⁹ [გ. ბოქორიძე, VIII, გვ. 308, № 11; П. С. Уварова, МАК, IV, გვ. 124].

⁹⁰ [П. С. Уварова, МАК, IV, გვ. 124; გ. ბოქორიძე, VIII, გვ. 308—309, № 12].

მთავრული წარწერა, რომლის ას.ათა უმეტესობა თავდაყირა წერია, რაც აძნელებს კითხვას:

მიქელ	ე. ი. „მიქელ
ღ: გბრილე (sic)	და გაბრიელ
მთარანგელო	მთავარანგელო-
ზნო: მეოხ და	ზნო, მეოხ და
ფრველ: ექმნ	[მ]ფარველ ექმენ
ბრთელის შვილსა	ბირთელის ⁹¹ შვილსა
ღ ქველსა: და: შკ	და ქველსა და შკ-
ილსა მისსა შვილ	ილსა მისსა შვილ[ს]
მიქაელს: თქვენ	მიქაელს თქვენ
სა: მოსამსხ	სა მოსამსახ-
ურესა: და	ურესა, და
გეუმარ	გეუმარ-
ჯავე თქ	ჯვე თქ-
ვენა	ვენა ⁹²

10. დიდი ხის ჯვარი, ვერცხლით შეჭედილი, 59×37 სმ⁹². ზემოთ წარმოდგენილია მაცხოვარი, მარჯვნივ და მარცხნივ, ფრთებზე—მთავარანგელოზები, ქვემო ფრთაზე—წმ. გიორგი, ცხენოსანი. ჯვარედინზე უზის სამი, დიდი თვალი, ხოლო მის ქვემოთ — ნაწილად, რომელსაც ხუთი წვრილი თვალი შერჩენია. მეორე გვერდზე შერჩენილია მთავარანგელოზთა მოყვითლული გამოსახულება. შუაში დიდი სარდიონი უზის. აქეთ-იქით კიდევ ორი თვალი. მარცხნივ გამოსახულია — მთავარანგელოზი ფრთოსანი მოყვითლული. ხელობა ბევრად უკეთესია წინა გვერდის ფიგურებთან შედარებით.

ჯვრის ხელობა ძლიერ ტლანქია, უზნო და XVIII საუკ. უნდა ეკუთვნოდეს.

11. ათონური ყაიდის ჯვარი, შევერცხლილი, ხეზე ამოჭრილია 12 საუფლო. 13,5×8 სმ⁹².

12. რკინის ჩაფხუტი, მძიმე. დიამეტრი 21 სმ უდრის.

13. რკინის შუბის პირი, დიდი, პირფართო, მოგრძო ტარინი. სიგრძე 40 სმ უდრის.

⁹¹ ამ სიტყვების წაკითხვა საკვთაა.

⁹² [გ. ბოჭორიძე, VIII, გვ. 304, № 1 და იქვე სქოლიოში შენიშვნა 1; II. С. Уварова. МАК, IV, გვ. 123].

⁹³ [გ. ბოჭორიძე, VIII, გვ. 304, № 2 თუ № 3 (?)].

14. ორი ხმალი, სპარსული ყაიდისა, ერთის ქარქაში შემკულია ოქროთი და თელებით, მეორე ჩვეულებრივია, ვახუშტი ბატონიშვილის აზრით, პირველი შაჰაბაზის შეწირულია⁹⁴.

15. წყვილი ყანწი, ვერცხლით შემკული. ბროსეს ცნობით აწერია:

მეფე ალექსანდრე⁹⁵.

მაგრამ ჩვენ ეს წარწერა ვერ შევნიშნეთ. ეგებ გამოგვჩა, ან არა და ბროსეს დროს სხვა ყანწიც ყოფილა და იმას ჰქონია ასეთი წარწერა.

16. სახარება და სამოციქულო, განთვისული, ზომით 20×15 სმ. თავი და ბოლო აკლია. უყდოა. დაწერილია ეტრატზე XIII—XIV საუკუნეთა წვრილი ნუსხახუცურით.

17. სახარება, მომცრო ტანისა, 15×10 სმ, ყდიანი⁹⁶. ნაწერი ქალაღზე ორ სვეტად, XVII საუკუნის ნუსხახუცურით. ლუკას სახარების ბოლოში მიწერილია:

ღო შეიწყალე: ფ'ღ

ცოდვილი: ამისი მწ

ერალი ელიაჲ ა'ნ

ვინცა ბრძნით შგ'ნ დ'ნ:

ე. ი. ლმერთო შეიწყალე ფრიად ცოდვილი ამისი მწერალი ელიაჲ, ამინ ვინცაჲ ბრძანთო შეგინდონ ღმერთმან⁹⁷.

ღართული აქვს ზანდუკი, საკითხავი, რომელსაც ბოლო აკლია.

18. ლოცვანი და ჟამის წირვა ოქროპირისა და გრიგოლისა. ნაწერია ქალაღზე XVIII საუკუნის ნუსხახუცურით.

19. ვერცხლის ბარძიმი-ფეშხუმი რუსული ხელობისა.

X. ბ უ გ ე უ ლ ი

ბუგულის ეკლესია ჩვეულებრივი ერთნაეიანია. იგი ტლანქად ნათალი ქვით არის ნაშენი. ეხლა იგი გარედან შელესილი და კირით შეთეთრებულია. საინბრეთით ჰქონია ეკვდერი, რომელიც ამჟამად სრულიად მოშლილია. თვით ეკლესია განუახლებდათ 1838

⁹⁴ ვახუშტი ი. აღწერა სამეფოსა, საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 159 [П. С. Уварова, МАК. IV, გვ. 125; გ. ბოჭორიძე, VIII, გვ. 309, № 18].

⁹⁵ [გ. ბოჭორიძე, VIII, გვ. 309, № 21, შენ. 4; M. Brosset, Voyage., XII, გვ. 79; П. С. Уварова, МАК, IV, გვ. 125].

⁹⁶ [გ. ბოჭორიძე, VIII, გვ. 310, № 26 (ქუთ. მუხ. 2094); მრავალხალის ხელნაწერების შესახებ იხ. ე. ნიკოლაძე, ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. I, (ქუთ. სახ. ისტ. მუხ.), თბ., 1953, №№ 125, 153].

წელს, რასაც გვამცნობს ორი მხედრული წარწერა, ჩრდილო კედლის სარკმელს ზემოთ და მარცხნივ; სარკმლის ზემოთ სწერია:

ჟოი ედ წო ღეთისმშობელო დედაო ღეთისაო ბუბეული
ამა წელში ჩრდილოეთის მხრით ცალი მხარე ჩამოიქცა
და ოთხივე მენ შეძავალ მრევლმა ეკლესიის გაკეთებისათვის
ინებეს ამა საქმისა დამწუბავად დაძინინეს, ვიკულისმოღვინეთ
და გავაკეთეთ ეკლესია შენი და მცირედი შრომა მოგიმღვანით
წულუკიძე როსტომმა... თვესა ივლისა იბ, ჩულწ წელსა⁹⁷

სარკმლის მარცხნივ სწერია:

ჩულწ წელსა ივლისის კ მცირეოდენი შრომა: მივიღე:
მოურავმა აზნაურმა ვასილ სანიკიძემ⁹⁸

ეკლესიის საფუძველი თლილი ქვისაა. ზემო ნაწილი მას და-
რიანი აქვს. მთლიანად საფუძველი მომადლოდ არის ამოყვანილი.
დასავლეთით ეკლესიის აქვს შესავალი, რომლის ზემოთ პატარა
სარკმელია. ეკლესიას ერთი სარკმელი აღმოსავლეთითაც აქვს.
დასავლეთის კარიც და სარკმელიც შემკულია წნულის მსგავსი ჩუ-
ქურთმებით. ეკლესიას შესავალი სამხრეთის მხრიდანაც აქვს, რომ-
ლის კარი უკეთესი ჩუქურთმებით არის შემკობილი ვიდრე დასავ-
ლეთისა საკურთხეველში ორი უბეა. შიგნით ეკლესია სულ მოხა-
ტულია ფრესკებით, რომლებიც საკმაოდ კარგად არის დაცული.
საკურთხეველის ცაში წარმოდგენილია იესო ქრისტე ღეთისმშობ-
ლითა და იოანე ნათლისმცემლითურთ, წარწერებით: „IC XC“.
„დედა ღთისა“, იე ნათლისმცემელი“. მის მარჯვნივ არის გაბ-
რიელ მთავარანგელოზი, მარცხნივ—მიქელი, ქვემოთ სერაბინი
და ქერაბინი. ამათ ქვემოთ წელსზევით გამოხატული მოციქულები
ფანჯრის თითო მხარეზე ექვს-ექვსი, ხუცური წარწერებით: ქვემოთ—
მღვდელ-მოწესენი, თითო მხრით ოთხ-ოთხი. თაღის სარტყელზე
გამოხატულია: ემმანუელი, „IC XC“ და ექვსი წინასწარმეტყვე-
ლი (წელზევით).

დასავლეთის კედელზე არის: მირქმა, ნათლისღება, ქვემოთ—
ჯვარცმა და ჯოჯოხეთის წარტყვევნა. ქვემოთ, კარს მარჯვნივ
გამოხატულია თეთრ ცხენზე მჯდომარე წმ. გიორგი, ვეშაპის მგმი-

⁹⁷ [გ. ბოკორიძე, V, გვ. 169].

⁹⁸ [გ. ბოკორიძე, V, გვ. 170].

რავი; მარცხნივ მიქელ და გაბრიელ მთავარანგელოზნი. კამარაზე მარჯვნივ ხარებაა. (ღვთისმშობელი ზის, ხელში თითისტარი უჭირავს, ანგელოზს მისკენ ხელი აქვს გაშვებული. მის ქვემოთ ყვედრება იოსებისა და კოზმან და დამიანე), კიდევ ქვემოთ გარდამოხსნა; დასავლეთისაკენ კიდევ მარჯვნივ თაღზე—შობა, იერუსალიმს შესვლა და ამას ქვემოთ კი მეორედ მოსვლა, წონა ცოდვა-მადლთა ანგელოზთა მიერ, წარწერებით: „მართალნი. ცოდვანი აქ“. მართალნი მიდიან მარჯვნივ, ცოდვილნი მარცხნივ.

ჩრდილოეთის თაღზე აღმოსავლეთისაკენ—ლაზარეს აღდგინება და სული წმიდის მოფენა, დასავლეთით ამავე თაღზე—ფერისცვალება, ღვთისმშობლის მიცვალება. თალის სარტყელზე შუაში— „წ^ა თ^ე“, „წ^ა კ^ე“, „წ^ა ი^რი^ნე“, „წ^ა ე^კატ^ერი^ნე“. და შემდეგ ორი სურათი, რომელთა წარწერები არა ჩანს. დასავლეთის კარის თავზე: „წ^ა თ^ეკ^ლა“, „წ^ა ა^ნნ^ა“.

კედლებზე ამას გარეთ წარმოდგენილი ყოფილა ადგილობრივ დიდებულთა ოჯახის სურათები. როდესაც კედლები გავანთავისუფლეთ მტერისაგან, ზედ ჩამოკიდებული და მიდგმული სხვადასხვა საგნებისაგან ეს ფრესკებიც კარგად გამოჩნდა.

სამხრეთის კედელზე, კარს მარჯვნივ ორი ფიგურაა. ერთს სამღვდელო თუ სამღვდელმთავრო ტანისამოსი აცვია. იგი სულ ახალგაზრდაა უწვერულვამო. ზედ აწერია: გ^ი (გიორგი)⁹⁹. შეიძლება ამის ზემოთ სხვა წარწერაც ყოფილიყო, უფრო ვრცელი და ეხლა მოშლილი. მისი მცირე ნიშნები-ღა მოჩანს. მეორე სულ ახალგაზრდაა, მას საერო ტანისამოსი აცვია და აწერია: გ^ულაბად¹⁰⁰.

კარის კედლის სისქეზე შესავალს მარჯვნივ წარმოდგენილია, აგრეთვე, სამღვდელო ტანსაცმლით შემოსილი კაცის სურათი, რომელსაც აწერია:

კობერიძეს

მიქელს

მნ.: ღნ:

„კობერიძეს

მიქელს

შეუნდენეს ღმერთმან“¹⁰¹

სამხრეთისავე კედელზე, დასავლეთის მხრით ხუთი ფიგურაა. ყველანი ლაშხიშვილები არიან. ისინი საერო ტანისამოსით შემოსილი არიან: ზაზა, მისი მეუღლე კეკლუცაი, შემდეგ ლაშხა, მისი მეუღლე ივლიშაბარ და ასული მათი ლაქრაღა.

⁹⁹⁻¹⁰¹ [გ. ბოკორიძე, V, გვ. 171, II; ს. კაკაბაძე, საისტ. კრებ., IV, გვ. 108—109].

ამათ აქეთ ასეთი ნარწერები:

ზაზა¹⁰²:

მისი: მეუღლე:

პაპლუ

ჭაი¹⁰³

ლაშხა¹⁰⁴:

მისი: მეუღლე. იადა

იშაბარ¹⁰⁵

ლაქრდა¹⁰⁶

ჩრდილოეთის კედელში უწინ სარკმელი არ ყოფილა, იგი 1838 წელს შეკეთების დროს გაუჭრიათ და ამით დაუზიანებიათ ის ფრესკები და მათი წარწერები, რომელნიც ამ ადგილას ყოფილა. აქ ახლა აღმოსავლეთის ფანჯრისაკენ, საკუროთხველის მახლობლად, წარმოდგენილია ქართულად გამოწყობილი:

ლაშხის: შვილი ლაშხა: რომელსაც, როგორც მაშენებელს, ხელში ეკლესიის მოდელი უჭირავს (მოდელს ახლა სანახევროდ ჰფარავს ახალი, წინ გამოწეული ხის კანკელი). ამის მარცხნივ, სარკმელის ადგილას ფრესკა გაფუჭებულია. აქ უნდა ყოფილიყო ლაშხას მეუღლე. ქვემოთ მათ შორის ყოფილა მათი ასული მარის.

ამ გამობატულებათა წარწერები ასეთია:

ლაშხის ძვილი ლაშხა¹⁰⁷

ასული მათი

მქარის¹⁰⁸

ლაშხისძვილი ომან¹⁰⁹

მეუღლე მათი ზოდინ¹¹⁰

ქე მათი დედის დედაი¹¹¹

ომანის ასული გ(?)

დოზ¹¹²

ეკლესიის მოხატვა XVI—XVII საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს. ისტორიულ პირობათა ფოტოგრაფიული სურათები გადმოვიღეთ.

XI. მ ი კ ა რ ფ მ ი ნ დ ა¹¹³

სოფელ მიქარწპინდაში ყოფილა დიდი სამნავიანი ბაზილიკა მიქელ მთავარანგელოზის სახელობისა. სწორედ აქედან წარმოსდ-

^{102—106} [გ. ბოკორიძე, V, გვ. 171, II; ს. კაკაბაძე, საისტ. კრებ., IV, გვ. 109].

^{107—112} [გ. ბოკორიძე, V, გვ. 170—171, I; ს. კაკაბაძე, საისტ. კრებ., IV, გვ. 108].

ამ სიტყვის პირველი ანო საეკოა და იმ ადგილას არის, სადაც იწყება შემდეგ გაჭრილი სარკმელი. სიტყვის დანარჩენი ნაწილი „დოზ“ გადმოტანილია მარცხნივ და კარგად იკითხება.

¹¹³ [გ. ბოკორიძე, VII, გვ. 208—209; V, გვ. 171—173].

გება სოფლის სახელი—მიქარწმინდა, იმგვარადვე, როგორც სოფელ ნიკორწმინდის სახელი.

მიქარწმინდა ყოფილა ერთი საუკეთესო ბაზილიკური ეკლესია მთელ რაჭაში, მაგრამ იგი ახალ დროში გადაუკეთებიათ და ამ გადაკეთების შემდეგ მას სულ დაუკარგავს პირვანდელი სახე, როგორც შიგნით, ისე გარეთ. ეკლესია თლილი ქვით ყოფილა შექმნილი. ეხლა იგი გარედან სულ შეღესილი და კირით შეთეთრებულია. შიგნით სამხრეთისა და ჩრდილოეთის ნაგები, თავიანთი სვეტებითურთ მოუშლიათ და ეკლესია ერთ ნავიანად უქცევიათ, მაგრამ სამივე ნავის საკურთხეველები დარჩენილია. სამივე მომრგვალებით გამოდის გარეთ. ნაგებს ექვსი სვეტი ჰქონიათ: სამსამი თითო ნავს, შუა ნავის მარჯვნივ და მარცხნივ. ახლა ეკლესიას საერთო ხის თალი აქვს. შესავალი აქვს დასავლეთით, ჩრდილოეთით და სამხრეთით. სარკმელები ორ-ორია დასავლეთით, ჩრდილოეთით და სამხრეთით, ხოლო საკურთხეველებში-კი—თითო.

ნიეთებიდან ეკლესიაში ვნახეთ:

1. ხ ა ტ ი ლ ე თ ი ს მ შ ო ბ ლ ი ს ა, ჩ ვ ი ლ ე დ ი, ვ ე რ ც ბ ლ ი ს ა, ნ ა ქ ე დ ი. 34,5×24 სმ¹¹⁴. ლეთისშობლის სახე გამოხატულია ნაქედით. აქვს წარწერა: „ყ ე დ წ მ ი დ ა“, შემკულია ხუთი ცვირფალი ქვით. ქვემო ფენგზე არის ასომთავრული წარწერა:

უოდა: წმით: დედო: მეოხ: და: მფარველ
დ: ექმენ: ფეშნგის: ლაშხიშვილსა: და: მე
(უღლესა: მა)თსა: უღუშნას: ლევის: ქლს: ამინ
უქარაგმოდ:

ყოვლადა წნიდაო დედაო, მეოხ და მფარველად
ექმენ ფეშანგის ლაშხიშვილსა და მე-
უღლესა მათსა უღუშნას ლავის (?) ქალს, ამინ-
ხ ა ტ ი უ ნ და ეკუთვნოდეს XVI—XVII საუკუნეებს

2. ხ ა ტ ი მ ი ქ ე ლ მ თ ა ე ა რ ა ნ გ ე ლ ო ზ ი ს ა, 26,2×20 სმ
რომელზედაც გამოხატულია ლეთისშობელი¹¹⁵. ორივე გამოხატუ-
ვით არის ნაქედი. ხელონა ზღარდა, XVII—XVIII საუკუნისა.
წარწერები: წ ა მ ქ ლ. ყ ე დ წ ა.

¹¹⁴ [გ. ბოკორიძე, V, გვ. 172, № 2 (ქუთ. მუხ. № 1873)].

¹¹⁵ [გ. ბოკორიძე, V, გვ. 172, № 3 (ქუთ. მუხ. № 1874)].

ქვემო აზიაზე ასომთავრული წარწერა:

შ-ე ო-ო თადს
ეს ასულის ძენი
კჩ-რ მმ-ნ

უქარაგმოღ:

„შეიწყალე უფალო თადგოს
ეს ასულის ძენი
კაჩარ, მამან (?)“

3. მაცხოვრის ხატი, ვერცხლით მოჭედილი, 26×21 სმ¹¹⁶.
ფენგები ვაზის ფოთლების მსგავსია, ჩუქურთმებით შემკული. ხელო-
ბა გვიანდელია XVII საუკუნისა.

აწერია: „ი-ჯ ქ-ე“

ქვემო ფენგზე სწერია:

მე: ანუსია: ვრდნ: ღმისისჴიღს: დეღამნ:
მოჴქედინე: ხტი: ესე: მცხოვრისა: ცოდვთა: ჩუენთა
მესანდობლად: ა-ნ:

უქარაგმოღ:

„ჴე, ანუსია ვარდან ღმისისჴიღის დეღამან
მოჴქედინე ხტი ესე მაცხოვრისა ცოდვთა ჩუენთა
მესანდობლად. ამინ“.

ხატი XVII—XVIII საუკ. უნდა ეკუთვნოდეს.

4. სატარებელი ჯვარი. ვერცხლისა. წინა მხარე მოოქე-
რილი აქვს, უკანა—შევერცხლილი. 22,5×23 სმ¹¹⁷. წინა პირზე შუაში
მედალიონებში სამი ანგელოზია, ზემოთ ერთი. ქვემოთ წმიდა
გიორგია. ყველა გამობერვით ნაჭედილი და წელს ზევით გამოხატ-
ული. ხეტარი მოკლე აქვს. ერთბუშტიანი.

სურათებს აწერია:

წ. მიქელ მ : რ ფე რ მთ წ. გაბრიელ წ-ე
თვრლზი ლ : ა ელ : მთვოზი გირგი
ნლზი ანზი

¹¹⁶ [გ. ბოკორიძე, V, გვ. 173, № 5 (ქუთ. მუხ. № 1876)].

¹¹⁷ [გ. ბოკორიძე, V, გვ. 171—172, № 1 (ქუთ. მუხ. № 1872)].

მეორე გვერდზე ასომთავრული წარწერაა:

წ. მიქელ	ე. ი. „წმიდაო მიქელ
გბრიელ	გაბრიელ
მთვრნტ	მთავარანგე-
ელოზო:	ლოზნო,
მეოხ: და	მეოხ და
მფარლდ: ექმენ: მეფეთ: მეფესა: გ ^ი	მთარველად ექმენ მეჟეთ
რგის: ძეთა: მ ^თ :ს: ლეონს	მეფესა გიო-
მთვრნ: გელოზო	რგის, ძეთა მათს ლეონს
უშე: ფე	მთავარანგელოზო,
მნის: ლმ	უშველე ფე-
ხი: შვლსა	შანგის ლაშ-
მესა: მისს	ხიშვილ ^ა , მეუღლესა მისს
ულუნჰი	ულუნჰი-
ას: ამინ ულო	ას, ამინ უფალო“

მიქარწმინდის ეკლესიის პირდაპირ, ქედზე, ორ მთას შუა, არის ციხე, ოომელიც ალბად ლაშნიშვილებსა იქნებოდა.

XII. ქ ე დ ი ს უ ბ ა ნ ი

სოფელი ქედისუბანი მალა მთაზეა გაშენებული. ამ სოფლის ეკლესია აშენებულია ტლანქათ ნათალი ქვით. იგი ჩვეულებრივი რიგისაა, ოთხკუთხედი, ერთნავიანი, უგუმბათო. კარსა და სარკმელებს შემკობილება ჰქონია.

შენიშვნა:

მიტროპოლიტმა ამბროსიმ მაცნობა იმ ხელნაწერების, შესახებ, რომელნიც ყოფილა ქედისუბანში და მას დაუთვარიელებია მოვიკითხე ეს ხელნაწერები, მაგრამ აღარცერთი აღარ აღმოჩნდა, ყველა დაკარგულიყო. ეკლესიის ახალმა და ძველმა მოწესეებმა გამოამცხადეს ხელნაწერები არ ყოფილაო.

ეხლა ეკლესია შელესილი და კირით შეთეთრებულია, რის გამოც ჩუქურთმების ნაწილი აღარ მოჩანს. წნულსებრი ჩუქურთმები შენახულია სამხრეთის კარის არქიტრავეზე. ეს უკანასკნელი სანახევროდაა შელესილი. სამხრეთის კარის ჩუქურთმა, წარწერი-თურთ, გადმოვიღეთ. სარკმელები თითო-თითოა აღმოსავლეთით, დასავლეთითა და ჩრდილოეთით. საკურთხევის თალი ჩამონგრეულა და ეხლა ხისა გაუქეთებიათ. დასავლეთით ეკლესიას მიდგმული აქვს უბრალო ხის ჯარგვალი.

სამხრეთის კარის თავზე, შუაში არის ჩუქურთმინანი ქვა, რომელსაც მხედრული წარწერა აქვს¹¹⁸. წარწერა ძლიერ დაზიანებულია და სრულად არ იკითხება. იგი მოგვითხრობს იმ განახლების ისტორიას, რომელიც პირველად 1797 წელს ჩაუტარებიათ. სულ არის ცხრა სტრიქონი.

ქ. სამებაო წდ'აო აღმაღლე რქა მართ
ღმადიდებელთა ქე'ანეთა რ'ა მარადის
შენგე გაქებდე: ჭი პირმშოვო: მეო მე
მონაჲ და მსასოებელი შენი (წულუკი?)
სმე... ორი შემწე ვექმენ: ეკლესიასა
მთავარანგელოზისასა შემწედ და მეოხად
სულისა ჩემისა რ'თა მხილველნი
ამისნი: ჩემთვისა შენდობას ბრძანებ
ედეთ (sic) ქ'ეს აქეთ ჩღეზ (1797).

ზიგნით ეკლესია საზოგადოდ მოხატული არ არის, მხოლოდ ჩრდილოეთის კედელზეა დახატული მღვდელურად შენოსილი თავბეკმიანი, ხელში სახარებით ნაობ კენჭაძე და მისი სახლობა—ნეულლე კაკონა, ცე ნასხიდა და ასული დოდალი. ასომთავრული წარწერები:

ნაობ კენჭაძე მ-ნ: მოაჰ
ედა: ხ'ტი ბრვალ (sic): ძალი წ'ე
ტ'ი ვინცა შენდობა: გებმნო
თ: ღ-ნ: თქნცა შენდოს ა'ნ¹¹⁹

მეუღლის სურათთან:
თანა მცხ'დრე: მსა კაკონა:¹²⁰

ყრმის სურათთან:
მე: ამისნი: ნასხდა¹²¹

ასულის სურათთან:
ასული: მ-სი
დოდალი¹²²:

¹¹⁸ [გ. ბოკორიძე, V, გვ. 179].

¹¹⁹ [გ. ბოკორიძე, V, გვ. 179, № 1].

¹²⁰ [გ. ბოკორიძე, V, გვ. 179, № 2].

¹²¹ [გ. ბოკორიძე, V, გვ. 179, № 3].

¹²² [გ. ბოკორიძე, V, გვ. 179—180, № 4].

უქარაგმოდ:

„ნაობ კენჭადემ მოაქე-
დინა ხატი მრავალ ძალი წმიდაჲ
გიორგი, ვინცა შენდობა გვიბრძანოთ,
ღმერთმან თქვენცა შეგინდოს, ამინ“.
„თანამეცხედრე მისი კაკონა“.
„ბე ამისი ნასხილა“.
„ასული მისი
დოდალი“.

მრავალძალის წმ. გიორგის ეკლესია მდებარეობს ქედის-
უბნის სოფლიდან შორს, მაღალ მთაზე; ეტყობა ნაობ კენჭადემ
შოუჭედინებია ამ ეკლესიის ერთი მრავალთაგანი ხატი წმიდა
გიორგისა, რომელიც, შეიძლება, ქედისუბნის ეკლესიაში ყოფილი-
ყო დახიზნული, ოსებისა თუ ლეკების შიშის გამო. ქედის უბნის
ეკლესიის მნათე ეხლაც კენჭადეა გვარად, ხოლო სახელად გიორგი.
ამ სოფელში კენჭადე მარტო ეს ერთი კომლია და გადმოცემით,
ხატს არ ნებაეს, რომ მეტი იყოს. მეორე გადმოცემით ნაობ კენ-
ჭადის სურათს ქვეშ ეკლესიის კედელში ჩატანებულა ოქროს ჯვა-
რი თუ ოქროს ყავარჯენი და თუ ეკლესია დაინგრა იგი იმ ნივ-
თის საფასით უნდა აშენდეს ხელმეორედ. ეკლესიაში არავითარი-
საყურადღებო ნიკოი არ მოიპოვეა. ბაზიმ ფეშხუმი რუსული
ხელობისაა.

ქედისუბნის პირდაპირ არის სოფელი **ზნაკვა** აქვე არის
გიორგი წულუკიძისეული ციხის ნანგრევები. ეს ის წულუკიძეა,
რომელიც იყო მდ. კრიხულას პირას მდებარე კვარა-ციხის პა-
ტრონი.

ქედისუბნის მიადამოებში კიდევ არის ეროი ეკლესია, წმ.
გიორგის სახელზე. იგი გამენებულა განკალკვებულ მაღალ ქედ-
ზე, რომელიც დიდ მანძილზე დაჰყურებს რიონის ხეობას. იქიდან
თვალწინ იშლება რიონის ჭალებისა და მთაგორების საუცხოვე
პანორამა. ეკლესია შემოზღუდულია ქვითკირის კედლით. თვით
ეკლესია პატარაა, ოთხკუთხედი, ქვით ნაშენი, მაგრამ შემდეგ გა-
ნახლებული და კირით შელესილი. თალი ჩანგრეული ჰქონია, ქვის
თალის მაგივრად განახლებისას ხის თალი გაუკეთებიათ და ყუ-
რით დაუხურავთ. შესავალი აქვს სამხრეთით და დასავლეთით. ირ-
გვლივ შშვენიერი და საამო ნაძენარი არტყია.

ეკლესია დიდძალ მლოცველებს იზიდავს გიორგობა დღეს,
გაზაფხულზე და შემოდგომაზე, და აგრეთვე ამაღლება დღეს.

დასაველეთით მიშენებული აქვს უბრალო ხის სახლი. ამ სახლში და ეკლესიაში თქვენ იპოვნით აუარებელ რკინის ისრის წვერებს და ოროლის პირებს, არის ერთი შუბის წვერიც, ერთიც რკინის ფრთიანი ლახტია, უტაროდ.

ეკლესიის კარი ყოველთვის ღიაა მნახველისათვის. სამკაულთაგან დატულია მხოლოდ ერთი დიდი ხატი წმ. გიორგისა, ფიცარზე წამლით ნახატი და მდარე ვერცხლის აშიით შემოზღულული. წმ. გიორგი თეთრ ცხენზე ზის, უკან უნაგირზე ბავშვი ჰყავს შემოსმული. ხატი უნდა ეკუთვნოდეს XIX საუკუნის დასაწყისს.

აქედან, შორს რიონის ვალშით კლდეზე მოჩანს წმ. გიორგის კიდე ერთი ეკლესია. ხოლო მის ზემოთ, მარჯვნივ კლდეში მესამე ეკლესია, ისიც წმ. გიორგისაა. ხალხის თქმულებით ქედისუბნის ეკლესიიდან ღამე ხშირად გამოდის ცეცხლის ალი, მიდის იმ ორ ეკლესიაში და ბრუნდება უკან. თქმულება გადმოგვცემს: როდესაც თათრებმა ქედისუბანი აიღეს, მაშინ ამ აკვილას არსებობდა მონასტერი. მათ დაინახეს შუქი, მოვიდნენ და წმ. გიორგის ხატი კლდიდან გადაისროლეს. კლდისწინ ხეობა ნისლით იყო დაბურული. ნისლი თათრებს მინდვრად მიეჩვენათ, გადაეშენენ კლდიდან და ყველანი დაიხოცნენ. ხატი იქვე ფერდოზედ გაჩეიებული. ცეცხლის მსგავსად აინთო და ამით იპოვნა იგი ადგილობრივ მღვდელმა ველიაშვილმა, რომელმაც მას ახალი ეკლესია აუშენა.

XIII. ველიშის მონასტარი

ველიშის მონასტარის ხატები

1. ჩვილ დიდი ხატი ღვთისმშობლისა¹²³, ვერცხლისა, ოქროთი დაფერილი, ზომით 37×32,5 სმ. ქართული ხელობისაა. აქვს ხუცური წარწერა: „ყ დ წ ა ი ჯ ქ ე“. ღვთისმშობლისა ვაქრისტეს შარავანდედები და აგრეთვე ფონი და აშიეზი შემკობილია დაზის ხლართულების მსგავსად. აშიეზზე წმინდანთა მედალიონებისა თითოზე სამ-სამი, სულ ყველას უჭირავთ ეტრატები უწარწერო. ესენი წინასწარმეტყველები უნდა იყვნენ. ხელობის მიხედვით ხატი უნდა ეკუთვნოდეს XVI—XVII საუკ.

2. იოანე ნათლისმცემლის ხატი, სხვაეიდან ჩამოტანილი. ზომით 32×28 სმ, ნახატი, ვერცხლით შექვდილი. შარავანდედი მოოქერილი ვერცხლისაა, შემკულია თვლებით და მათ შორის ხუთი ზურმუხტით.

¹²³ [გ. ბოკორიძე, V. გვ. 189, № 1 (ქუთ. მუხ. № 1839)].

3. იოანე ნათლისმცემლის ხატი, ხეზე დახატული, ზომით 19×15,5 სმ, ვერცხლის აშია აქვს. რუსული ხელობისაა, წარწერაც რუსული აქვს: Свѣтѣи Иѡаннѣ Прѣдтечѣ. ზემოთ გამოხატულია ქრისტე; იოანეს ხელში უჭირავს ლანგარი თავისივე თავით; თავი ისევ, როგორც იოანეს და ქრისტეს შარავანდედები შემკულია წვრილი თვლებით.

4. საარქიმანდრიტო ჯვარი, ოქროსი, პატიოსანი თვლებით შემკული, ათი მოზრდილია და სამი პატარა; ორი აკლია. წინა მხარეზე არის ჯვარცმულის ქანდაკება, უკანაზე კი ღვთისმშობელი გამოხატული, წარწერით: МП ΘV მოოქროვილი ვერცხლის იეწკით.

5. დიდი ჯვარი ვერცხლისა, მოოქროვილი, ზომით 47,5×32 სმ. წინა პირზე ზარნიშით გამოხატულია ჯვარცმული. აქეთ-იქით ღვთისმშობელი და იოანე არიან. ზემოთ—საბაოთ ღმერთი, ქვემოთ—გოლგოთა. მის ქვემოთ სვეტია, რომელზედაც ზის მამალი და აწყვია ჯვარცმის იარაღები. წარწერები ბერძნულია. ხელობა ლამაზია.

6. საარქიმანდრიტო მიტრა, მარგალიტისებრი მნივბითა და მრგვალი მედალიონებით შემკული. მედალიონებს შუაში დიდი თვალი უზის, ირგვლივ—წვრილები. აპასთანავე, მიტრას ამკობენ მოოქროვილი ვერცხლის ხატები. ზემოთ არის „ყდ წა“, ძითურთ. ქვემოთ სამი ხატი: ტახტზედ მჯდომარე მაცხოვარი, ყდ წა და იოანე ნათლისმცემელი, სრულის ტანით. შემდეგ—ხატი ჯვარცმისა. ზემოთ—ოთხი მახარობელია, გამოქანდაკებული მრგვალ მედალიონებზე, ქვემოთ კი ოთხი სერაფიმ-ქერუბინი, ასევე მედალიონებზედ.

ხატებსა და მედალიონებს წარწერები ხუცური აქვთ.

7. პატარა ხატი—სანაწილე ვერცხლისა, რომლის წინა მხარეზე გამოსახულია ჩვილადი ღვთისმშობელი, ხოლო უკანაზე—მაცხოვარი. მაცხოვარს აკობს სამი თვალი, მათ შორის ორი ფირუზი, ღვთისმშობელს—ერთი ლალი, მეორე დაკარგულია. ხატის ზომა 6×5,5 სმ უდრის.

ქელიშის მონასტრის სამწირველო ნივთები

1. ვერცხლის სამი თეფში, ორი რუსული ხელობისაა, ერთი ქართული. ამ უკანასკნელს აწერია:

მოიხსენე უფალო ნარინ დავით ბატონიშვილის გამდელი
ზილდასტან ამინ¹²⁴.

¹²⁴ [ბ. ბოკორიძე, V, გვ. 215, № 12 (ქუთ. მუხ. № 1847). შიგნით ნიკორწმინდას].

ა წარწერის ხელი ძველი არ არის (არა უადრეს XVII საუკ.).-

2. სპილენძის თეფში, მხედრული წარწერით:

ქ. გელენას შვილი გედანისა

3. სპილენძის პატარა თეფში, მხედრული წარწერით:

ქ. უანდუაშვილის გვას

ქ. სოკანა მათეჩხესია¹²⁵

4. ვერცხლის ხუთი ბარძიმი, სამი ქართული ხელობისა, ორი რუსული. ქართულთაგან ერთი უწარწეროა.

ქართული ხელობის მეორე ბარძიმს აწერია მხედრულად¹²⁶:

ჟ ე დ მოწეალისა ღთისა დედაო, მარა-

დის ქალწულო მარიაჲ, რღლისა ცოდვილ-

თათვის მოქცევაჲდ მოვიდა და მას

ვ ა ჩხვილსა აწოებდ და ზრდიდ გა-

მომზრდელსა მას ელთასა ღთსა ვ ა

კაცსა მის წინაჲე ეჲვ ვედრება მითვლული

და შეწუნარებული რა წყალობით მოხედვა

ეოს დღესა მას სამიხელსა განკითხვი-

სასა. და მარჯვენითსა ნაწილსა ურჩეულ-

თასა ღირს იჩინოს მონანული მონა

თვისი ბატონიშვილი არჩილი. რღლი-

სათვის შეიწირენ მცირედნი ესე შესაწი-

რავნი ტამარსა შ ა შენსა წ ა ს ა ჯე-

ლიძის უდაბნოსა: ვ ა შეიწირა

შემან შენმან და ღთს ჩვენმან ქვრი-

ვისა მწვლილნი: ჩღ. ო. ე: (= 1775)

ქართული ხელობის მესამე ბარძიმის წარწე-
რა¹²⁷:

ქ: ჩვენ: ცვა: ფარვათა: მონდობილმან: თქვენმან:.

ბელმწიფემა: დადიანმა: ბატრონმა: ლეგან:.

¹²⁵ ეს წარწერა წაბლაღულია და მისი წაკითხვა საგჭოა.

¹²⁶ [გ. ბოკოროძე, V, გვ. 189, № 4].

¹²⁷ [გ. ბოკოროძე, V, გვ. 215, № 13 (ქუთ. მუხ. № 1838), მიაწერს ნიკორწინდას].

თქვენ: ქუთათისა: და ჰალიასტომისა: ღთისა:
მშობელსა: შამოგწირეთ: ბარძიმი: ესე: მას ჟამსა:
ოდეს: შევებენით: მეფეს: ბაღდადსა: გაშემარჯვა:
მამინ: ომპი:.. დ...¹²⁸ სულისა ჩინსა: საოჯად:

შუა წელზე სხვა ხელით აწერია:

ქ: მე ცოდვილმა: მსევალმა ღთისამა გამ
დეღმა ბატონიშვილის, ნარინ დავითისმა
სილდასტან შამოგწირეთ ბარძიმი ესე
რატას უდაბნოს სულის
ჩემის საოჯად.

რუსული ხელობის ერთ-ერთ ბარძიმს აწერია¹²⁹:
დედოფალმან. გულქან. შეესწირე. ბარძიმი ესე. ჭელიშის
უდაბნოს. ღთის. მშობელს. მეფე სოლომონის. შესანდობლად.

რუსული ხელობის მეორე ბარძიმს აწერია

დავით დადიანი.

5. ვერცხლის ორი ფეშხუმი, უწარწერონი.

6. ვერცხლის განსაზავებელი.

7. ვერცხლის ორი ვარსკვლავი.

8. ვერცხლის სამი კოვზი, ერთზე აწერია:

ოხსენე უღო კობახიძე ბეჩუნა და მეუღლე მისი თინათი.

9. ვერცხლის ორი პატარა სამღულრე.

10. ვერცხლის ორი ჩაიდანნი.

11. ვერცხლის საცეცხლური.

12. ვერცხლის ფეშხუმი, ზედ მხედრულად აწერია¹³⁰:

ქ. დედოფალმან. წულუკიძის. ასულქან. გულქან.

შეესწირე. უდაბნოს. ჭელიშს. ღთის. მშობელს. ბარძიმი.

ფეშხუმი. კამარა. და კოვზი. მეფე. სოლომონის

სულის. საოჯად. და. შესანდობლად. და ჩემდა მოსახსენებულად.

¹²⁸ აქ ვერცხლის წარწერიახი არმეები მოტეხილია.

¹²⁹ [გ. ბოკორიძე, V, გვ. 189, № 5].

¹³⁰ [გ. ბოკორიძე, V, გვ. 189, № 6 (ქუთ. მუხ. № 1850)].

წელიწადში. ერთს. დღეს. სულთას ერთი მღვდელი მონაზონი.
მეფე. სოლომონს უწირვიდეს. ამინ.

13. ვერცხლის სანაწილე. 1895 წელს შემოწი-
რული თავად ქაიხოსრო ოტიას ძის ყფიანის მიერ.

ველიშის მონასტრის ნაქსოვ-ნაკერები¹³¹

1. გარდამოხსნა, ტილოზე ოქრომკედითა და სირმით ნაკერი.
ირგელივ ასომთავრულად აწერია:

ჩვენ: ცოდვილმან: და ეოველთა: მამათა:
უნარჩევესმან: აბაშიძე: გიორგი: და მ
ეულმან: ჩემან: ღორთქიფანიძის: ასულმან:
გულქან:
შევაკერვინეთ: გარდამოხსნა: ესე: სულისა:
ჩვენისა: სასწრაფ: ჩვენთა: შსანდობე
ლად: ქრისტეს: აქეთ: ათას: შვიდას: თსუთ-
მეტსა: ქკსა: უე (=1717 წ.)
...ძისა: ჩნისა: ლევანის: ბეჟანის:
მალაქიას: აღსაზრდელად: და წარსა
მართებულად.

2. სარტყელი სირმით ნაკერი, ვერცხლის ბოლოებით,
რომელზედაც გვირგვინოსან ანგელოზის თავებია გამო-
ქანდაკებული.

3. დაფარნა, შემკული მარგალიტისებრი მძივებით, ოქროს
წერილი ფირფიტებით, ფირუზებითა და ოთხი ოსმალური
წერილი და თხელი ოქროს ფულით.

4 ენქერი, ატლასზე სირმით ამოქარგულია „ვედრება“ ოთხი
ანგელოზითურთ, რაც შემკულია წერილი მარგალიტის
მძივებით. ირგელივ ასომთავრულად აწერია:

ქ: ჟა: მნ: ელთა: ზედა: მხედლსა:
ხილულისა: და: უხილავსა:

¹³¹ [გ. ბოქორიძე, V, გვ. 189-190, № 8-12].

კელმწიფედ: მპურობელისა: ღი-სა: მ-ხლოდ
 შ-ბლო: მეო: თ-ა: შერთე
 ბულო: ცხელ: მეფელისა: ს-ღისო: მცხრო:
 თლო: შუედგმო
 ჩნ: ცვა: ფარვათა: მნ-თა: მ-ნდბ-ლმ-ნ: და:
 მსემ-ნ: ს-წისა: მნ-სამან
 დ-ფლოთ დ-ფლი როდამ

5. ენქერი, სირმით ნაქერი. ზედ გამოსახულია ღეთისმშობელი ძითა და ღთავარანგელოზებითურთ.

ირგვლივ მხედრულად აწერია:

ი: უხესთავსო: სერანბინთაო:
 უმაღლესო: ცათა: და. უწმი
 დესო: ქერობინთაო: მეოხო: და: მხს
 ნლო: ცოდელთაო: სანოო: სქდულო
 ჩენო: ევლაწმდაო: დედოფლო: უბ
 წოდ: მმბლო მაცხოვრისო: უმტესდ: კურ
 თხულო: დიდებულო: ღმრთის. მმბლო
 მარადს: ქალწულო: მრმ: მმწუალე: მე:
 მე.

6. ენქერი, აბრეშუმით ნაქერი, ზედ ოქრომკედით ამოქარგულია სერაფიმი, რომელსაც ირგვლივ აწერია:

წა არს: წა არს წა არს: ო-ი სბოთ: სვ-სე არ-ნ ცნ-ი
და ქუნა: დბითა: მისითა:

გმობტ-ვთ: იკ-დრებს: სცნ-რთა: მნ-თა: მსწ-რთასა:

ს მ-ებო: და უს-ბმო: ღთო:

შეიწირე: სამსხრი: ესე: და მსხრება:

დიდისა: და სხელვინისა:

და ს-ზელ: ცნ-ოქმლისა: მ-ფო მფ-სა:

ბგრტს დდეგრ-მებით

ცნი: მს-ნი: შ-ნ: ღ-ნ: ა-ნ:

7. ენქერი, ატლასზე სირმით ნაქარგი. შუაში გამოსახულია „ი-კ ქ-ე“, რომლის მარცხნივ კუთხეში არის „ყ-დ“

წა“, მარჯვნივ „ი“ ე ნ ა თ ლ ი ს მ ც ე მ ე ლ ი“. ეს სურათები-
მოქცეულია ოთხკუთხედში. ოთხკუთხედის თითო მხარეზე მახარო-
ბელთა თითო ემბლემაა წარწერებით: „მათე“: „მარკოზ“,
„ლუკა“, „ი“ ე“:

ირველივე წყვილ-წყვილ სტრიქონებად გამოყვანილი ასომთავ-
რული წარწერაა:

შეგაერვინე: ესქერი: ესე: რევზ ერისთვის:

ასუღმა და: თა:

ქეცხედრქმნ: ბატონის: შვილის: ლუარსბის:

მარჯ:

კენით: მადომარე: მკავ: ბატრონი (ამის?) მარიამ

სუ

ლისა. ჩვენასა: საოსათ: და: ცოდვათა: ჩვენთა:

შესნდობლად: და: მივართვი:

და: მივართვი: ბატონის: დედის: ჩემის:

ანს: წინამძღვან: დავითს: კინცა: მიემ

ისკვიოდეთ: შენდობს: ბმნებდეთ: ჩნთიცა: და

დედმმსთვიც.

შ ე ნ ი შ ე ნ ა: მარიამ რევზ არაგვის ერისთვის ასული ცოლად
გაჰყვა ვახტანგ V შვილს—ბატონიშვილს ლუარსაბს 1668 წლის
ახლო ხანში (H. de la Gé., II, 2, p. 627). დედამისი რაჭის ერის-
თავის შოშიტას და იყო. მისი სახელი ამდღეხანს ჩვენთვის უცნობი
იყო, ეხლა კი შევიტყვეთ, რომ მას ანა რქმევეა (ibid., 632).

ქელიშის მონასტრის ხელნაწერები

1. გულანი¹³².—in folio დიდი ტანისა, ყდიანი. ნაწერი
ქალღალღზე, ორ სვეტად. ზოგიერთი თავის ბოლოს უწერია:

ქე მე ღ ა ს რ ე.

აშიებზე ჯვარის სახედ: სწერია:

ი ო ს ე ბ, გ რ გ ი. თ ე ფ ა რ ე.

ესენი ალბათ გულანის გადამწერნი არიან. ხელი XVII საუ-
კუნისა არის.

2. პარაკლიტანი¹³³. in folio საშუალო ტანისა, ყდიანი
ნაწერია ქალღალღზე ნუსხახუცურით. შეიცავს 41 რვეულს. უკანა-

¹³² [გ. ბოკორიძე, V, გვ. 190, № 13 (?). (ქუთ. მუხ. № 2113); ქელი-
შის ხელნაწერების შესახებ იხ. ე. ნიკოლაძე, ხელნაწერთა აღწერილობა,
ტ. I, №№ 83, 93, 94, 96, 100, 109, 111, 122, 126, 144, 149, 158, 167, 173, 175].

¹³³ [გ. ბოკორიძე, V, გვ. 190, № 16 (ქუთ. მუხ. № 2116)].

სკნელის ერთი ფურცელი დაუწვროელია. აშიებზე ტექსტის ხელით რამოდენიმე ადგილას მიწერილია:

ღო შე ცი ნთნიელ.

ხელი XVII-XVIII საუკუნეებისაა.

3. სვინაქსარი¹³⁴, ყდიანი. შეიცავს 241 ფურცელს. ნაწერია ქალაღზე, XVIII საუკუნის ნუსხახუტურით.

ბოლოს უწერია:

ეს სხნაქსარი ღოუბნელი ქს იაშვლის
გივი სუცისა არის. იმისიმც ცოღვა აქს
ვინც მოიპაროს ან წართვს ან:—
გამსრდელო თუ ტეუილი ეწეროს მნს
შვილს თომას აგინე დედან ის იკითხვდა
და მე ვსწერდი ცღული ზოსიმე.

4. მამათა ცხოვრება¹³⁵. in folio, საშუალო ტანისა, 421 ფურცელი. ნაწერია ქალაღზე, ორ სვეტად. შეიცავს სრულად ერთსა და იმავე ტექსტს, რომლის სათაურიც არის: „სწავლანი შუშნიერნი (მშვენიერნი) წთა და ნეტრაა მშთანი სისრლისათს სათბრთსა“.

თავსამკაული ფერადებით არის დახატული, ყვავილები მსგავსად. მეთაური ასოებით დიდრონია. ზოგი სინგურითაა ნაწერი. ბოლო ფურცლის აშიაზე ტექსტის ხელით სწერია:

დაიწერა სეღითა სოლომონისათა თებერვალს იე:—

შემდეგ ერთი საკითხავი სხვა ხელით არის დაწერილი. მერე მხედრული წარწერა გვაპცნევს, რომ ეს „მამათა ცხოვრება“ შეუწირავს გარეჯის იოანე ნათლისმცემლის უდაბნოსთვის მღვდელმონაზონს მარკოზს. შემდეგ ფურცელზე სხვა ხელით დაწერილი ხუტური მინაწერია:

ღო შეიწუალე და აცხოენე გერმანე...

შემდეგ მოდის შესხვა მეფე დავითისა, რომელიც იწყება ფრაზით:

¹³⁴ [ა. ბოტოროძე, V. გვ. 190, № 17 (ქუთ. მუხ. № 21:7); ე. ნიკოლაძე, ზელნაწერთა აღწერილობა, ტ. I, № 111].

¹³⁵ [ა. ბოტოროძე, V. გვ. 190, № 15 (ქუთ. მუხ. № 21:5)].

ამთ-და მომართ რ-სა იტყუ რ-სა სიბრძნით ჰმოეყარებო
ჰნ უფროსად ბრწინავალეო ღრო ეი-სა სოფლისა მეფეთ-
ერთგულობისაო.

ჲდ დათ კეთილად მსახურისა და ღთივ დაცულისა მეფე-
სა ჩინისა მრავალცა არიან წელნი.

აქ აზიაზე სწერია:

თვესა იენისსა დაიწერა წიგნი ესე ხელითა გერმანისისა
მკითხველო შენდობა ბრძანეთ ღ-ის გულისათვისინ.

ბოლოს უწერია:

ეს მამა(თა) ცხოვრება ნათლისმცემლის მონასტრის არის ღრო
აცხოვნე ამისი შემომწირველი მღვდელ-მონაზონი მარკოზ. ო-უო
ღრო ჩრო გერმანე აცხოვნე ამინ.

წიგნი ეკუთვნის XVII—XVIII საუკუნეს.

5. ზ ა ტ ი კ ი¹⁸⁶. in folio ყდიანი, 704 ფურცელი, ნაწერია
ქალალზე, ნუსხახუტურით. ბოლოს უწერია:

განსრულდა წ-ა ესე ზატყი ჩ-მ ცოდვილ მღვდელ ნიკო-
ლოზის კელითა ღრო მშვიდობაში მავმარე, თვ-სა მანისსა: ღა:
ქ-ს: უმგ: (=1755).

შემდეგ იმავე ტყქსტის ხელით სწერია განგებანი საგალო-
ბელთა და სხვა განგებანი (გვ. 691+76).

ვიწყე წ-ა ესე ზადიკი შეწყენითა ქ-სითა დღესა. ე-
თვესა მარტსა ივე: ქ-კს უმგ: (=1755) და აღესრულა დღესა: ღ:
თვესა იენისსა: გ: ქს მალითა ამინ. ქ-კს უმგ. (=1755).

მეორე დიდი წარწერა, 704 გვერდზე გვამცნევს (წესავალი
არ მოგვცაყა):

მე ფ-დ ცოდვილმან უღირსმან მღვდელობისამან მღვდელ
ნიკოლოზ ჩაჩიკას შვილმან მემან ანლამაზი
სამან... კელეკუბ გულსმოდგინებით და აღვანსრულე
რუსულის სტანბის ზატყზე ცხრა კვირა თავისის
ტიბიკონით სახსრად და მეოხად სულთა ჩ-მთა

¹⁸⁶ [გ. ბოკოროძე, V, გვ. 190, № 18 (ქუთ. მუხ. № 2118); ე. ნიკო-
ლაძე, ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. I, № 96].

და ცოდვათა მოსატყვებელად და მეცხედრისა ჩინსა და მისა სადღეგრძელოთ... აღვსრულა ქალაქსა ტფილისს, თვესა ივნისსა: გ: ქეს: თმგ¹³⁷:

წ: შეიწუალე ო მღვდელი მოსე სიონისა რი-სა შეწეწენი თა და ქლის მომართუთა აღვსწერე ზატიკი ესე მხილველნო დღეგრძელობით და შინდობით იქსენებდით.

6. სახარება და სამოციქულო¹³⁸. განთვისული, ყდიანი, თავი და ბოლო აკლია. ნაწერია ქალალღზე, XVI-XVII საუკუნეთა ნუსხახუცურით.

7. ჟამნი¹³⁹. in-quarto, თავ-ბოლო ნაკლული, ყდიანი. შეიცავს ლდ (34) რვეულს. დაწერილია ქალალღზე, XVIII საუკუნის ხელით.

8. სტოდიერი¹⁴⁰. გამოკრებილი, ყდიანი. ნაწერია ნუსხახუცურით ქალალღზე. თავსართი სინგურითაა ნახატი. სათაური: „სწავლანი სწლნი წისა შმისა ჩინსა თე სტოდიელთა წინამძღ-რისა თვსთა მოწაფეთა მიმართ“.

9. ჟამნი¹⁴¹. in quarto, ყდიანი, თავ-ბოლო ნაკლული. ნაწერია ქალალღზე XVII-XVIII საუკუნეთა ნუსხახუცურით.

10. საგალობელი¹⁴². თავ-ბოლო ნაკლული, ყდიანი, ქალალდისა. ბოლოს უწერია:

ამაში წერილთ წმდათ მადლო მოიქსენე განმახლებელი წიგნისა ამის მღვდელი გიორგი ჯღენტი:

ხელი XVIII საუკუნისა არის.

11. ჟამნი¹⁴³. პატარა ტანისა. ყდიანი. ნაწერია ქალალღზე XVIII საუკუნის ნუსხახუცურით. თავი აკლია. 259 ფურცელს შეიცავს. ბოლოს უწერია:

დაიწერა წა და სღა წიგნი ესე კელითა ჩემ ცოდვილისა მგალობლისმკვილის ნიკოლოზისითა დიად დიდი

¹³⁷ თბგ-ს მაგივრად უნდა იყოს უმგ (443+1312=1755 წ.).

¹³⁸ [გ. ბოქორიძე, V, გვ. 190, № 19 (ქუთ. მუხ. № 2119)].

¹³⁹ [გ. ბოქორიძე, V, გვ. 190, № 21 (?) (ქუთ. მუხ. № 2121)].

¹⁴⁰ [გ. ბოქორიძე, V, გვ. 190, № 22 (ქუთ. მუხ. № 2122)].

¹⁴¹ [გ. ბოქორიძე, V, გვ. 190, № 20 (ქუთ. მუხ. № 2120)].

¹⁴² [გ. ბოქორიძე, V, გვ. 190, № 14 (?) (ქუთ. მუხ. № 2114)].

¹⁴³ [გ. ბოქორიძე, V, გვ. 190-192: დასახელებულია რიგი ხელნაწერები, რობელთა იდენტიფიკაცია აქ მოყვანილებთან ძნელია, მაჩვენებლების უკონლობის გამო].

აქლილობა და ავი დრო იყო ზოგი იქ დაწერე ზოგი იქ. ვერც დედა წიგნი ვიძოვე. მერმე ახალ მოსწავლე ვიყავ და თუ რაღე უგუნურობით და ავი დროთ მეძცთა ნურავინ დამწევეთ არამედ შენდობა უავთ ჩემ ცოდვილთათჳს. ვინ მომიცსენოთ, მიკიყსენოს ღმერთმან.

12. საგალობლის ნაწყვეტი¹⁴⁴. ქვემოთ უწერია:

ლო, შეიწუალე ამისი დამწერი ნიკოლოზ გაბაონელი.

შელიშის მონასტრის სამრეკლო

ზარზე არის შემდეგი მხედრული წარწერა:

ქ. ჩვენ მეფემან სრულიად საქართველოსამან ირაკლიმ მეორემან ჩამოვასხმევინეთ ერთი წუვილი ზარი ეხე ჭელიძის ღვთისმშობლის მონასტრისათვის. ვინც ამ მონასტერს გამოახვას, ღვთის მშობლისაგან ეზღოს მერმესა მას საუკუნესა. წელსა აწრისლის ქს უპე (=1795).

ეს წარწერა გადმოიღო 15 ივლისს 1920 წელს ჩემმა მეგობარმა მიხა ლომთაძემ.

მიხა ლომთაძე ერთობ შეგნებული და მაღალი ზნეობის მუშა იყო; ჯერ, როდესაც ჩემთან მოვიდა, გამეცნო და საყურადღებო წარწერიანი ქვა მომიტანა რაჭიდან მუხეუმისათვის. შემდეგ მაწვდიდა ცნობებს ნაშთების შესახებ. ის დამყვებოდა მე და დიდ სამსახურს მიწევდა ჩემი მოგზაურობის დროს რაჭაში 1919 და 1920 წლებში.

ქელიშში მე ვიყავი 1919 წელს ზაფხულში, მაგრამ ზარები არ გამისინჯავს და ეს წარწერა არ მინახავს.

XIV. ნიკორწმინდა

ნიკორწმინდის ტაძარი

1. დასავლეთის კარიბჭის თაღზე ასომთავრული წარწერა¹⁴⁵:

¹⁴⁴ [იხ. შენ. 143].

¹⁴⁵ [გ. ბოქორიძე, V, გვ. 194—195. № 1; ს. კაკაბაძე, საისტ. კრებ., IV, გვ. 102, № 1; ა. ქუთათელაძე, მოაზრ., VII, გვ. 53; დ. ბაქრაძე, ვახუშტი, საქ. ისტ., გვ. 167, შენ. ვ; П. С. Уварова, МАК, IV, გვ. 133 და 135, ტაბ. XLVIII; M. Brosset, Voyage, XII, გვ. 55].

ქე შო ღოსო ადუ სიმრთელით და დღეგრძობთ შნ მერ-
გრკნსნი ბგრტ აფხზთა და რანთა მეფე და ქრთელთა კურ-
პალატი და გაზრდე მე შთი ტი ნებასა შნა შნსა მხბთა
წმიდისა მდღლთ მძღრისა ნკლზისთა

უქარაგმოლ:

„ქრისტე, ძეო ღმრთისაო, ადიდე სიმრთელით და დღეგრძე-
ლობით შენ მიერ გზრგვზოსანი ბაგრატ აფხაზთა და რანთა მეფე,
ქართველთა კურაპალატი და გაზარდე ძე მათი გიორგი ნებასა
შინა შენსა მეოხებითა წმიდისა მღვდელთ-მოიღურისა ნიკო-
ლოზისათა“.

2. სამხრეთის ეკვდრის გარეთა ქვაზე, ბუშტს ქვე-
მოთ, მხედრული წარწერა¹⁴⁶:

ქ: [ვ]უარო: ქრისტესო: გ
აუსვენე: სასუფეველსა: თ
ეთროს: ლაშსი: შვილის
ქალსა: მის: შვილსა:
ქახოსროს: წულუკიძესა.

3. დასავლეთის კარიბჭის კარზე, ბროსეს დროს წე-
რებულა¹⁴⁷.

წმიდაო ნიკოლოზო მეოხ ეუე ლევონ კახაბერსა და
მესა ამისსა, ამინ.

4. ჩრდილოეთის მხარეს, ერთ სარკმელზე¹⁴⁸.
ბროსეს დროს წერებულა:

წმიდაო ნიკოლოზო მღვდელთ
ა მთავარო მ

¹⁴⁶ [გ. ბოქორიძე, V, გვ. 202, № 8].

¹⁴⁷ [M. Brosset, Voyage..., XII, გვ. 56; № 3 წარწერის შესახებ
იხ. გ. ბოქორიძე, V, გვ. 196, შენ. 1; იხ. აქვე წარწერა № 7 და შენიშვნა
№ 150].

¹⁴⁸ [გ. ბოქორიძე, V, გვ. 199—201; ს. კაკაბაძე, საისტ. კრებ.,
IV, გვ. 103, № 7; П. С. Уварова, МАК, IV, გვ. 133; Н. Кондаков
и Д. Бакрадзе, Опись..., გვ. 61—62; M. Brosset, Voyage..., XII, გვ.
56; M. Brosset, Mémoires de l' Acad., VI^e série, t. IV, SPb., 1840, გვ.
336—367].

[გ. თაყაიშვილს ეს წარწერა მოყვანილი აქვს მ. ბროსეს

ეოხ ექმენ და მფლ წე
ღთისა ნნას ეე
სა და ნოელისიმოსს

უქარაგმოთ:

„წმიდაო ნიკოლოზო, მღვდელთა მთავარო, მეოხ ექმენ და მფარველ წინაშე ღვთისა ნეანიას ერისთავთ ერისთავსა და ნოველისიმოსს“.

5. სამხრეთის ეკვდერზე. ჩრდილოეთით, ეკლესიის კარის ზემოთ, ორ ქვაზე (განახლებული არიან)¹⁴⁹:

ა) დასავლეთის ქვაზე, რომელზედაც ორი ფრინველია გამოქანდაკებული (საუცხოვო ასომთავრულით):

გერასიმე

ბ) აღმოსავლეთის ქვაზე

ქათალიკოსი შ== =ე (შეიწუაღე?).

6. ჩრდილოეთის მხარეზე. ბალავერს ცოტა ზემოთ, აღმოსავლეთის კუთხის მახლობლად 0,7 მტ. ოდენა ქვა ყოფილა ასომთავრული წარწერით (წაუკითხავი).

7. დასავლეთის ეკვდერის დასავლეთ კედელზე, ზემოთ, ჯვარია წარწერით: „ძელი ცხოვრებისა“, ხოლო შემდეგ¹⁵⁰:

წო ნკზ

მზ ეეე წე ქა

კსბრსა და რტს

ამინ

უქარაგმოთ:

„წმიდაო ნიკოლოზ, მეოხ ეყავ წინაშე ქრისტესა კახაბერს და რატის ამინ“.

ბუბლიკაციის მიხედვით (Voyage..., XII, გვ. 56), მხოლოდ მესამე სტრიქონზე მ. ბროსეს მიერ მოცემულ ოთხ ასოს „მფლწ“ და მეოთხე სტრიქონზე სახელს „ღთისა“ (მ. ბროსეს წაკითხვით: „მამფლ ღვთისა“) ე. თაყაიშვილი კითხულობს „და მფლ წე ღთისა“, ე. ი. „და მფარველ წინაშე ღვთისა“.

¹⁴⁹ [ა. ქუთათელაძე, მონაბე, VII, გვ. 52].

¹⁵⁰ [გ. ბოტორიძე, V, გვ. 196—197. № 3; ა. ქუთათელაძე, მონაბე, VII, გვ. 53; Н. Кондаков и Д. Бакрадзе, Описание... გვ. 61; M. Brosset, Voyage..., XII, გვ. 59 (იხ. აგრეთვე გვ. 56); გ. ბოტორიძე, აღნიშნავს, რომ მ. ბროსეს 56 გვერდზე შეცდომით უნდა ჰქონდეს მოყვანილი იგივე წარწერა, რაც მე-59 გვერდზეა].

8. დასავლეთის ეკვდერის დასავლეთ კედელზე, ჩრდილო-დასავლეთით, კუთხეში, მოლურჯო ქვაზე¹⁵¹, უზნო ასომთავრულით სწერია:

წო. ნკზ. მეტ [ეუა]
ვა. მეფს. გს. მისა.
ჭმი. ავნე. ნიკო
წმიდეღმნ. სუქემნ.
მელქისედე ან

უქარაგმოდ:

„წმიდაო ნიკოლოზ მეოჯ ეყავ მეფეს გიორგის მისა კ...ში ავაშენე ნიკორწმიდეღმან საყვარელიძემან მელქისედეკ, ამინ“.

9. დასავლეთის ეკვდერის დასავლეთ კედელზე, სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში¹⁵²:

წო ნკლზ მდღ[ლთ მძღრო]
მეოხ ექმენ წე ღთისა დფლ
დფლსა ეეფემიას ასოჯლ
სა სოჯლკხლისა ეევი
სა რატისასა ამინ

უქარაგმოდ:

„წმიდაო ნიკოლოზ მღვდელთ-მოძღვარო, მეოხ ექმენ წინაშე ღეთისა დედოფალთ დედოფალსა ეეფემიას, ასულსა სოჯლკურთხეულისა ერისთავთ ერისთავისა რატისსა, ამინ“.

10. დასავლეთის სარკმლის მარცხნივ. ჩამოგრძობულბულია ასომთავრული წარწერა, რომლის ქვედა ნაწილი დაფარულია დასავლეთის ეკვდრის სახურავით:

წო
ნკლზ

¹⁵¹ [გ. ბოკოროძე. V. გვ. 197—198. № 4; ს. კაკაბაძე. საისტ. კრებ. IV. გვ. 103; ა. ქუთათელაძე. მოამბე. VII. გვ. 54; П. С. Уварова, МАК. IV, გვ. 130. სურ. 105; M. Brosset, Voyage... XII. გვ. 59, № 3].

¹⁵² [გ. ბოკოროძე. V. გვ. 198—199. № 5; ს. კაკაბაძე. საისტ. კრებ. IV. გვ. 103, № 4; ა. ქუთათელაძე. მოამბე. VII. გვ. 54; П. С. Уварова, МАК. IV. გვ. 131, სურ. 106; M. Brosset, Voyage... XII, გვ. 59, № 4].

შ-ე
 ბ-ი
 მო
 მ|დ|
 (აქ გადის სახურავი)
 რი
 ამი
 ს წ-ა

ეკლესიისა¹⁵³

ე. ი. „წმიდაო ნიკოლოზ, შეიწყალე გიორგი მოძღვარი ამის წმიდა ეკლესიისა“

ამ დასავლეთის სარკმლის ჩუქურთმებში, ორი გრიფონის გამოსახულებათა გასწვრივ:

მ ე ბ გ ტ ს ი	}	ე. ი. „ძე ბაგრატიისი...“
მფნბ		
ლი		

..... (დანარჩენი წაშლილია).

ისტორიულ პირთა ფრესკები¹⁵⁴

დასავლეთის ფრთაში, შესასვლელის მარჯვ-
 ნივ¹⁵⁵:

ა) ნიკოლოზ: ხოპა	ბ) ბეჟანან:	კაცინას:
რი: წულუკიძე	წულუკიძე:	ძე

ჩრდილო-დასავლეთის აფსიდში¹⁵⁶:

წარმოდგენილია ოთხი დიდი ფიგურა და მათ შუა მცირე ფიგურა ვაჟისა. მარცხენა სურათი და წარწერა ჩამორეცხილია. წარწერები:

მეორე ფიგურის თავთან: } ნია	ყმაწვილის კორტ-რეტთან }	ძე: მერა... მე: დათუასი
	წულუკიძე	 ა: ლევან

¹⁵³ [გ. ბოჭორიძე, V. გვ. 195. № 2; ს. კაკაბაძე, საისტ. კრებ., IV, გვ. 103, № 3; ბოლო 4 სტრიქონი გ. ბოჭორიძის მიხედვით].

¹⁵⁴ [მონატულობის შესახებ არის მხოლოდ შენიშვნები].

¹⁵⁵ [გ. ბოჭორიძე, V. გვ. 208; ს. კაკაბაძე, საისტ. კრებ., IV, გვ. 104].

¹⁵⁶ [გ. ბოჭორიძე, V. გვ. 207; ს. კაკაბაძე, საისტ. კრებ., IV, გვ. 104].

მეორე და მესამე ფიგურები კარგადაა შენახული. ორივენი ხმლებით არიან, უსახელო, სარტყელ-გულისპირიანი კაბებით, სარტყელთან კაბაზე გარდიგარდმო ზოლებით; ყმაწვილს შარავანდელი არა აქვს; გარდა ხმლისა მას სარტყელში დანა აქვს.

მეოთხე პორტრეტი დაზიანებულია და შემდეგში შეუღესავთ. ჩანს მხოლოდ ქვემო ნაწილი ყვაილოვანი სახეებით შემკული კაბისა.

მარცხნივ წარმოდგენილი ცოლ-ქმარი, მათ ეკლესიის გეგმა უჭირავთებელში. პირველი სურათი გაფუჭებულია, ქალისა და ყმაწვილისა კი უკეთ არის შენახული. ზემოთ გამოსახულია მაცხოვარი წარწერით $1^{\circ} X^{\circ}$, რომელიც ორივე ხელით აკურთხებს ტაძარს; ყრმის პატარა ფიგურა წარმოდგენილია ეკლესიის გეგმის ქვემოთ.

წარწერები წაბლალულია, მაგრამ ჩვენის აზრით აქ უნდა იყვნენ დავით წულუკიძე, მისი მეუღლე ლასხიშვილის ასული პარსანგიჯავარ, მათი შვილი ივანე ან ქაიხოსრო, რომელნიც ნიკორწმინდის მრავალ წარწერებში არიან მოხსენებულინი.

ჩ რ დ ი ლ ო - ა დ მ ო ს ა ე ლ ე თ ი ს ა ფ ს ი დ შ ი ¹⁸⁷:

ა) ბეჟანის: ქე ვარა დებულ		ბ) ბეჟან: წუ ლუკიძე		გ) ჩიჯავაძის ქალი საზუა(?) მისი თანამეცხედრე	
---------------------------------	--	------------------------	--	--	--

დ) ქორთოძის: ქალი: ელენე: თანა მეცხედრე მისი		ე) ლომინა წულუკი ბე	
--	--	---------------------------	--

პირველი ოთხი ფიგურა კარგადაა დაცული, მეხუთე შედარებით უარესად.

მამაკაცები შარავანდლებით არიან, ქალები--ძვირფასი ქვებით შემკული გვირგვინებით; ყველა მამაკაცებს სხვადასხვა ფერის ქუდე-ბი ჰხურავთ. ქალებს გულისპირები შემკული აქვთ მარგალიტებით.

¹⁸⁷ [გ. ბოჭორიძე, V, გვ. 206; ს. კაკაბაძე, საისტ. კრებ., IV, გვ. 104]

სამხრეთ-აღმოსავლეთის აფსიდის აღმოსავ-
ლეთ ნაწილში¹⁸⁸:

- | | |
|---|--|
| <p>ა) მამაკაცის გამოსა-
ხულება მოშლი-
ლია</p> | <p>ბ)
ქალი
თეთრუა</p> |
| <p>გ) :. პატა:.. წუ
ღუკიძე:</p> | <p>მამაკაცია
დ) გამოსახული;
წარწერა
მოშლილია</p> |

სამივე შენახულ ფიგურას შარავანდელი აქვს, თეთრუა შემ-
კობილია სამფრთიანი გვირგვინით, სხვებს გვირგვინები არა აქვთ.
თეთრუა წარმოდგენილია გრძელი კავებით, შიგნითი კაბა და
სარტყელი ჭრელი და გრძელია, წამოსასხამი ყვავილოვანი სახე-
ებითაა შემკული, გულსაპირი მარგალიტებითაა მოქარგული, ასევე
შეკაზმული ყელსაბამი. პაატას შესამოსი იმავე ფერისაა და ისე-
თივე ყვავილებით შემკული, მეორე მამაკაცის სამოსელი სხვა-
გვარია. ყველანი გამოსახული არიან en face.

ხატები და ჯვრები

1. ჯვარცმის ხატი. ზომით 129,5×84 სმ¹⁸⁹. მისგან
დარჩენილა მხოლოდ მოკვერილი ვერკხლის ჩარჩო, რომელსაც
ქვედა აშიაზე აქვს ლამაზი ასომთავრული, სამწკარიანი წარწე-
რა. გარდა წარწერისა ქვედა აშიას ამშვენებს მედალიონები,
რომლებშიც გამობურცული ქანდაკებებია: წმიდა გიორგისა („წ ი
გ ი“) თეოდორესი („წ ი თ ე“) და დიმიტრისა („წ ი დ მ ტ
რ ი“).

ზედა აშიაზე დარჩენილია მხოლოდ სამი მედალიონი: მთავარ-
ანგელოზისა, მარიამისა და ქრისტესი. მარჯვენაცა და მარცხენა
აშიაც შემდეგ არის შეკეთებული; წარწერა:

1. ქ მე: კახაბერ უოფილმან: კირილე: ჰემან: სოლგორთხეგ-
ლისა: ერისთავთ ერისთავსა: რატისმან:

¹⁸⁸ [გ. ბოქორიძე, V, გვ. 207—238; ს. კაკაბაძე, საისტ. კრებ. IV, გვ. 104].

¹⁸⁹ [გ. ბოქორიძე, V, გვ. 209—210, № 3; ა. ქუთათელაძე, მთაბბ, VII, გვ. 52; П. С. Уварова, МАК, IV, გვ. 138, სურ. 120 და 121; Н. К. Ондаков и Д. Бакрадзе, Опись..., გვ. 61; ს. კაკაბაძე, საისტ. კრებ. IV, გვ. 105; Г. Н. Чубинашвили, კვლევა, ფოტო 387, და გვ. 595 თ. გორდანია, ქრონიკები, II, გვ. 44:].

2. მოგუქედე: ხატი: ესე: ჯოარცომისაი: ნოგემინის: მცემლად:
და: საღხინებულად: სოლისა: ჩემისა: ცო

3. დვილისად: და: საღღეგრძელეებულად: მისა: ჩემისა: ერის-
თავთ: ერისთავისა: რაჭის ერისთავისა: რატისად.

2. ვერცხლის ჯვარი. მინანქრიანი მედალიონებით შემ-
კული, წინა პირზე გამობერვით ნაჭედი ჰორელიფთა, ჯვარცმული-
სა. ზემოდან აწერია: „ი 7 კ 1 ე მ უ ფ პ რ ი ა თ ა“¹⁸⁰.

ჯვარი შემკულია: 3 ფირუზით, 16 მარგალიტით 10 იაგუნ-
დით, 4 ლალით და 2 რალაც ქვით. ჯვრის ბოლოებში მშვენიერი
ხელობის მინანქრის სამი მედალიონია—მათე, მარკოზ და ლუკა
მახარობლები—აღწერილი ნ. კონდაკოვის მიერ და აწ დაზიანებუ-
ლი. ჯვრის მეორე უკანა მხარე შემკულია ვაზის ლამაზი ხლართუ-
ლებით. ჯვრის ზომა უდრის 29×29,5 სმ.

ჯვრის ქვევით პატარა ბუშტზე აწერია:

ქ ზე: ჯრო: ცხოვრებო გვედრებით უბიწოთა:

მით: სისხლითა: ქესტესითი: ჩე^ნ: დავით:

წულუკიძე: და: თა: მეცხედრე: ჩენი:

ლაშხის შვილისა: ასული: ფარსანგიჯა-

ვარ: და: ძენი: ჩენი: რა: მცველ: და:.

მფარგელ გექმნე: უოვლისაგან:

ბოროტისა: და აოტუნე: უჩინარი: იგი

მტერნი სულთა: და კორცთა: ჩენთანნი:

ამინ: ამინ: ამინ.

ქვედა დიდ ბუშტზე:

წ. ზ ე დიდო. მღდელთ: მოძღარო: დიდო

ნიკლზ: შეიწირე მცირე. ესე. მსახურება. როლა

სახუებით: შეემკვით: ჯ^ნ: ესე: პატროსანნი:

სადა: დებულად. ტაძრისა. შენისა. წ^ნ: რ^ა:

¹⁸⁰ [8 ბოკოროძე, V, გვ. 212–214, № 9; ს. კაკაბაძე, საისტ.
კრებ., IV, გვ. 106; ა. ქუთათელაძე, მონაბე, VII, გვ. 49; П. С. Ува-
